

ଶାନ୍ତିକିଳା  
ପାତ୍ରମାଲା



ଶାନ୍ତିକିଳା  
ପାତ୍ରମାଲା  
ଜ୍ଞାନକିଳା  
ଶାନ୍ତିକିଳା  
ପାତ୍ରମାଲା

K 181 + 198  
3

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს არქივოგიური ტომისძა

ი. ვავახიშვილის სახ. ისტორიის, არქივოგიურისა და

ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

არქივოგიური ტელევიზის ცენტრი

## პამლეთ ჯდამაია

# სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში

საებ-2000  
გეგო ჭავჭავაძე



გამოიცემულია „მეცნიერება“

თბილისი

1980

677.3(გ 41) (09)+902.7 (გ 41)

35.41 (2 ტ) ტ+63.5 (2 ტ) —

902.6 : 691.4 (47.922) (09)+902.7 (47.922)

§ 961

## საუკუნეების კურანი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს შუა საუკუნეების საქართველოს (IV საუკ. ვიღრე XVIII ს-მდე) სამშენებლო კერამიკის (აგური, კრამიტი, შორენკეცი, შყალსადენი მილი) მონოგრაფიული შესწავლის პირველ ცდას, მისი წარმოებისა და გამოყენების დახასიათებას არქეოლოგიურ, მიწისზედა შემორჩენილ საუკუნეო თუ საერო ნაგებობათა შესწავლისაში გამოყენებულ და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით.

ნაშრომში სამშენებლო კერამიკა განხილულია შუა საუკუნეების საქართველოს პერიოდების მიხედვით, აქვეა განხილული სამშენებლო კერამიკის ეპიგრაფიკა, კერამიკული შყალსადენის მილები და ძირითადად ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით წარმოდგენილია სამშენებლო კერამიკის წარმოების მეტ-ნაკლებად სრული სურათი. ნაშრომში თან ერთების შუა საუკუნეების საქართველოს ძეგლებში გამოყენებული აგურთა ზომების ცხრილი.

181198

ა. შესახება სახ. საჭავალის სასახლე გურჯაანი
60 სამუშაო
1980 წლის 10 თებერვალი

#  $\frac{10602}{M 607 (06)} - 80$  260—80

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980

## შ მ ს ა ვ ა ლ ი\*

ქართველი ხალხი შორეულ წარსულში გამოვიდა ისტორიის ასპარეზზე. იქიდან მოკიდებული დღემდე მან დიდი ისტორიული გზა განვლო და შექმნა არა მარტო მდიდარი მწერლობა (საერო-საეკლესიო), არამედ უმდიდრესი მატერიალური კულტურაც. ჩვენი წინაპრების გმირული წარსულის, ბრძოლის თუ შრომის შესახებ მოგვითხრობენ ეტრატები და ქალალდის უფეხლესი ფოლიანტები, ციხე-კოშკები, გალავნები, სასახლეთა ნანგრევები, ხიდები, ეკლესია-მონასტრები, ნასოფლარ-ნაქალაქარები და სხვა მრავალი. ბევრი მათგანი საკმაოდ მყვიდრად დგას დღესაც და ამაყად გადასცემერის არემარეს. ხომ ცნობილია, რომ ქართველი ხალხი მას ჰქმნიდა იმ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლისთან ერთად, რომელსაც ის, დიდი ილიას სიტყვებით რომ ითქვას, აწარმოებდა „დღე და ღამ, ყოველმხრიდან მოწოლილი მტრის წინააღმდეგ“. სად ჰქონდა ამ მასშტაბით მშენებლობისათვის საჭირო სახსრები, მატერიალური დოვლათი და რაც მთავარია, სად ჰყავდა მას მუშახელი ასეთი რაოდენობით? სწორედ ამას კითხულობდა თავის ღროზე დიდი ილია: „რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰქვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძლვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა? ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქუდზე კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ აღვილიყო, და საზოგადოებას ვინ აძლევდა და რას აძლევდა?“<sup>1</sup>.

აქ აღძრული და სხვა მრავალი ანალოგიური საკითხის გარჯევა-გაშუქებას, ჩვენი აზრით, დიდად შეუწყობს ხელს ქართველი ხალხის ისტორიის ცოდნა, მისი მდიდარი და გმირული წარსულის გათვალისწინება. ჩვენ სწორედ მასში, მის მრავალსაუკუნეებან და მრავალდარგოვან ეკონომიკუში (მეურნეობა) ვპოუ-

\* ნაშრომი იბეჭდება შემოკლებით ტექნიკური მიხეზების გამო.

<sup>1</sup> ილ ი ი ჰ ა ვ ა ლ ი ვ ა დ ე , თხ ს . , 11 , თბ . , 1941 , გვ . 483 .



ლობთ იმ საფუძველს, რომელმაც განაპირობა ქართველი ჰქოლისა  
არა მარტო ფიზიკური გადარჩენა, არამედ მისი ძლევამოსილი  
წინსვლაც „ყოველმხრივ მოწოლილი მტრის“ წინააღმდეგ შეუ-  
ნელებელი სამკვდრო-სასიცოცხლო ზრძოლის პირობებში. სწო-  
რედ საქართველოს ისტორიიდან ვგებულობთ ჩვენ, რომ ქართ-  
ველ ტომებს საქმიანობ ადრე, ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვის  
შედარებით აღრინდელ საუკუნეებში შრომის საზოგადოებრივი  
განაწილების მაღალი დონისათვის მიუღწევიათ. უძველესი წერი-  
ლობითი წყაროების ჩვენებითა და არქეოლოგიური მასალები-  
თაც საქმიანობა დამაჯერებლად ირკვევა, რომ ქართლისა და ეგრი-  
სის მოსახლეობას, განსაკუთრებით ბარის რაიონებში, აღრიღან-  
ვე, უმთავრესად, მიწათმოქმედება-მემინდვრეობით უცხოვრია.  
იქ უთესიათ ხორბალი, ოომი და სხვა მარცვლეული. სწორედ  
საქართველოს მიიჩნევენ მკვლევარნი ერთ-ერთ ისეთ ქვეყანად,  
სადაც უნდა გაჩენილიყო პირველად კაცობრიობის ისტორიაში  
ხორბლის კულტურა. აქ დღემდე შემორჩენილია ხორბლის ისე-  
თი გარდამავალი ჭიშები, როგორიცაა: მახა და ზანდური. მიწათ-  
მოქმედება-მემინდვრეობის განვითარების უთუოდ მაღალ დო-  
ნეზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ქართველ ტომებს იმ აღ-  
რინდელ საუკუნეებისათვის ცოდნიათ ფოლადის სახნისი, ლითო-  
ნის თოხი, ხარის დაჭელვა ნალებით და სხვა ტექნიკური სიახლე-  
ნი. ასეთი ტექნიკით არც გასაკვირია ქართველებს უკვე იმ დრო-  
ისათვის არ უძნელდებოდათ ლრმა ხნულის მომზადება მინდვ-  
რებზე და მასში თესვა. ამასთან ერთად განვითარებული პე-  
ნიათ მებალეობა-მეცნიერება, მესაქონლეობა და სხვ. ეკვარე-  
შეა, რომ ზოგიერთი ქართველი ტომი (განსაკუთრებით მთიე-  
ლები) უძველესი დროიდან იყვნენ ცნობილი მელითონეობით,  
მაგალითად, ხალიბები — რკინის დამზადებით, მოსინიკები —  
სპილენძის ოსტატობით, სვანები — ოქრომჭედლობით და სხვ  
ყველაფერი ეს განვითარებული ყოფილა იმ ტომებშიც, რომელ-  
ნიც ცხოვრობდნენ ქართლის დედაქალაქის — მცხეთის მიდა-  
მოებში, თანამედროვე განის მიდამოებში და სხვაგანაც, აღმოსავ-  
ლეთ თუ დასავლეთ საქართველოში. ამის მოწმობას წარმოად-  
გენს არაერთი „სარკინის“ არსებობა საქართველოში და არქეო-  
ლოგთა მიერ მოპოვებული მასალები: ქურები, წილები, ნახშირი,  
ყალიბები, ლითონის ზოდები და ზოგჯერ მზა ნაწარმი და სხვა  
მოწყობილობა, რომელიც ბევრგანაა აღმოჩენილი საქართველოს  
მიწა-წყალზე, განსაკუთრებით მთებში. როგორც წერილობითი და



არქეოლოგიური მასალებით ირკვევა, ქართველებს სცოდნიდათ  
ლითონების დამზადების საუთარი ხერხი, რომლითაც მეტად მეტად  
გამოიჩინდა მათი ნახელავი მაღალი ხარისხით. ძველი ბერძნული წერილობითი წყაროების მიხედვით ხალიბური რკინა სრულიად განსაკუთრებული წესით მზადდებოდა. მათი ნაშარმი ხა-  
რისხით დიდად განსხვავდებოდა სხვების ნახელავისაგან და ძნე-  
ლი გასარჩევი ყოფილა ვერცხლისაგან. როგორც ირკვევა, რკინა-  
ფოლადის დამზადების აღნიშნულ ხერხს ძველი ბერძნები სწო-  
რედ ხალიბებთან გასცნობიან და ამიტომ მათ ფოლადისათვის  
დაურქმევიათ — ხალიფ ს-ი, რაც უპეველია, ხალიბურს ნიშ-  
ნავს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იმ ადრინდელი საუკუნე-  
ებისათვის, რაზედაც ჩვენ ამ შემთხვევაში საუბარი გვაქვს, შეი-  
მჩნევა ქართველ ტომთა ყოფაში შრომის არა მარტო ტერიტო-  
რიული (თემობრივი) განაწილება, არამედ ხელოსნობის გამოყო-  
ფა მიწათმოქმედებისაგან. საგულისხმოა, რომ ხელოსნები, მჭედ-  
ლები, მეკეცები, მეხამლები, მიწის მწარმოებელნი, ოქრომჭედ-  
ლები და სხვები, უპირატესად, ქალაქ ადგილებში ისხლნენ და  
თავისი ნახელავით აქმაყოფილებდნენ თანამედროვე საზოგადოე-  
ბის მოთხოვნილებებს. მრავალი რამ იმ შორეული ხანის ხელო-  
სანთა ნახელავიდან მოღწეულია ჩვენ დრომდე და ღლესაც ამ-  
შვენებს ჩვენი ქვეყნის სიძველეთსაცავებს. იმდროინდელი ძეგ-  
ლები განუმეორებელი სილამაზით, იშვიათი ასტატობითა და  
მაღალმხატვრული გემოვნებით ხასიათდება. ამ მხრივ, მცხეთის,  
ახალგორის, ვანისა და სხვა ანალოგიურ განძთა დასახელება  
სრულიად საქმარისია.

ქართველ ტომთა სამეურნეო აღმავლობას ბუნებრივად მოჰ-  
ყვა სამშენებლო ხელოვნების, კერძოდ, ხუროთმოძღვრების  
დარგშიც თვალსაჩინო დაწინაურება. ამ მხრივ, უთუოდ საგუ-  
ლისხმოა ლეონტი მროველის ცნობა, რომელიც ქართველთა მიერ  
ქვითკირის ხმარებას სწორედ წინაკლასობრივ მდგომარეობაში  
შემოღებულ საქმედ მიიჩნევს. მისი სიტყვით, სპარსთა მეფეს აფ-  
რიდონს, რომელიც „ეუფლა ყოველსა ქვეყანასა სპარსთასა“,  
საქართველოში თავისი ერისთავი არდამი გამოუგზავნია, რომელ-  
მაც „მოზღუდა მცხეთა ქალაქი ქვთკირითა. და აქამომდე არა იყო  
ქართლსა შინა საქმე ქვთკირისაც. და ამის გამო დაისწავლეს  
ქვთკირი“<sup>2</sup>. როგორც ცნობილია, აქ მოთხოვნილი ამბავი და მისი

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დაღვენილია ყველა ძირითადი ხელნაშერის  
მიხედვით ს. ყაუხეჩიშვილის მიერ. 1, 1955, გვ. 13.



პერსონაჟებიც ფოლქლორული ხასიათისაა. ასე რომ, ამ წყვეტილების შიხედვით ისტორიული სინამდვილის ძებნას არავითარი საუკუნეების ლი არ გააჩნია, მაგრამ ეს ცნობა მაინც იმ მხრივაა მნიშვნელოვანი, რომ გვაგებინებს, თუ როგორ პერნდა ჩვენს მემატიანე-ისტორიკოსს XI საუკუნეში ეს მოვლენა წარმოდგენილი.

საერთოდ კი სახალხო მეურნეობის მაღალი დონე, ცხადია, საბოლოო ანგარიშით იწვევდა საქალაქო ცხოვრების განვითარებასაც. უძველესი დროიდან საქართველოში ცნობილია ქალაქები: მცხეთა (ქართლი), აია, უჯარმა, კასპი, უფლისციხე, ურბნისი, ფასისი, ქუთაისი და სხვ. ხსენებული ქალაქები როგორც ირკვევა, ცხოველ საქარავნო ვაჭრობას ეწეოდნენ როგორც ურთიერთშორის, ისე მეზობელ ქვეყნებთან. ცხადია, ვაჭრობა მაშინ, როგორც შიგნით, ისე გარეთ, ფულის (მონეტა) მეშვეობით წარმოებდა. ფულის მოჭრა კი, საქართველოში VI საუკუნიდან (ძვ. წ.) დასტურდება. დაახლოებით ამ პერიოდიდან ყალიბდება ქართველთა პირველი სახელმწიფობრივი ორგანიზაცია (ეგრისი და იბერია, ძვ. წ. VI—IV სს.). ამასთან ერთად, ივარაუდება, რომ თავისი ხასიათით ორივე მიწათმფლობელური სახელმწიფოები უნდა ყოფილიყვნენ. კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ, რასაცვირველია, ქვეყნის დოვლათი, თითქმის მთლიანად, საზოგადოების ძლიერთა, მათ შორის ეკლესიის ხელშია თავმოყრილი; ხოლო საზოგადოების უმრავლესობის ხვედრი კი, დღედალამ შრომა და მონური ცხოვრება იყო. მიუხედავად სახალხო დოვლათის ამგვარი კლასობრივი განაწილებისა, ეს უკანასკნელი მაინც მძლავრი საფუძველი იყო საზოგადოებრივი ცხოვრების არა მარტო პოლიტიკურ, კულტურულ-იდეოლოგიური ზედნაშენისათვის, არამედ იმ გრანდიოზული მშენებლობისათვისაც კერძოდ, რომელსაც ეწეოდა ქართველი ხალხი თავისი ხანგრძლივი ისტორიის მთელ სიგრძეზე.

მიუხედავად ამისა, იმდროინდელი არქიტექტურული ძეგლები მცირე რაოდენობითაა ჩვენ დრომდე მოღწეული. საფიქრებელია, მათი დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის. გამოვლენილი. ხოლო თითქმის ყველაფერი, რაც ჩვენ ამ მხრივ დღეისათვის მოგვეპოვება, არსებითად ვანისა და მცხეთის ნაქალაქართა კომპლექსებს განეკუთვნება. ამას, შესაძლებელია, თითო-ოროლა სხვაც მიემატოს, მაგრამ ანალოგიური ძეგლების რიცხვი ჯერჯერობით მაინც დიდად ვერ გაიზრდება. ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია საძიებელი, შესასწავლი და დასადგენი. ცხადია, მონათ-

მფლობელობის პერიოდიდან ბევრი რამ ვერ გადაუჩანა ჟურნალი „სიავეს“ და სამუდამოდ დაიღუპა. მონათმფლობელობა (მონათმფლობელური წყობილება) ჩვენ სინამდვილეში III საუკუნის ბოლოსათვის (ახ. წ.) დამთავრებულად ითვლება.

ამის შემდეგ, მომდევნო ორი (IV—V) საუკუნე გარდამავალი პერიოდია მონათმფლობელობიდან ფეოდალურ წყობილებაში. დროის ეს მონაკვეთი ხასიათდება ისეთი მოტივებით, რომელიც ნიშანდობლივია როგორც ერთი, ისე მეორე ეტაპისათვის. აღნიშნულ ხანაში კიდევ უფრო შეიმჩნევა ქართველი ხალხის მეურნეობისა და კულტურა-იდეოლოგიის შემდგომი დაწინაურება. ამ მხრივ საქართველოს აღინიშნოს ფაქტები, როგორიცაა: ქრისტიანობის ნებადართულ სარწმუნოებად გამოცხადება აღმოსავლეთ საქართველოში (337 წლის ახლო ხანებში), ქართული დამწერლობის შემოღება ხმარებაში და სხვ. გარდამავალ პერიოდში ქართველი ხალხის აზრისა და შემოქმედების საზომად, სრულიად უყოფმანოდ, შესაძლებელია, ბოლნისის ან ურბნისის სიონი იქნეს დასახელებული. ორივე შემთხვევაში ქართული ეკონომიკის და ქართული კულტურის თვალსაჩინო დაწინაურება ურყევი ფაქტია.

VI საუკუნიდან (ჩვ. წ.) საქართველოში ახალმა საზოგადოებრივმა წყობილებამ — ფეოდალიზმა გაიმარჯვა. ქართველი ხალხის ისტორიაში ახალი, ფეოდალური ერა დაიწყო. მან დიდხანს, XIX საუკუნის სამოც-სამოცდაათიან წლებამდე იარსება. ბუნებრივია, ამ ხნის (ათას სამასი წელი) განმავლობაში ფეოდალიზმი უცვლელი არ ყოფილა. პირიქით, ამ მოვლენამ აქაც თავისი განვითარების რამდენიმე მკაფიოდ გამოხატული საფეხური გაიარა: უპირველეს ყოვლისა, ეს იყო ადრეფეოდალური ურთიერთობის ხანა (VI—X საუკუნეების ჩათვლით), როდესაც ის ჭერ კიდევ ზრდა-განვითარების პროცესში იმყოფებოდა და მას თავისი ყველა დამახასიათებელი ნიშანი გამოვლილი არ ჰქონდა. ამ პერიოდში საქართველო პოლიტიკურად არ იყო ერთიანი. პირიქით, მის მეორე მონაკვეთში, ცხადია, სხვადასხვა დროს ყალიბდებიან ახალი ფეოდალური ერთეულები: აფხაზეთის სამეფო, კახეთ-ჰერეთის სამთავრო, ტაო-კლარჯეთის სამთავრო და თბილისის საამირო. ქართველი ხალხი ამ პერიოდის განმავლობაში შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდა ჭერ ბიზანტია-ირანის (სასანურ), ხოლო შემდეგ არაბთა ხანგრძლივი ბატონობის წინააღმდეგ სამშობლო შვეუნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. მიუხედა-



ვად ზემოაღნიშნული მძიმე პირობებისა, ქართველი ხალხის უძლებელი მიღიოდა ეკონომიურად, ვითარდებოდა მისი სოფლის მეურნეობა და ვაჭრობა-ხელოსნობა. ძველების გვერდით ჩნდებიან ახალი ქალაქებიც: დმანისი, სამშვილდე, რუსთავი, ახალქალაქი (გავახეთის) და სხვ. ძლიერდებიან ქვეყნის გამარტობებელი ძალები და ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება დღის წესრიგში დგება (X საუკუნის მიწურულისათვის საქართველოს მეტი ნაწილი გაერთიანებული იყო, ერთიანი საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III გახდა).

თვალსაჩინოა იმავე დროისათვის ქართული კულტურის საერთო დაწინაურებაც. დაწინაურებული ჩანს ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნება. ქართლის (საქართველო) განმარტება, რომელიც მაშინ სწორედ გიორგი მერჩულეს პირით ეუწყა საზოგადოებას, კლასიკური აღმოჩნდა: „ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“. აღნიშნული ცნების უკეთესი განმარტება დღესაც კი ძნელი წარმოსადგენია. დაწინაურდა ქართული მწერლობა. ამის ნიმუშად იმავე გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ დასახელება სრულიად საკმარისია. ამასვე გვაუწყებს ქართველთა არაერთი ხუროთმოძღვრული ძეგლიც: ჯვარი (მცხეთის), ბანა, წრომი, ხახული, იშხანი, ბედია. ბედიის ტაძარი მიაჩნდა „მატიანე ქართლისამს“ უცნობ ავტორს საქართველოს მეფის ბაგრატ III სიდიადის საზომად და თავის მხრივ ამბობდა: „უკეთუ ვისმე ენების განცდად და გულისხმისყოფად სიმაღლისათვს დიდებისა მისისად. პირველად განიცადოს სამყაული ბედიისა ეკლესისად და მისგან გულისხმაყოს, რომელ არავინ ყოფილ არს სხუა მეფე მსგავსი მისი ქუეყანასა ქართლისასა და აფხაზეთისასა<sup>3</sup>“. არსებითად იმავე ხანას განეკუთვნება ქართველთა ისეთი შედევრული ქმნილება, როგორიცაა „ბაგრატის ტაძარი“ ქუთაისში და სხვ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს განვითარებული ფეოდალიზმის ხანა (XI—XIII სს.), ის პერიოდი, როდესაც საქართველოში ფეოდალიზმია ზრდა დაამთავრა და თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს — მოწიფულობას — მიაღწია. მძიმე მოვლენით დაიწყო ეს ხანა საქართველოს ფეოდალური მონარ-

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ჯველი ძროთადი ხელნაშერის შიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, 1955, გვ. 281.



ქისათვის. წინააზის დაპყრობის შემდეგ საქართველოც რადველურმა თურქ-სელჩუქთა ურდოებმა წალეკეს. XI საუკუნის მეორე ნახევარში, ბაგრატ IV ზეობაში, მომთაბარე თურქები ორჯერ შემოიტრნენ საქართველოში. ორივე შემთხვევაში მათი შემოსევა გამანადგურებელი იყო. განსაკუთრებით კატასტროფული აღმოჩნდა „დიდი თურქობა“, რომელსაც 1080 წელს ჰქონდა ადგილი. დავითის ისტორიკოსის თქმით: „არა იყო მათ უძთა შინა თესვა და მკა. მოოქრდა ქუცანა და ტყედ გადაიტა და ნაცვლად კაცთა მჯეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნეს მას შინა<sup>4</sup>“. შექმნილ ვითარებაში საქართველოს მეფე გიორგი მეორემ კერაფერი მოახერხა, გარდა იმისა, რომ წავიდა სულთანთან, მორჩილება გამოუცხადა და ხარჯის გადახდაც იკისრა. საქართველომ პოლიტიკური თავისუფლება დაკარგა. ის თურქ-სელჩუქთა მოხარედ იქცა. ასეთ პირობებში ავიდა სამეფო ტახტზე სრულიად ახალგაზრდა დავით IV, აღმაშენებელი. ძნელი იყო მაშინ, ძალიან ძნელი, მაგრამ ჭაბუკი მეფე გაბედულად შეუდგა სახელმწიფო საქმეების მოწესრიგებას. დავითმა, მიუხედავად სიკაბუკისა, მთელი თავისი ქვეყნის ეროვნული მობილიზირება მოახერხა. როგორც ჩანს, მან ბევრგან ჩამოაყალიბა საქართველოში მამულიშვილთა მცირერიცხოვანი გუნდები. მათი დახმარებით დავითმა ნამდვილი პარტიზანული ომი გააჩაღა თურქ-სელჩუქთა წინააღმდეგ. თავისი მოულოდნელი თავდასხმებით ახალგაზრდა მეფემ ბევრგან ქართლში ამოაკეთინა ფეხი მოძალადე თურქებს. ამ ღონისძიების კვალობაზე მან ნელ-ნელა ჩამოასახლა მთებში გახიზნული მოსახლეობა და გლეხეცი დაუბრუნდა თავის კერას. ისევ დაიწყო „თესვა და მკა“ და დაქცეულმა სახალხო მეურნეობამ კვლავ გამოცოცხლება იწყო. ეს იყო დავითის უბირველესი და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება. მან მარჯვედ გამოიყენა თავისი თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაც, თურქ-სელჩუკებს ხარჯის გადახდა შეუწყვიტა და ქვეყანას დაუბრუნა დაკარგული თავისუფლება.

ამასთან ერთად, დავითი შეუნელებლივ იღვწოდა ქვეყნის აღრე დაწყებული გაერთიანების დამთავრებისათვის. მან კახეთი შემოირთა და თბილისის განთავისუფლებით დაამთავრა აღრე დაწყებული გაერთიანების საქმე. დავითი ზრუნავდა სახალხო

<sup>4</sup> ქართლის ცხოვრება. ტ. I, 1955, გვ. 320.



მეურნეობის შემდგომი ალდგენა-დაწინაურებისათვის. გარდა მეურნეობისა და მევენახეობისა, ვითარდებოდა მებალეობა-მეზილეობა, მებოსტნეობა, მეფუტტერეობა და სხვ. დავითი ყოველგვარად ხელს უწყობდა ხელოსნობა-ვაჭრობის განვითარებასაც თავის სამეფოში. მაშინ აქ მრავალი კეთილმოწყობილი ქალაქი არსებობდა. ის მისდევდა სავაჭრო გზების კეთილმოწყობას, აგებდა ხიდებს. სწორედ ამის გამო ამბობდა დავითის ისტორიული: „რაოდენნი ჰიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა აღაშენა და ჩაოდენნი გზანი საწყინოდ სავალნი ქვა-ფენილ ყვნა“. და სხვ. ცხადია, აგებდა ფუნდუკებს. დავითის გონივრულმა და გაბედულმა პოლიტიკამ ქვეყანა ეკონომიკურად მოაღონერა. ყველაფერი ეს, ბუნებრივია, სხვა ობიექტურ პირობებთან ერთად ხელს უწყობდა ქვეყნის ყოველმხრივ დაწინაურებას. ასეთი პოლიტიკის წყალობით, საქართველოს ფეოდალური მონარქია სულ მალე უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა წინა აზიაში. დავითმა და მისმა მემკვიდრეებმა: დემეტრე I, გიორგი III და განსაკუთრებით თამარმა, არამარტო თავისი ქვეყნის საზღვრიდან გარეკეს თურქ-სელჩუკები, არამედ მთელი ამიერკავკასიიდან ამოაკვეთინეს მათ ფეხი. მეზობელი ქვეყნები — სომხეთი და შირვანი (აწინდელი აზერბაიჯანი) საქართველოს მფარველობაში შემოვიდნენ. ასე, რომ, საქართველოს სამეფოს საზღვრები მაშინ „ზღვიდან ზღვა-მდე“ გადაიჭიმა და ის მთელი ამიერკავკასიის მფარველი და მფლობელი გახდა. საგულისხმოა, რომ XII საუკუნეში და XIII ს-ის დამდევისათვის მთელ წინა აზიაში არ მოიძებნებოდა სხვა ქვეყანა, რომელიც სამხედრო ძლიერების თვალსაზრისით საქართველოს გატოლებოდა. თამარის დროინდელი საქართველოს ძლიერების დამადასტურებელ ნიმუშად, გარდა ბასიანის ომისა, შესაძლებელია ქართველთა მიერ ტრაპიზუნის იმპერიის დაარსება და ირანის დახარკვაც სრულიად საკმარისად აღმოჩნდეს. ცხადია, რომ ძლევამოსილი ომებიც, თავის მხრივ წარმოადგენდნენ სახელმწიფოს შემოსავლის მძლავრ წყაროს (ალაფი, ხარკი), ხოლო ყველაფერი ეს საქართველოს საკუთარ სამეურნეო შემოსავალთან ერთად, ნამდვილად იყო საქართველოს ეკონომიკური ძლიერების ურყევი საფუძველი. სწორედ ამით იყო შეპირობებული ის დიდი მნიშვნელობა, რომელსაც აღგილი ჰქონდა საქართველოში განვითარებული ფეოდალიზმის დროს. დამახასიათებელია, რომ დღესაც თითქმის ყველა ნანგრევს ძველი ეკლესიის, ხიდის, არხისა თუ ციხის, თამარისად მიიჩნევს ხალხი. რა-



საქვირველია, ყველაფერი ეს არ შეიძლება თამარის დროს კულტურული ფილიკ აგებული, მაგრამ ხალხის ასეთი გუმანი, აზრი იმის მოწმობად მაინც შეიძლება მივიჩნიოთ, რომ საერთოდ, მშენებლობა მის დროს საქართველოში გაძლიერებული მასშტაბებით უწარმოებიათ. ყოველ შემთხვევაში, ამის დასარწმუნებლად მარტო კლდეში ნაკვეთი ქალაქი — ვარძია სრულიად საქმარისია და რამდენი პირველხარისხოვანი ძეგლი: გელათი, შიო-მღვიმე, ბეთანია, ყინწვისი, რუსთავი, ღმანისი და სხვა უმშვენებს მას მხარს. მაგრამ, კარგად ცნობილია, რომ დაახლოებით XIII საუკუნის ორმოციან (გვიანთეოდალური ხანა) წლებიდან ქართველი ხალხის ისტორიაში დიდი გარდატეხა ხდება. ფეოდალიზმი საქართველოში ვერ დამთავრდა უფრო პროგრესული წყობილების დამყარებით. იგი ჩიხში მოქცა. ამის მიზეზი გახლდათ ის „უამთა სიავე“, რომელიც ამ დროიდან მოკიდებული გარეშე მტერთა შემოსევების, აოხრება-აწიოკების თუ სხვა უბედურებათა სახით თავს დაატყდა საქართველოს და რომელსაც XIX საუკუნის დამლევიდე არ შეუწყვეტია თავისი გამანალგურებელი მოქმედება. თათარ-მონღოლების თითქმის ასწლოვანი ბატონობა, თემურლენგის ექვსგზის მოწყობილი კატასტროფული თავდასხმა საქართველოზე, რომლის შესახებ დიდი ქართველი მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი სრულიად გადაუჭარბებლად ამბობდა: „თემურ-ლენგის შემოსევის შემდგომ საქართველო განმანალგურებელი მიწისძერისა და ბორბალ-ქარისაგან დაზიანებულს ქვეყანას მიაგვდა. ჩვენ ერსა და სამშობლოს თავისი ხანგრძლივი არსებობის დროს ხშირად უნახავს დიდი უბედურება, მაგრამ თემურ-ლენგისაგან ჩადენილი მტარვალობის მსგავსი მას არასდროს თავს არ დასტყდომია“<sup>5</sup>. მაგრამ თემურ-ლენგის შემდეგაც შემოსევები იშვიათი მოვლენა როდი ყოფილა საქართველოს ისტორიულ სინამდვილეში: ჯეპან-შაპის და უზუნ-ჰესანის, თურქ-ოსმალოების თუ ყიზილბაშების და ათასგვარი სხვა გადამთიელი აბრაგისაგან არც შემდგომში ჰქონდა მოსვენება საქართველოს. გარდა ამისა, ანალოგიურ მოვლენათა შედეგად ჩვენი ქვეყნის მრავალი აყვავებული სოფელი და ქალაქი „ალიგავა პირისაგან ქვეყნისა“ და საქართველოს მთა და ბარი ნანგრევებით მოიფინა. XV საუკუნიდან ქართველთა ერთიანი ფეოდალური მონარქიაც დაეცა და დაიმალა სამ სამეფოდ (ქართლი, კახეთი, იმერეთი) და ერთ წა-

<sup>5</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1948, გვ. 17.

მთავროდ (სამცხე-საათაბაგო). მიუხედავად გვიანთეოდალური შემთხვევა  
ქართველოს რთული ისტორიული გითარებისა და ქვეყნის ეკო-  
ნომიკური ძლიერების დასუსტებისა, დროდადრო მოკლე ხნით  
შექმნილ ცოტა თუ ბევრად ხელსაყრელ პირობებს ქართველი  
მეფე-მთავრები მოხერხებულად იყენებდნენ და ეკლესია-მონას-  
ტრების მშენებლობასთან ერთად საერო დანიშნულების შენო-  
ბებსაც აგებდნენ.

როგორც ვხედავთ, ჩვენ დრომდე მოღწეული მატერიალური  
კულტურის, კერძოდ, არქიტექტურული ძეგლები უსიტყვო მოწ-  
მენი არიან ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი წარსულისა, წე-  
რილობით წყაროებთან ერთად ნამდვილად ძნელია ამ ძეგლების  
მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება ჩვენი ქვეყნის ისტორიის  
შესასწავლად და გასაგებად.

ზემოთ აღნიშნული ისტორიული ექსკურსი მიზნად ისახავდა  
წარმოგვედგინა სურათი ჩვენი ქვეყნის დამპყრობთა ხშირი შემო-  
სევების შედეგად გამოწვეული ნგრევისა და კვლავ შენებისა, რაც  
ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ნება-უნებურად აცხოველებდა  
სამშენებლო კერამიკის წარმოებას და იხალ-ახალ, ხშირად უფრო  
ეკონომიკურ ფორმებს ნერგავდა მასში.

სამშენებლო პირამიდა აღრევეობალური ხანის  
 საჩართველოში

სამშენებლო საქმეში თიხა უძველესი დროიდან არის გამოყენებული. თავდაპირველად იგი იხმარებოდა როგორც მოწნული სახლის შესალესი მასალა. თანდათანობით თიხის დაყალიბებისა და გამოცვის გამოცდილებამ, აგრეთვე გარემო პირობებისაგან კარგად დაცული საცხოვრებლის აგების აუცილებლობამ ადამიანი მიიყვანა ჯერ გამოუწვავი, ხოლო შემდეგ გამომწვარი აფურის შექმნის საჭიროებამდე<sup>1</sup>.

გამომწვარი აფური უძველესი დროიდან არის გამოყენებული მესოპოტამიისა და მოხუცო-დაროს (ინდოეთი) ნაგებობათა მშენებლობაში (III ათასწლეული)<sup>2</sup>. იგი ნახმარია აგრეთვე ეგვიპტის ფარაონთა XIX და XX დინასტიების (1330—1090 წწ.) დროინდელ მავზოლეუმებშიც<sup>3</sup>.

ბ. კუფტინის ვარაუდით, III ათასწლეულის დამდეგამდე თბილისიდან, ვიდრე არარატამდე მდებარე ტერიტორიაზე, ვრცელდებოდა გარკვეული ხასიათის კულტურა (თანამედროვე მტკვარ-არაქსის — ჭ. ჭ.), რომლის წრიულ ნაგებობათა არქიტექტურაში უმთავრესად გამოუწვავი აგურია გამოყენებული<sup>4</sup>.

ჩვენში ალიზით მშენებლობის უძველეს ტრადიციებზე კიდევ უფრო ნათელი წარმოდგენა შევიქმნა უკანასკნელ ხანებში ცენტრალურ ამიერკავკასიაში გამოვლენილმა და შესწავლილმა

<sup>1</sup> С. К. Дикshit, Введение в археологию, М., 1960, гл. 229.

<sup>2</sup> Г. Чайлд, Прогресс и археология, М., 1943, гл. 92.

<sup>3</sup> А. Лукас, Материалы и ремесленные производства Древнего Египта, М., 1958, гл. 105.

<sup>4</sup> Б. А. Куптини, Урартский «Колумбарий» у подошвы Араката и Куро-Аракесский энеолит. Вестник гос. муз. Грузии, 1944, XIII—B, гл. 135.



ე. წ. „შულავერ-შომუთეფეს“ ტიპის ძეგლებმა (V—IV ათასწლეულის ული), სადაც ერთადერთ ძირითად სამშენებლო მასალად, მართლაც, გამოუწვავი აგურია გამოყენებული<sup>5</sup>.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გამომწვარი აგურის უძველეს ნიმუშად შესაძლოა ჩაითვალოს სოფ. ოზნიში, ენეოლიტური ნასახლარის გათხრისას აღმოჩენილი სხვადასხვა ზომის გამომწვარი აგურები (გამოკრელი მათ ასე უწოდებს — ჭ. ჭ.), რომელებისგანაც სამსხვერპლო იყო შედგენილი<sup>6</sup>.

ძვ. წ. პირველი ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში ჩვენში მშენებლობისას აღიზის აგურთან ერთად ფართოდ არის გამოყენებული კრამიტიც, რასაც ცნობილი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი (ძვ. წ. I ს. — ახ. წ. I ს.) აღნიშნავს: „იბერია მეტწილად კარგად არის დასახლებული ქალაქებითა და დაბებითაც ისე, რომ იქ არის კრამიტიანი სახურავები, სახლები არქიტექტურულად მოწყობილი“<sup>7</sup>.

როგორც ფიქრობენ, სტრაბონის ეს საინტერესო ცნობა ასახავს ძვ. წ. II საუკუნის ვითარებას<sup>8</sup>.

მცხეთაში და მის მახლობელ მიდამოებში ფართოდ გაშლილმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა (სამთავრო, ბაგინეთი, არმაზისხევი, წიწამური, სარკინე, ძალისა, სამადლო და სხვ.), მრავალი ღირსშესანიშნავი ძეგლის აღმოჩენასთან ერთად, დაადასტურა სამშენებლო კერამიკის — კერძოდ, ბრტყელი და ლარისებრი კრამიტის ფართოდ გამოყენება, რამაც ცხადყო სტრაბონის ცნობის სიმართლე.

მათი აღმოჩენის ვითარება ამტკიცებს, რომ კრამიტი საგანგებო დანიშნულების ნაგებობათა გადასახურავად იხმარებოდა, ხოლო „კრამიტის სახურავიანი სახლები გაბატონებული ფენის საკუთრებას წარმოადგენდა“. როგორც წესი, მათ მიუწვდებოდათ ხელი კრამიტის სახურავიანი სახლებისათვის, სხვაგვარად არც კია

<sup>5</sup> И. Г. Нариманов, Археологические исследования поселения Шомутепе в 1963 г., АИА, Баку, 1955; ა. ჭაფარიძე, ა. ჭავახიშვილი, უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, 1971; А. И. Джавахишвили, Строительное дело и архитектура поселений южного Кавказа V—III тыс. до н. э., Тб., 1973.

<sup>6</sup> Б. А. Куптий, Археологические раскопки 1947 г. в Цалкинском р-не, 1948, გვ. 40.

<sup>7</sup> თ. ყ ა ფ ხ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის „გეოგრაფია“, 1957, გვ. 127.

<sup>8</sup> А. И. Болтуниова, Описание Иберии в «Географии» Страбона, ВДИ, 4, 1947, გვ. 142—160.



მოსალოდნელი, კრამიტით გადახურვა სამედო კონსტრუქციების  
ნაგებობას გულისხმობს; ასეთი სახლები იძერის სამეფოს რიგით  
მოქალაქეებს, რა თქმა უნდა, არა ჰქონდათ<sup>9</sup>.

ასეთი სურათი საერთოდ დამახასიათებელი ყოფილა ანტიკუ-  
რი ხანის ქალაქებისათვის<sup>10</sup>.

ამრიგად, ანტიკური ქალაქების მოსახლეობის სოციალური  
და ეკონომიკური უთანასწორობა გამოხატულებას პოვებს სამშე-  
ნებლო კერამიკის, კერძოდ, კრამიტის გამოყენებაშიც.

როგორც ირკვევა, ანტიკური ხანის ქართლის სამეფოში  
ბრტყელი კრამიტი „უკლებლივ დაზგაზე უყალიბოდ უკეთებიათ“,  
ხოლო ღარისებრი „კერამიკულ ჩარხხეა ნაკეთები“ და საერთოდ,  
იძერიაში „კრამიტის წარმოება ძვ. წ. III—IV საუკუნეებში კარ-  
გად უნდა ყოფილიყო ცნობილი<sup>11</sup>.

ბაგინეთისა (ახ. წ. I ს.) და არმაზისხევის ერისთავ-პიტიახ-  
შების (ახ. წ. II—III სს.) აბანოთა მშენებლობაში გამოყენებუ-  
ლი სხვადასხვა მოყვანილობა-სიღიღის აგურთა და საიზოლაციო  
კრამიტების, აგრეთვე იქაც და საერთოდ მცხეთაშიც ახ. წ. I—III  
საუკუნეების ქვის ღიღი ფილებით ნაგებ სამარხებში იატაკისა-  
თვის საგანგებოდ დამზადებული ნაჩვრეტებიანი კერამიკული  
ფილების ხმარება საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ იმ-  
დროინდელი კერამიკული სახელოსნოები (ერთი მათგანის ნაშ-  
თი, როგორც ცნობილია, ბაგინეთის კლდის ძირას აღმოჩნდა)  
ამზადებდნენ სხვადასხვაგარ სამშენებლო კერამიკულ მასალას,  
რაც გვიანანტიკური ხანის საქართველოში სამშენებლო კერამიკის  
წარმოების მაღალ ღონის მოწმობას.

აღრეფეოდალური ხანის საქართველოში მშენებლობისას კერა-  
მიკა გვიანანტიკურ ხანასთან შედარებით უფრო ფართოდაა გა-  
მოყენებული. ამას აღასტურებს არქეოლოგიური გათხრების შე-  
დეგად გამოვლენილი ძეგლების გარდა (მცხეთაში, უჯარმაში,  
რუსთავში, ვაშნარში, ბიჭვინთაში, ყულევში და სხვ.) მიწისზედა  
შემორჩენილი სასიმაგრო თუ საკულტო ნაგებობანიც.

<sup>9</sup> ა. აფაშიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, 1963, გვ. 70.

<sup>10</sup> В. Ф. Гайдукевич, Строительные керамические материалы Боспора, ИГАИМК, вып. 104, 1934, გვ. 247.

<sup>11</sup> ა. აფაშიძე, სამშენებლო კერამიკის წარმოების საკითხისათვის ანტი-  
კური ხანის ქართლის სამეფოში, ისტ. მსტარუტის შრომები, IV, ნაკ. II, 1959, გვ.  
106, 117, 127.

ზოგ შემთხვევაში იგი სამარხების აღნაგობაში კვლავ ამონა და მცირებულებაში წილების, მაგალითად, ისევე, როგორც გვიანი ანტიკური წანის მცხეთის სამაროვნებში (სამთავრო, სადგური, არმაზისხევი)<sup>12</sup>, ურბნისში (თიხის სარკოფაგებთან ერთად) აღმოჩენილია კრამიტით ნაშენი სამარხები, უმთავრესად, ბავშვებისა (IV—V საუკ.)<sup>13</sup>. ისინი ნაგები არიან ჩვენში ანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი ზომამოყვანილების კრამიტებით, რომლებიც სამარხთა კედლებს შეადგენენ, სახურავად კი დაფარებული აქვთ ბრტყელი სწორკუთხოვანი აგურები.

არმაზისხევში აღმოჩენილ № 35 ქვის სამარხეს<sup>14</sup>, რომელიც ეკუთვნის არა უადრეს IV საუკუნეს (უფრო ზუსტად ვერ თარიღდება), იატაკი მოგებული ჰქონდა მომცრო სწორკუთხოვანი აგურებით. ეს იქნება ამ, თითქოს გვიანდელი სტანდარტის უძველესი და ეგებ უნიკალური შემთხვევაც ჩვენში.

ადრეფეოდალური ხანის ქველებში აღმოჩენილია რელიეფური ჯვრისა და ცხოველის გამოსახულებანი ანტეფიქსები: რუსთავში<sup>15</sup> — ჯვრიანი, აღაიანში<sup>16</sup> — ცხვრის პროტომით შემკული. ურბნისში აღმოჩენილია სამი ანტეფიქსი. ერთ მათგანზე დაბალი რელიეფური ტვიფრით გამოყვანილია ჯვარი და მარჯვენა პროფილში მდგომი სტილიზებული ირემი, რომელსაც თითქოს ვეღრების ნიშნად მარჯვენა ფეხი აქვს ოდნავ აწეული. მეორე ანტეფიქსზე ტვიფრით ორი განედლებული ჯვარია გამოსახული, ხოლო მესამეზე — ერთი<sup>17</sup>.

ურბნისის გარეუბანში, ქვაცხელაში აღმოჩენილი ანტეფიქსი წარმოადგენს წრიულ ჩარჩოში მოთავსებული სტილიზებული ირმის ფიგურას, ფეხებს შორის და ზურგზე თითო პატარა ცხოველით<sup>18</sup>. ეს ანტეფიქსი დაბალი რელიეფური ტვიფრით არის

<sup>12</sup> ა. ი ფ ი ძ ე, გ. გ ო ბ ე ჭ ი შ ვ ი ლ ი, ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, გ. ლ ო მ-თ ი ძ ე, მცხეთა, I, 1955, გვ. 90.

<sup>13</sup> გ. ლ ო მ თ ი თ ი ძ ე, ურბნისის ნაქალაქარის არქეოლოგიური კალევის დასაწყისი, მაცნე, 1964, 2, გვ. 92.

<sup>14</sup> მცხეთა I, გვ. 18.

<sup>15</sup> საქართველოს არქეოლოგია, 1959, გვ. 349.

<sup>16</sup> ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1958 წ. სეზონის ძროთადი შედეგებისათვის, ისტ. ინსტიტუტის საველე-არქ. სესიის თეზისები, 1959, გვ. 15.

<sup>17</sup> 3. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ნაქალაქარი ურბნისის ხუროთმოძღვრება, 1965, გვ. 67.

<sup>18</sup> ა. ლ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ლ ლ ო ნ ტ ი, ურბნისი, I, 1962, გვ. 3.

გამოყვანილი და მისი კომპოზიცია ძალზე ემსგავსება გვიანძლებული  
კური ხანის ცხოველთა გამოსახულებიან ბრინჯაოს ბალთებს.

რელიეფურ-ჭვრიანი კრამიტები შემორჩენილი აქვს კახეთის VIII—IX სს. საკულტო ნაგებობებს<sup>19</sup> (გურგაანის ცეკვაშინდა, გუმბათოვანი ტაძარი ვაჩინაძიანთან, აკურის მამა-დავითი). ჭვრიანი კრამიტები სამონასტრო კერამიკული სახელოსნოების პროდუქციას უნდა წარმოადგენდნენ, ცხოველთა გამოსახულებათა რაობა და მათი მიმართება საერო თუ საკულტო ნაგებობებისადმი მთლიად ნათელი არ არის.

განსაკუთრებით ოლსანიშნავია ურბნისში, ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი შორენკეცის ნატეხი<sup>20</sup>. მასზე საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ იმიტომ, რომ იგი ჭერჭერობით ერთადერთი ნიმუშია, გათხრებით მოპოვებული, აღრეფეოდალური ხანიდან მომდინარე შორენკეცისა. შორენკეცის ნატეხი, რომელიც დათარიღებულია VI—VII სს-ით, ლ. ჭილაშვილის ვარაუდით, აღვილობრივი, ურბნული წარმოშობისა უნდა იყოს<sup>21</sup>. შორენკეცი წითლადაა გამომწვარი. იგი ნაკლულია, მაგრამ მის ზედაპირზე მაინც შეიმჩნევა საბეჭდავის საშუალებით სამ რიგად გამოყვანილი გამოსახულება. ზედა რიგზე ვაზის რტოა მტევნებითურთ, შუა რიგში მაღალფეხა თასის წინ ფარშევანგია გამოსახული. იგი მარცხენა პროფილშია მოცემული. ფარშევანგს თავი დაწინწყლული აქვს, წინ წამოწეული მკერდი ღრმულ-წერტილებითაა დამუშავებული. ფრთები ზევით აქვს აწეული და, როგორც ჩანს, მთელი სხეულით თასისაკენ მიიწევს.

მტევნებიანი ვაზის და ფარშევანგის გამოსახულება საკმაოდ გავრცელებული ჩანს აღრეფეოდალური ხანის ქართულ ორნამენტიკაში. ისინი გამოსახულია ამ პერიოდის ქვის სტელებზე და საკულტო ნაგებობებზე. ფარშევანგის გამოსახულება უკვდავებისა და გაზაფხულის ძველი ქრისტიანული სიმბოლოა<sup>22</sup>.

იგი ამშვენებს ბოლნისის ტაძრის სანათლავის ერთ-ერთ კაპიტელს<sup>23</sup>.

<sup>19</sup> Г. И. Чубинашвили, Архитектура Кахетии, 1959, გვ. 307.

<sup>20</sup> ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, 1964, გვ. 117—118.

<sup>21</sup> იქ ვვ, გვ. 118.

<sup>22</sup> ლ. მუსეელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები მაშვერის ხეობაში, 1941, გვ. 19—21.

<sup>23</sup> Г. И. Чубинашвили, Болниский Сион, ენციკლოპედია, IX 1940, ტაბ. IV.

2. გამლეთ ჭლამია



ცნობილია ფარშევანგის გამოსახულებიანი ქვის სვეტიკაშვილის გეჩაურიდან<sup>24</sup>.

სამთავროს სამაროვნის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩნდა მინის ფიალა, რომელზედაც გამოსახული იყო ფარშევანგი, სიცოცხლის ხე და ბერძნული წარწერა: „შესვი, იცოცხლე“. იგი IV—VI სს. ეკუთვნის<sup>25</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, ურბნისის ნაქალაქარში აღმოჩნდილი შორენეცი ნაკლულია. მაგრამ ანალოგიურ სიუჟეტურ მოტივებზე დაყრდნობით ლ. ჭილაშვილი ვარაუდობს შორენეციზე ამობეჭდილი თასის მეორე მხარეს თასისკენ პირშექცეული ფრინველის გამოსახულების არსებობას<sup>26</sup>. ერთმანეთის პირისპირ გამოხატული ორი ფრინველის, ცხოველის ან ქვრის გამოსახვა საერთოა ქართული, ამიერკავკასიური და მახლობელი აღმოსავლეთის ხელოვნებისათვის.

ამგვარი კომპოზიციური მოტივები განსაკუთრებით ჭარბად გვხვდება ჩვენში გვიანთეოდალური ხანის ხეზე კვეთილობაში.

როგორც აღრეფეოდალური ხანის ნასახლართა გათხრები (რუსთავი, ურბნისი) გვიჩვენებს, ამ პერიოდის რიგითი მოსახლეობის საცხოვრებელი ნაგებობანი ძირითადად რიყის ქვითა და ალიზით არის ნაგები, სახურავი — ბანურია, კრამიტი კი იშვიათად თუა გამოყენებული. ჩანს, მოსახლეობის ფართო მასებისათვის სახლების ასაგებად რიყის ქვისა და ალიზის, როგორც სამშენებლო მასალის შოვნა-დამზადება უფრო მარჯვე და ეკონომიკურად ხელმისაწვდომი ყოფილა, ვიდრე აგურისა და კრამიტის შეძენა, რომელნიც, როგორც ხელოსნობის პროდუქტი, ბევრად უფრო ძვირფას სამშენებლო მასალას წარმოადგენდა.

აღრეფეოდალური ხანის საქართველოში კრამიტი, როგორც სამშენებლო მასალა, გამოიყენებოდა განსაკუთრებული ზრუნვისა და ყურადღების არეში მყოფ ნაგებობათა დასახურავად. მაგალითად, კრამიტით ყოფილა დაბურული სიმაგრეთა კოშკები (უჯარმა, უფლისციხე) და ყველა საკულტო ნაგებობა. ამ უკანასკნელთა გადახურვის შესახებ აკად. გ. ჩუბინაშვილი წერს, რომ

<sup>24</sup> Р. М. Вайдов, Раннесредневековое городище Судагылан (Мингечаур), КСИИМК, 1954, № 10 с. 133, Мингечаур в III-VIII вв., 1961, № 47.

<sup>25</sup> 6. უ გ რ ე ლ ი ძ ე, ფარშევანგის გამოსახულებით შემკული მინის ჭურჭელი სამთავროდან, მიმომზილებული, II, 1953, გვ. 312.

<sup>26</sup> ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, 1964, გვ. 317.

მათი სახურავი ყოველთვის კრამიტით იყო დაფარული, დაწყვეტილი ბული VI საუკუნიდან XII ს.-მდე და შემდეგ, XVI საუკუნის ჩათვლით, არა მარტო საქართველოს, არამედ სომხეთის ძეგლებშიც<sup>27</sup>.

6. მარი ანისის სასახლის კარის საყდრის აღწერისას აცხადებს, რომ „კრამიტით გადახურვა დამახასიათებელია სომხეთის უძველეს ნაგებობათათვის და იგი დიდხანს იყო გავრცელებული, მაგრამ, როგორც ჩანს, VII საუკუნიდან დაიწყო კრამიტის შეცვლა ქვის ფილებით“<sup>28</sup>.

6. მარის მოსახრება სომხეთის საკულტო ნაგებობებში კრამიტის, როგორც სახურავი მასალის, ქვის ფილებით — ლორფინით შეცვლის შესახებ, ქრონოლოგიურად დაზუსტებული აქვს 6. ტრიკარსკის, რომლის სიტყვითაც, „სომხეთის საკულტო ნაგებობებში X საუკუნიდან კრამიტის ნაცვლად ფართოდ გავრცელდა ქვის ფილები“<sup>29</sup>.

ამრიგად, გარკვევით ჩანს, რომ კრამიტი საკულტო ნაგებობათა დასაბურავ ძირითად მასალას წარმოადგენდა აღრეფეოდალური ხანის საქართველოს და აგრეთვე სომხეთის ძეგლებში, რომელსაც თანდათანობით შენაცვლებია მასზე ბევრად უფრო გამძლე და საიმედო სახურავი მასალა — ლორფინები, რომელთა დაგებისას უკვე აღარ იქნებოდა საჭირო დუღაბში ლრმად ჩამჯდარი კრამიტების რამდენიმე ფენის მომზადება და ა. შ.

აღრეფეოდალური ხანის ჩვენებური კრამიტის მეტად ყურადღისალებსა და თავისებურ ტიპს წარმოადგენს ფართო, ორმაგი, ნაირპროფილიანი კრამიტი, რომლითაც თავდაპირველად დაბურული ყოფილა ნეკრესის სამეკლესიანი ბაზილიკა (VI—VIII სს.) და რომლის ცალებიც ახლაც არის ძეგლის სახურავზე შემორჩენილი<sup>30</sup>. ცხადია, რომ იგი წარმოადგენს ბრტყელი და ღარისებრი კრამიტის შერწყმას და გვგონია, ასეთი კრამიტი შემდეგ წარმოშობილი ლორფინების პროტოტიპი უნდა იყოს (ტაბ. I, 1, 2).

ამ ტიპის კრამიტი სპეციალურ ლიტერატურაში არ არის მოთითებული და იგი არ ჩანს არც აღრეფეოდალურსა და არც

<sup>27</sup> Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тб., 1959, გვ. 140.

<sup>28</sup> Н. Я. Марр, Описание дворцовой церкви в Ани, 1916, გვ. 20.

<sup>29</sup> Н. М. Токарский, Архитектура древней Армении, 1946, გვ. 339.

<sup>30</sup> Г. Н. Чубинашвили, დამოწმებული ნაშრომი, გვ. 174.



გვიანანტიკურ ხანაში<sup>31</sup>. იგი ცნობილია მხოლოდ ელინისტური ხანით, კორინთული კრამიტის სახელით.

ვ. გაიდუკევიჩი ამ ტიპის კრამიტის შესახებ აცხადებს: „ბოსფორში, ისევე, ოოგორც ჩრდილო შავიზღვისპირეთის სხვა კოლონიებში, აქამიდის არ არის აღმოჩენილი ასეთი კერამიდეს კირაზია, რომელიც კალპტერისა და ბრტყელი კრამიტის ერთად შერწყმას წარმოადგენს. მისი დამზადება უთუოდ რამდენადმე რთული იყო და ჩანს, ამიტომ საერთოდ არც იქნენ გამოყენებულნი. სხვათა შორის, ასეთი კრამიტი თვით საბერძნეთშიაც ნაკლებად იყო გავრცელებული“<sup>32</sup>.

ჩვენში ამ ტიპის კრამიტი ნეკრესის გარდა ცნობილია მცხეთის ანტიოქიიდან (VII ს.). თელავ-ალვანის ექსპედიციაში (1962 წ.) მონაწილეობისას ნახული გვაქვს აგრეთვე ალვერდში (XI ს.), ხოლო 1963 წლის ექსპედიციისას — არმაზისხევის მონასტრის (XII ს.) განათხრებშიც.

ასე რომ, ჩვენში ამგვარი კრამიტი საქამიანოდ გავრცელებული ჩანს, რაც თვალნათლივ მოწმობს ქართველი მეკრამიტების მაღალ ხელოვნებას და ნოვატორულ შემოქმედებას. მათვის ამ მათ მიერვე შექმნილი ტიპის — კრამიტის კეთება, ეტყობა, არ ყოფილა საძნელო საქმე.

დასავლეთ საქართველოს ადრეფეოდალური ხანის ძეგლთა (ვაშნარის<sup>33</sup>, ბიჭვინთის<sup>34</sup>, ყულევის<sup>35</sup>) თხრამ გამოარკვია, რომ კრამიტით დაბურული სახურავი იქაც ძირითადად საკულტო ნაგებობებს ჰქონიათ.

ადრეფეოდალურ ხანაში კრამიტის არაპირდაპირი დანიშნულებით (ე. ი. აგურის მაგიერ) გამოყენების მაგალითს იძლევა გარდციხის ზღუდის ერთ-ერთი კედლის შერეულ წყობაში აგურის ნაცვლად რამდენიმე წყობა კრამიტის ფენა. ანალოგიური

<sup>31</sup> ეს დავვიდასტურა პროფ. ვ. გაიდუკევიჩმა პირად საუბარში.

<sup>32</sup> В. Ф. Гайдукевич, Строительные керамические материалы Боспора, Известия ГАИМК, Вып. 104, 1934, გვ. 236.

<sup>33</sup> В. А. Леквиnadze, Материалы по монументальному строительству в Лазике, საქ. სახელ. მუზეუმის მომბეჭ, ტ. XXII—13, გვ. 164.

<sup>34</sup> რ. რამიშვილი, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში, მასალებ საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ნაკვ. III, 1963, გვ. 70, 71. თმიქელაძე, ბიჭვინთის ორაფსილიანი კედლები, იქვე, გვ. 127.

<sup>35</sup> ნ. ხოშტარია, სოფ. ყულევის არქეოლოგიური გამოკვლევა, საქ. მეცნ. აკად. მთამბე, 1946, № 1—2, გვ. 81.



შემთხვევა არის დაღასტურებული სოხუმის ციხის კედლის შენარჩუნების გაშიც<sup>36</sup>.

აღრეფეოდალური ხანის კრამიტი თავისი მოყვანილობით არ განსხვავდება ადგილობრივი ანტიკური კრამიტისაგან. მას ისეთივე ტრაპეციისებური მოყვანილობა აქვს, ოლონდ მასზე უფრო პატარა და თხელი, ხოლო ხარისხით ნაკლები.

აღრეფეოდალური ხანის ბრტყელი კრამიტის სანიმუშო ზომებია (სათანადო განათხართა ანგარიშებისა თუ მიწისზედა ძეგლების მიმოხილვათა მიხედვით):

ურბნისისა —  $41 \times 21 \times 20,5$  სმ;  $45 \times 34 \times 24$  სმ; სისქე —

1,5 სმ;

ქვაცხელებისა —  $48 \times 32 \times 29$  სმ;  $36 \times 34 \times 23$  სმ; სისქე —

1,5 სმ;

უგარმისა —  $46 \times 44 \times 30$  სმ; სისქე — 2 სმ;

ვაშნარისა —  $45 \times 28 \times 22$  სმ;  $45 \times 31 \times 25$  სმ; სისქე — 1,5 სმ;

ბიჭვინთისა —  $40-45 \times 27-30 \times 19,5-21,5$  სმ; სისქე —

1,5 სმ;

თბილისისა — (ერეკლე II-ის მოედანზე 1956—57 წწ. გათხ-

რებისას აღმოჩენილი) —  $37 \times 27,5 \times 21$  სმ;  $33,5 \times 23,5 \times$

19 სმ; სისქე — 2 სმ.

გურჯაანის ყველაწმიდისა —  $39 \times 25 \times 19$  სმ; სისქე — 1,5 სმ.

მათი აკეცილი გვერდების სიმაღლე 3,5—5 სმ-მდეა.

იმავდროული ღარისებრი კრამიტის ზომის დანამდვილებით დადგენა ძნელდება, რადგან თხრისას თითქმის მათი მხოლოდ ნატეხები გვხვდება ხოლმე, რადგან ისინი მოღუნული არიან. მაგრამ, რასაკვირველია, მათი სიგრძე შესაბამისი ბრტყელი კრამიტის სიგრძეს უნდა ემთხვეოდეს.

აღრეფეოდალური ხანის კრამიტის ზომის შემცირების მიზეზის ახსნა არსებულ ლიტერატურაში არსად ჩანს ნაცადი. ჩვენი აზრით, ეს მოვლენა გადახურვის კონსტრუქციის შემსუბუქებისა და აგრეთვე კრამიტის დამზადებისა და ხმარების რაციონალურიციისადმი მიღრეკილებით უნდა იყოს გამოწვეული.

აღრეფეოდალური ხანის კრამიტის ზომების შემცირებასთან უნდა იყოს დაკავშირებული მის ფართო ბოლოში ჭერ გარდი-

<sup>36</sup> В. А. Леквиnadze, დამოწმებულინაშრომი, გვ. 81.



გარდმო ღარის, ხოლო შემდეგ გარდიგარდმო დაბალი „ლობებული წარმოქმნა. ეს ელემენტი, სიგანეზე საგანგებოდ გავლებული ღარი (კრამიტის ფართო ბოლოში ნაპირიდან 3-ოდე სმ-ის დაშორებით), რომელიც უერთდება კრამიტის გვერდის ძირის საჭვიმარ ღარებს, კარგად ჩანს ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფეოდალური ხანის ექსპოზიციის კრამიტებზე (საინვ. №1 : 56 : 76; 1 : 58 : 2037), რომლებიც ურბნისიდან მომდინარეობენ და დათარილებულნი არიან IV—VII საუკუნეებით (ტაბ. II, სურ. 1, 2).

ჩვენი აზრით, ეს გარდიგარდმო ღარი გზას აძლევდა მათზე დადებული კრამიტიდან ჩამოლვრილ წვიმის წვეთებს და ხელს უშლიდა მათ შებრუნებას კრამიტის ძირში (წყლის წვეთებზე დაკვირვებით ეს გარემოება ადვილად შეიმჩნევა) და სახურავში გაუონვას.

ადრეფეოდალური ხანის ბრტყელი კრამიტები, რომლებსაც ფართო ბოლოში გარდიგარდმო დაბალი „ლობე“ აქვთ, კარგად არიან დათარილებული. მაგალითად, 1957 წელს ობილისში ერეკლე II-ის მოედანზე თხრისას (ორმო № 27-ში) აღმოჩენილ კრამიტებს (თბილისის მუზეუმის საინვ. №№ 1920—57; 1760—57) გამოხველები VII—VIII სს. აკუთვნებენ<sup>37</sup>. მათ ფართო ბოლოში 0,5 სმ სიმაღლე და 4 სმ სიგანე გარდიგარდმო „ლობე“ აქვთ ამოყვანილი. ასეთი „ლობეები“ აქვთ ვაშნარის კრამიტებს (VII—VIII სს.).

ზემოთ აღნიშნულ კრამიტებზე გარდიგარდმო დაბალი ლობის ამოყვანაც (ეს ელემენტი ადრეფეოდალურ ხანაში სხვაგან არსად უჩანს, შუაფეოდალურში — კი), როგორც უკვე იყო აღნიშნული, წვიმის წვეთების სახურავში გაუონვის თავიდან ასაცილებლად უნდა იყოს შემოლებული წესად. ამ გარდიგარდმო დაბალი „ლობის“ სიგანე ყოველთვის შეესაბამება იმავე კრამიტების გვერდებზე სხვა კრამიტებში შესაღებელად ამოჭრილი „უბეების“ სიგრძეს, რომელიც 4—5 სმ არ აღემატება. ანტიკური ბრტყელი კრამიტი კი სახურავზე დაგების დროს ლრმად (ზოგჯერ 12 სმ-მდე) ჯდებოდა მის წინ მდებარე კრამიტში და ამით წვიმის წვეთების სახურავში გაუონვის საშიშროება აღიკვეთებოდა.

<sup>37</sup> ი. გრ ძელიშვილი, ს. ტყეუშელაშვილი, თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბ., 1961, გვ. 41.



ამრიგად, თუ ჩვენი დაკვირვები სწორობით გამოიყენოთ, რომ აღრენებული თაღის შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღრენებული ხანის კრამიტზე არსებული გარ და-გარდმო დაბალი „ღობე“ წარმოადგენს აღრენების მნიშვნელობით გავლებული გარდიგარდმო ღარის განვითარებას და მისი წარმოქმნა, მოტანილი მასალების საფუძველზე, VII—VIII სს. უნდა ვივარაუდოთ.

აკად. ივ. ჯავახიშვილი თავის საფუძვლიან ნაშრომში ქართული ხელოვნების შესახებ აღნიშნავს, რომ ძეველ ქართულში ტერმინ „აგურის“ მაგიერ არის „ალიზი“ და ალიზი მარტო გამოუწვავი აგურის აღმნიშვნელი კი არ იყო ძეველად, არამედ გამომწვარისაც.

„ეს იქიდან ჩანს, — წერს იგი, რომ — „საპმილი ალიზისად“ არსებობდა, რაც ალიზის გამოსაწვავ ღუმელს ნიშნავს<sup>38</sup>.

ტერმინი „აგური“ X საუკუნეზე აღრინდელ ქართულ ძეგლებში არსად გვხვდება. პირველი ცნობა მის შესახებ ჯუანშერ ჯუანშერიანის საისტორიო თხეზულებაში არის დაცული: „რომელ დაემორჩილნეს ყოველნი ნათესავნი ნოესნი, ვიდრემდის შეუძლო ქმნად ქალაქი, რომლისა ქვად შექმნა ქვა ოქრო, და ხარისხად ვეცხლი, და გარემოს მისა მოიქმოდა აგურითა და კირითა“<sup>39</sup>.

ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ XI საუკუნეში აგური „ჩვეულებრივი სიტყვაა“ და გამოთქვამს ვარაულს, რომ ის „X საუკუნეშიც იქნებოდა, იქნებ IX-შიც, მაგრამ უფრო აღრე არა, იქ ჟველგან ალიზია“<sup>40</sup>.

ქართულში შემოსულ ტერმინ „აგურს“ იუსტ. აბულაძე სპარსულში ამავე მნიშვნელობით ხმარებულ „ახურს“ უკავშირებს<sup>41</sup>.

ტერმინ „აგურის“ შემოსვლა ქართულში არ არის დაკავშირებული ჩვენში გამომწვარი აგურის პირველად გაჩენასთან. გამომწვარი აგური რომ ჩვენში კარგად არის ცნობილი ანტიკური ხანიდან, ამას აღასტურებს ბაგინეთისა (ახ. წ. I ს.) და არმაზის-

<sup>38</sup> ივ. ჯავახიშვილი, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, 1946, გვ. 150.

<sup>39</sup> ქართლის ცხოვრება, I, 1955, ვ. 161.

<sup>40</sup> ივ. ჯავახიშვილი, დამოშებული ნაშრომი, გვ. 151.

<sup>41</sup> იუსტ. აბულაძე, „შავნამეს ანუ მეფეთა შიგნის“ ქართული ვერსიების ლექსიკონი, 1961.



ხევის (ახ. წ. II—III სს.) აბანოთა მშენებლობაში სხვა ზოგი მუშაობა ზომა-მოყვანილობის გამომწვარი აგურები. საფიქრებელია, რომ იმ დროს მასაც „ალიზი“ ეწოდებოდა.

ტერმინ „აგურის“ დამკვიდრებაშ „ალიზის“ ცნება კონკრეტული გახადა და ამ უკანასკნელს მხოლოდ გამოუწვავი აგურის მნიშვნელობადა დაუტოვა.

აგური არ წარმოადგენს ქართული არქიტექტურის ძირითად დამახასიათებელ სამშენებლო მასალას. როგორც გ. ჩუბინიშვილი აღნიშნავს, „თუმცა ჩვენში კარგადაა ცნობილი აგური (რომლის კეთებასაც ხელს უწყობენ მისთვის განსაკუთრებით შესაფერისი მდიდარი ბუნებრივი პირობები საქართველოში), ქართული მხატვრული არქიტექტურა განვითარდა, როგორც ქვიანი არქიტექტურა და ამ მხრივ იჩენს დიდ კულტურას“<sup>42</sup>.

აგური საქართველოს ადრეფეოდალური ხანის საერო თუ საკულტო ნაგებობათა მშენებლობაში გამოყენებულია როგორც არა ძირითადი, არამედ მხოლოდ დამხმარე საშენი მასალა. მას ვხედავთ V—VI საუკუნეებით დათარიღებულ სასიმაგრო ნაშენობაში — შორაპანში, სკანდეში, ვარდციხეში, ტოლებში, სადაც ციხეთა ზღუდეები ნაგებია ბიზანტიური ეპოქისათვის დამახასიათებელი არქიტექტურული წესით: ოთხკუთხა თლილი ქვებითა და მათ შუა ხანგამოშვებით დატანებული სხვადასხვა ზომის აგურების ამდენიმე წყებით.

როგორც ცნობილია, ასეთი წყობა (*opus mixtum*) იხმარებოდა ჯერ რომის იმპერიის ხანის, ხოლო შემდეგ ადრებიზანტიურ (IV—VI სს.) არქიტექტურაში კედელშეყობის სიბრტყეთა მოსწორებისა და განმტკიცების მიზნით. მართალია, ადრეფეოდალური ხანის საქართველოს საკულტო ნაგებობათა მშენებლობაში, როგორც უკვე ითქვა, უმთავრესად ქვა გამოიყენებოდა, მაგრამ, არც თუ იშვიათად, აგურის სახით წარმოდგენილი სამშენებლო მასალაც იყო ქვასთან ერთად ნახმარი.

დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ეკლესიის სეფიეთის ბაზილიკის (VII ს.) მშენებლობაში ქვასთან ერთად აგურის ფენა-ფენა ზოლებია დაყოლებული.

ვაშნარის ნაქალაქარის თხრის დროს აღმოჩენილ ბაზილიკასა და მავზოლეუმში, რომლებიც VI—VII სს. თარიღდება<sup>43</sup>, ნახმარია

<sup>42</sup> გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული არქიტექტურის განვითარების გზები, 1936, გვ. 81.

<sup>43</sup> В. А. Леквиnadze, დამოწმებულინაშრომი, გვ. 167.



სხვადასხვა ზომის ბრტყელი აგურები. ზოგიერთ აგურს ბრტყელი ჟედაპირზე ორივე მხარეს გამოწვამდე ურთიერთგადამკვეთრი არები აქვს გავლებული (როგორც მიჩნეულია, ისინი ხელს უწყობენ აგურის დუღაბში დამაგრებას)<sup>44</sup>.

ბიჭვინთაში გათხრილი ორაფსიდიანი ეკლესია (VI ს-ის დასაწყისი) ნაგებია შერეული მასალით: კირქვის კონგლომერატის ნატეხებით და ბრტყელი ოთხკუთხა აგურებით. ამ ნაგებობის კუთხები და სართავი თაღი ნაგებია განსაკუთრებული მოყვანილობის საგანგებოდ დამზადებული სქელი ფიგურული აგურით, რომელსაც ერთი განიერი ბოლო მომრგვალებული აქვს (სისქე — 5 სმ), ხოლო მეორე — სოლისებური (სისქე — 2 სმ)<sup>45</sup>.

ამრიგად, ბიჭვინთის ორაფსიდიანი ეკლესის მშენებლობაში ნახმარი განსაკუთრებული მოყვანილობის აგური შეიძლება მიჩნეულ იქნეს აღრეფეოდალური ხანის საქართველოში მშენებლობაში ამ ტიპის აგურების გამოყენების ჯერჯერობით პირველ ნიმუშად, რომელიც VI საუკუნის დამდეგს მიეკუთვნება.

(აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ჩევნში გვიანანტიკურ ხანაშიც მზადდებოდა საგანგებო მოყვანილობის აგურები. მაგალითად, კალორიფერის მრგვალი სვეტებისათვის, რომლებსაც ვხედავთ ბაგინეთისა (I ს.)<sup>46</sup> და არმაზისხევის (II—III სს.) აბანოებში<sup>47</sup>.

1956 წელს ურბნისის ნაქალაქარში გათხრილი ნაგებობა ნატეხი და რიყის ქვასთან ერთად წყობაში დაყოლებული ქვადრატული და მოგრძო აგურთა ფენებით იყო ნაგები.

ასეთი წყობა, როგორც იყო აღნიშნული, რომაული და ადრებიზანტიკური ხანის მშენებლობისათვისაა დამახასიათებელი და დაღასტურებული დასავლეთ საქართველოს მრავალ ძეგლში (შორისაბანი, სკანდე, ვარციხე, ვაშნარი და სხვ.), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს განათხარ ძეგლებში მსგავსი წყობის აღმოჩენის ჯერჯერობით პირველი შემთხვევაა<sup>48</sup>.

<sup>44</sup> В. Ф. Гайдукевич, Памятники раннего средневековья в Тиритаки, СА, № 4, გვ. 200.

<sup>45</sup> თ. მიქელა ძე, ბიჭვინთის ორაფსიდიანი ეკლესია, მასალები საქართველოს და ქავკასიის არქეოლოგიისათვის, III, 1963, გვ. 130.

<sup>46</sup> ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, 1963, გვ. 38.

<sup>47</sup> მცხეთა, I, გვ. 150.

<sup>48</sup> გ. ლომთათიძე, ურბნისის ნაქალაქარის არქეოლოგიური კვლევის წერილში, „მაცნე“, 4, 1964, გვ. 231.



საქართველოში აღრეფეოდალური ხანის ძეგლებს შორის მთლიანად აგურით ნაგები მხოლოდ ორი ნაგებობაა აშენებული ცნობილი — რუსთავის ციხის ძეგლი აბანო, რომელიც თარიღდება გვიანანტიკურისა და აღრეფეოდალურის მიჯნით<sup>49</sup> და ოზა-ანის „ამაღლება“ — IX ს.<sup>50</sup>

თბილისის VIII—IX საუკუნეებით დათარიღებული ზღუ-დე-ბურები<sup>51</sup> ნაგები წრიან შერეული წყობით: ქვის უსწორო ფორმის ფილები ჩამჯდარი არიან აგურის წყობაში. აგურის პორიზონტული ზოლები მისდევენ კედელს და აესხენ უსწორო ქვებს შორის დარჩენილ მანძილებს. ამ წყობაში სხვადასხვა ზო-მისა და სისქის აგურებია ჩართული.

აგური, როგორც სამშენებლო მასალა, მისი სწორი მოყვა-ნილობის გამო მეტად მოსახერხებელი და საიმედოა, ამიტომაც იგი კახეთის VIII—IX საუკუნეების საკულტო და საერო ნაგებო-ბებში, რომლებიც ძირითადად რიყის ქვითაა ნაგები, გამოყენე-ბულია კონსტრუქციული საპასუხოსმგებლო სდეგილების ზო-საყვანად. აგურის ამგვარი გამოყენება მშენებლობაში განსაკუთ-რებით დამახასიათებელია კახეთის პოლიტიკური ძლიერებისა და კულტურული გაფურჩქვნის ხანის ნაგებობებში<sup>52</sup>.

აგური რომ კახეთში უძველესი დროიდან არის ცნობილი, ამას ადასტურებს საბაშმინდის ბაზილიკის (VI ს.) ნანგრევები კარდანახთან, რომლის სახურავი აგურით ყოფილა აშენებული<sup>53</sup>, მაგრამ როგორც ზემოთ იყო უკვე აღნიშნული, აგურის ხმარება უფრო VIII—IX საუკუნეთა ძეგლებშია ფართოდ წარმოდგენი-ლი. მაგალითად, ალვანის ნათლისმცემლის ბაზილიკის მშენებლობაში<sup>54</sup>, რიყის ქვასთან ერთად სვეტებისა და თაღების ამოსა-ყვანად სხვადასხვა ზომის აგურებია გამოყენებული; მთლიანად აგურით ამოშენებული თაღები აქვს ითანე ზედაზნელის მონასტ-რის ბაზილიკას<sup>55</sup>, ხოლო კედლის წყობაში კი აგური რიყის ქვას-

<sup>49</sup> 6. მ ა მ ა ი ა შ ვ ი ლ ი, რუსთავის ციხის ძეგლი აბანო, ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნ. მუშავთა XII სამეცნიერო კონფერენცია, კრებული, 1961, გვ. 344.

<sup>50</sup> Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 357.

<sup>51</sup> В. Цинцадзе, Тбилиси, 1958, გვ. 94.

<sup>52</sup> Г. Н. Чубинашвили, ღამოწებული ნაშრომი, 1959 გვ. 94.

<sup>53</sup> ი ქ 3 0, გვ. 143.

<sup>54</sup> ი ქ 3 0, გვ. 94.

<sup>55</sup> ი ქ 3 0, გვ. 97.



თან ერთად არის ნახმარი; აკურის დავით გარეჯის ბაზილეს მიერთონა აგური ძირითადად დეკორატიულ ნაწილებშია ნახმარი და მას სამისოდ შესაფერისი ნალისებური ფორმაც აქვს, ხოლო სვეტები მრგვალი აგურებითაა ამოყვანილი, ვაზისუბანთან (ურიათუბანთან) მდებარე სანაგირის ბაზილიკა რიყის ქვითა და აგურით არის ნაგები და ორი სტანდარტის აგურია გამოყენებული (23—24×23—24×6 სმ; 21—22×21—22×5 სმ); უკანასკნელ შემთხვევაში, აგური უფრო პატარაა, ვიდრე კახეთის იმავე ხანის სხვა ძეგლებში და როგორც გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, ასეთი ზომის აგურები უფრო გვიანდელი პერიოდის ნაგებობებისათვის არის დამახასიათებელი<sup>57</sup>; ყველაწმინდის მონასტრის გუმბათიანი ეკლესია ვაჩაძიანთან რიყის ქვითაა ნაგები, მაგრამ ტრომპები, თალები და სარკმლის სართავი ნაწილები და აგრეთვე გუმბათი ნაგებია სხვადასხვა ზომის აგურებით<sup>58</sup>.

როგორც ვხედავთ, ზემოთ ჩამოთვლილ შენობებში ძირითად საშენ მასალას წარმოადგენს რიყის ქვა, რომელიც კახეთის მდინარეთა პირას დიდძალი რაოდენობით მოიპოვება, მაგრამ აგურსაც გარკვეული მტკიცე ადგილი აქვს მინიჭებული კონსტრუქციული და დეკორატიული მნიშვნელობის არქიტექტურული ფორმების გამოყვანაში.

ყურადსალებია, რომ დასახელებულ საყდართა წყობაში სულ სხვადასხვა ზომის აგურებია გამოყენებული.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ნაგებობაში სხვადასხვა ზომის აგურის გამოყენება იმით აისწება, რომ ისინი სხვადასხვა სახელოსნოს ნაწარმს წარმოადგენენ<sup>59</sup>.

ჩვენი აზრით, შერეულ წყობაში კი სხვადასხვა ზომის აგურების გამოყენება ოვით წყობის ამა თუ იმ თავისებური დანიშნულებით უნდა აისწენას. ასეთ წყობაში აგურს თითქოს აეისრია სხვადასხვა ზომა-მოყვანილობის ქვებს შორის დარჩენილი ადგილების შევსება და ამით წყობის სიბრტყის მოსწორება. ეს კი სხვადასხვა ზომის აგურებით უფრო მოსახერხებელი იქნებოდა და ჩანს, ამიტომ იყო, რომ მშენებლები მათ საგანგებოდ არჩევდნენ ხოლმე.

<sup>57</sup> Г. Н. Чубинашвили, დამოუმჯდომარებულინაშრომი, გვ. 110.

<sup>58</sup> იქ 3 ვ, გვ. 140.

<sup>59</sup> იქ 3 ვ, გვ. 289.

<sup>59</sup> М. А. Каргер, Древний Киев, т. I, 1952, გვ. 456; В. А. Рыбаков, Ремесло древней Руси, 1948, გვ. 358; ლ. რჩეულიშვილი, თილვა, 1959, გვ. 10.



თუ ეს ასე არ იყო, მაშინ როგორ უნდა აიხსნას ის გარემონტაჟი  
რომ მთლიანად აგურით ამოყვანილ ნაგებობებში მხოლოდ ერთი  
ზომის აგურია გამოყენებული? მაგალითად, შეგვიძლია დავასახე-  
ლოთ: იგივე რუსთავის ციხის ძელი აბანო ( $13 \times 23 \times 4$  სმ); ოზაა-  
ნის „ამაღლების“ საყდარი ( $24 \times 24 \times 5$  სმ); ყინწვისის ტაძარი  
( $24 \times 24 \times 4$  სმ); ტიმოთესუბნის ღიღი ტაძარი ( $25 \times 25 \times 6$  სმ) და  
სხვ.

ეტყობა ამ ნაგებობათა მშენებლობაში მთლიანად თითო სა-  
ხელოსნოს ნაწარმია ნახმარი. მაში, მით უფრო, რატომღა დას-  
ჭირდებოდათ კახელ მშენებლებს თავიანთ ნაგებობებში ძირი-  
თად საშენ მასალასთან, რიყის ქვასთან შედარებით, აგურის  
(ბრტყელისა და არაფიგურულის — ჭ. ჭ.) მცირე რაოდენობა  
სხვადასხვა სახელოსნოებიდან მიეზიდათ ან ადგილზევე სხვადა-  
სხვა ზომის აგურები ემზადებინათ?

გვგონია, რომ ჩვენ მოსახრებას უნდა ამაგრებდეს გ. ჩუბი-  
ნაშვილის მიერ აკურის დავით გარეჭელის ბაზილიკის მშენებლო-  
ბაში აგურის გამოყენების შესახებ საუბრისას მოტანილი შემდეგი  
დაქვირვება: „სხვადასხვა ზომის, ხოლო ერთნაირი სისქის აგუ-  
რის ხმარება გამომდინარეობს რიყის ქვის წყობიდან“<sup>60</sup>.

საქართველოში ადრეფეოდალური ხანის ნამოსახლართა გა-  
ნათხრები (რუსთავის, ურბნისის) გვიჩვენებენ, რომ იმდროინ-  
დელი რიგითი მოსახლეობის საცხოვრებელ ნაგებობებში სამშე-  
ნებლო კერამიკა ძალიან ნაკლებად არის გამოყენებული და რომ  
მას ფართო გამოყენება პქონია განსაკუთრებული დანიშნულების  
მქონე (საკულტო, ზღუდე-ბურჯები, კოშკები) ნაგებობათა მშე-  
ნებლობაში.

## თავი II

### სამშენებლო კერამიკა უშავეოდალური ხანის საქართველოში

რუსთაველის ხანაში, ზოგადად XI—XIII საუკუნეებში,  
საქართველომ, როგორც ცნობილია, თავისი პოლიტიკური ძლიე-  
რების, ეკონომიკური და კულტურული განვითარების უმაღლეს  
დონეს მიაღწია. ყოველმხრივ მძლავრმა ქართულმა ფეოდალურ-

<sup>60</sup> Г. Н. Чубинашвили, დამოშებული ნაშრომი, გვ. 110.



გა სახელმწიფომ ნივთიერი და კულტურული ოღმავლობაში მონაცემი თარებაში მეტად ხელსაყრელი ნიადაგი შექმნა მეურნეობის მრავალი დარგის განვითარება-გაძლიერებისათვის.

განსაკუთრებით განვითარდა ხელოსნობა და ვაჭრობა, რაც დიდად უწყობდა ხელს უკვე არსებული ქალაქების ზრდა-განვითარებას და ახალ ქალაქთა წარმოქმნას.

საქართველოს იმ დროის ქალაქებიდან თბილისის გარდა, ცნობილია: ქუთაისი, დმანისი, თელავი, სამშვილდე, ახალქალაქი, ახალციხე და სხვ. იმ ქალაქებში წარმოდგენილი იყო ხელოსნობის თითქმის ყველა დარგი, რომელიც საერთოდ არსებობდა.

ქალაქებში მომუშავე ხელოსანთა ნაწარმი, კერძოდ, სამშენებლო კერამიკაც ვაჭრობის საგანს წარმოადგენდა. ცხადია, ასეთ პირობებში ყოველი ხელოსანი ცდილობდა უფრო აემაღლებინა თავისი ნაწარმის ხარისხი, რაც საბოლოოდ ხელს უწყობდა ხელოსნური წარმოების ყოველი დარგის კიდევ უფრო დაწინაურებას. ასეთ სამეურნეო-პოლიტიკურ იღმავლობაშია სწორედ სავარაუდებელი ხელოსნობის საერთო მასიდან ქალაქური ხელოსნობის გამოყოფა. ქალაქში მომუშავე ხელოსნები წარმოების ხარისხის მიხედვით გაცილებით უფრო მაღლა იდგნენ, ვიდრე სოფელში მომუშავენი. საქალაქო ცხოვრების განვითარება, ხელოსნური წარმოების ზრდა ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ამქრულორგანიზაციათა წარმოშობისათვის. თბილისში X—XI საუკუნეებში უკვე არსებობდა ხელოსანთა ამქრული ორგანიზაციები<sup>61</sup>.

არქეოლოგიურად ამას ემოქმება თბილისში 1948—49 წწ. გათხრილი კერამიკულ სახელოსნოთა ნაშთები. იქ, უპირველეს ყოვლისა, საქმე გვაქვს კერამიკული წარმოების გარევეულ ცენტრთან, სადაც მუშაობდა მთელი ჯგუფი ხელოსნებისა<sup>62</sup>. ამის თვალნათლივ მაჩვენებელია ის გარემოება, რომ განათხარში იღმოჩნდა ერთიმეორის მახლობლად 7 ქურა. ქურათა რიცხვი და წარმოების გადანაყარის (წუნი) სიმრავლე გვამცნობს, თუ რა დიდი რაოდენობით მზადდებოდა იქ კერამიკული ნაწარმი.

ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ზღუდესთან გათხრილ ამ ქურებში აშკარაა იწვებოდა მხატვრული გემოვნებით დამზადებული სხვადასხვაგვერდი მოჭიქული ჭურჭელი. საღმე ახლოს კი

<sup>61</sup> ვ. მესხია, თბილისის სტორა, 1958, გვ. 49.

<sup>62</sup> გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წ. ზომთარში, მასალები საქ. და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. I, 1955, გვ. 132 — 144.



ალბათ მოუჭიქავიც იწვებოდა და მინის ჭურჭელიც კეთდეს შესაბულებული გადანაყრის შემაღენლობის მიხედვით.

ქურათა ზედა ნაწილი დანგრეული აღმოჩნდა, მაგრამ შემორჩენილი ნაშთების მიხედვით მტკიცდება, რომ ქურის საძირკველი ქვებით არის ამოყვანილი, ხოლო მისი კედლები და თაღები ბრტყელი კვადრატული აგურებით (რომლებიც გამომწვარი ჩანა უფრო ქურის მუშაობის პროცესში, ვიდრე იმთავითვე). მართალია, ეს ქურები მეჭურჭლე ხელოსნებს ეკუთვნოდა, მაგრამ იქვე ახლოს უნდა ყოფილიყო აგრეთვე სამშენებლო კერამიკის გამოსაწვავი ქურებიც, რომელთა არსებობაზედაც მკაფიოდ მეტყველებს იმავე ექსპედიციის მიერ ძველი გადანაყრიდან ამოკრებილი სამშენებლო კერამიკის მოჭიქული და მოუჭიქავი ნაწარმის ნიმუშები<sup>63</sup> და აგრეთვე ლამაზად ნაწყობი აგურით აშენებული ფართო კიბე სახელოსნოს მახლობლად.

ინტერესმოკლებული არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ როგორც ცნობილია, ქურებითა და ღუმელებით აღჭურვილი და მუდმივი ცეცხლით მომუშავე კერამიკული ოუ სხვა მსგავსი სახელოსნოები ყოველთვის ქალაქის გარეუბნებში იყვნენ განლაგებული შეაქალაქში ხანძრის საშიშროების გამო. ასეთივე სურათი არქეოლოგიურად დადასტურებულია ორენ-ყალაშიც<sup>64</sup>.

შეაფერდალურ ხანაში სამშენებლო კერამიკის წარმოებასა და გამოყენებას უფრო ფართო მასშტაბი მიუღია წინა ხანასთან შედარებით. ამას ამტკიცებს როგორც იმდროინდელი შემორჩენილი აგურის ნაგებობანი, ისე არქეოლოგიური თხრით მოპოვებული მასალა.

აგურის როლი ქართულ არქიტექტურაში არასოდეს ყოფილა წამყვანი, ძირითადი და დამახსაითებელი. რადგან საქართველოში უხვად არსებული ნაირნაირი სამშენებლო ქვები მათი გამოყენების ფართო შესაძლებლობას იძლეოდა, ქვისაღმი, როგორც საშენი მასალისადმი, უღიდესი უპირატესობის მინიჭება სავსებით კანონზომიერი ჩანს.

მართალია, ჩვენში აგური საუკუნეთა მანძილზე დამხმარე მასალად იყო მიჩნეული და იგი არ კარნახობდა თავისითვის შესატყვისს სახეს — ხუროთმოძღვრებას, მაგრამ მისი სხვადასხვა სახით გამოყენებამ, ჩანს, გარკვეული ტრადიცია შეუქმნა შუაფერ-

<sup>63</sup> გ. ლომთათიძე, დამოწმებული ნაშრომი, გვ. 151.

<sup>64</sup> А. А. Иессен, Городище Орен-Кала, МИА, 67, 1959, გვ. 43.



დალურ ხანაში მთლიანად აგურით ნაგები შესანიშნავი მუდმივი რომოლვებას. (ყინწვისი და ტიმოთესუბანი XII—XIII სს. მიჯნა) ზე-რომოლვებებას.

3. ზაქარაიას აზრით, აგურით ნაგები ტაძრების ნიმუშები XII საუკუნის პირველ ნახევარშიც გვაქვს: „XII საუკუნის I ნახევარში დავით ოღმაშენებლის მიერ შიო-მღვიმეში აგებული ტაძრი აგურისა უნდა ყოფილიყო. ძნელია რაიმე გარკვეულის თქმა, თუ როგორი იყო ნაგებობა, რომლის კედლის ფრაგმენტები ჩაყოლებულია ბეთანიის ტაძრის დასავლეთ ნაწილში, მაგრამ, ერთგანაც და მეორეგანაც ლირსშესანიშნავი სწორედ ფაქტია თავისთვალი, რომ ამ პერიოდში აგურის ნაგებობა არსებობდა“<sup>65</sup>.

რუსთაველის ეპოქის საერთ ნაგებობებში აგურის ფართოდ გამოყენების საუცხოო მაგალითს იძლევა გეგუთის სასახლე, აშენებული მეფე გიორგი მესამის, თამარის მამის მიერ. სასახლის უდიდესი ნაწილი შესანიშნავად გამომწვარი „არაჩვეულებრივად მტკიცე ხარისხის“ აგურით არის ნაგები<sup>66</sup>.

ყურადსალებია მოგზაურ-მკვლევრის დიუბუა დე მონპერეს ცნობა, რომ XIX საუკუნის დამდევისათვის გეგუთის სასახლის ნაგრევებიდან წალებული აგური ქუთაისის სხვადასხვა შენობათა ასაგებად გამოყენებიათ, რაც იმ აგურის ლირსებას მოწმობს. იმავე ავტორის ცნობით, გეგუთის სასახლის მახლობლად ქუთაისის მიმართულებით, ორი აგურის ხიდი ყოფილა აშენებული<sup>67</sup>.

სოხუმის მახლობლად მდ. ბესლეთზე აგებული ქართულ-წარწერიანი ხიდის (XI—XII სს.) მშენებლობაში ქვასთან ერთად აგურიც არის გამოყენებული<sup>68</sup>. აგური გამოყენებულია აგრეთვე სხალტბა-შიომღვიმის 1202 წ. წყალსადენის მშენებლობაში<sup>69</sup>. აქ ჩვენ ნიმუშად ვასახელებთ მხოლოდ რამდენიმე ძეგლს, ტიპურსა და საგანგებოდ შესწავლილს არქეოლოგიურადაც.

შუაფეოდალური ხანისათვის მშენებლობაში აგურის როლის გაძლიერების მიზეზის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს.

<sup>65</sup> 3. ზაქარაია, შუასაუკუნეების ქართული გუმბათოვნი არქიტექტურის ზოგიერთი საკონსაკრაციის, საქ. მუზეუმის მოაბე, XII—B, 1958, გვ. 90.

<sup>66</sup> 3. შილო სანი, გეგუთი, რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, 1938, გვ. 462.

<sup>67</sup> 3. შილო სანი, დამოწ. ნაშრომი, გვ. 454.

<sup>68</sup> ლ. ჩჩეულიშვილი, ნ. ჩუბინიშვილი, XI—XII სს. ხიდი ბესლეთზე, „რუსთაველის ეპოქის მატერიალური“, 1938, გვ. 267.

<sup>69</sup> შ. ხიდიშვილი, სხალტბა-შიომღვიმის 1202 წ. წყალსადენი. საიუბილეური კულტური, 1938, გვ. 238.

დ. გორდე ევის მიხედვით, „XII საუკუნეში საქართველოში წარმოიქმნა ოქიტექტურული სკოლა, რომელიც ჰქონია და უმთავრესად აგურით, მაშინ როცა ძველი სკოლა საამისოდ ხმარობდა მხოლოდ ქვას. ეს უკანასკნელი სკოლა გაბატონებული იყო, მაგრამ მოწინავედ უკვე აღარ ითვლებოდა“<sup>70</sup>.

3. ზაქარია არ იზიარებს გორდეევის მოსაზრებას და სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ „შემორჩენილი ძეგლებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით, დღეს ჩვენ არა გვაქვს საშუალება ვამტკიცოთ, რომ XII ს. ბოლოსა და XIII ს. პირველ მეოთხედში ხუროთმოძღვრების დარგში წამყვანი სწორედ აგურის ნაგებობანი იყო და არა პირიქით. ერთი რამ ცხადია, რომ ამ ეპოქაში საუკუნეებით ჩამოყალიბებული „ქვის ოქიტექტურის“ გვერდით გაჩნდა მეორე „აგურის ხუროთმოძღვრება“, მაგრამ პირველი კიდევ დიდხანს რჩებოდა გაბატონებულ სახედ და ბრძოლის არენა საბოლოოდ მაშინაც კი არ დაუტოვებია, როდესაც XVI—XVII საუკ. სხვადასხვა მიზეზების გამო, პირველ რიგში გამოდის სწორედ „აგურის ოქიტექტურა“<sup>71</sup>.

შუაფეოდალურ ხანაშიც გრძელდება შერეულ წყობაში აგურის ფართოდ გამოყენება, ოლონდ ახლა წყობა სულ სხვაგვარია: ქვას ირგვლივ უწყობენ აგურებს, ამის მაგალითებს იძლევა კუხეთის რუსთავის, თბილისისა და მისი დედაციხის ალდეგნილი ზლუდვები და არმაზისხევის მონასტრის ეკლესია (XII ს.), რომელიც ნაგებია ქვითა და სხვადასხვა ზომის აგურებით. ასეთი წყობა ხშირად არის გამოყენებული ქართულ არქიტექტურაში და მისი საგანგებო შესწავლა სხვადასხვა პერიოდში მისი ხასიათის გამორკვევის საშუალებას მოვცემს<sup>72</sup>.

საქართველოში წარმოებულმა შუაფეოდალური ხანის ნამოსახლარების თხრამ გვიჩვენა, რომ აგური საცხოვრებელი სახლების შენებლობაში ნაკლებად ყოფილა გამოყენებული და იქაც უპირატესობა ქვას ენიჭებოდა.

დღანისში საცხოვრებელი სახლების დიდი უმრავლესობა ნაგებია ქვით, ხოლო აგური უმთავრესად ზუხრებისა და თახჩების

<sup>70</sup> დ. გორდე ევი, ტმოთესუბანი, „საბჭოთა ხელოვნება“, 1940, № 4, გვ. 48.

<sup>71</sup> პ. ზაქარია, ღმოვ. ნაშრომი, გვ. 91.

<sup>72</sup> Р. Шмерлинг, К вопросу о времени возведения храма в монастыре Армази, близ Мцхета, საქ. მეცნ. აკად. საზოგად. მეცნ. განყოფილების მოამბე, I, 1961, გვ. 231.

ամուսացանագա նաեմարո; քանի ու ածանու մշենեթլոծամու կը վայել  
տան յրտագ աշուրու մոնաթուլուն73.

Այս տուզը և սպառատու հայտազու նայալայարու և նաբուզարու տերուսաս ցամուլունու նացեթօնեթմու, սադաւ սաելլեթու ու սամեցունեու-թամեթարու շենոնծաւ մորուածա հոսու վայուա նացեթո, եռլու աշուրու շմեթեսագ ութայու սացենագ և տոնեթեթու ցար-շեմուսաթպոնծագ արու ցամուցենեթուլո. Այս տուզը զուարեթա անցր-ծանչանու ցանատերեթմո. մացալուած, որեն-պալու նայալայարուն XII—XIII սացյանցեթու յոմթլեյքսեթմո աշուրու մեռլուած տոնեթեթու ուրցուլու արու շեմութպոնծուլո, եռլու սացեռուրեթելո նացե-թոնծանու վայուա և ալունիտ արու նացեթմո74.

Վայելու ցանչու (XII և.) նացեթօնատա նորցքը յրտսա և ոմա-ց վայունու ցամուցենեթուլու հորցորու ցամութվարո, ույ ցամու-թվաց աշուրու (ալունիտ). ցամութվարու աշուրու անցրեթուլու կը դալու ցարցու նորու, եռլու մուզնուա մեսարց ալունիտա նացեթմո75, հաւ, ծունցեթրուցու, ցամութվարու, շուրու ժուրու աշուրու մոմպուրնեոնծու սնցա ակենան.

Թաթլոնծու ալմուսավլուատու վայելունու արյութեթուրամո ալուն-իտ նացեթ շենոնծատա ցամութվարու աշուրու մուկուրյեթեթա մի նանա-մու գուգագ պուտու ցարցուլութուլու և մաս յունեթրույքուլու ցանունցուլութուլու գյունոն76.

Մուլուանագ աշուրու նացեթ շենոնծու (սաելլունծու, մացեռ-լութմեթո) անցրեթանչանու մութ-թպալու հնցեթա XII սացյան XII նաեցարմուն77, ույ հորցորու նորցագագ հցենմո (ոլոնճ պի մացեռ-լութմեթու արա).

XI—XIII սացյանցեթմո սայարտայլունու ուրտուա ցամլունմա սացյալուսու և սայրու մշենեթլոնծու, հանս, գուգու մոտեռունուլունու թացյան կը համույթ թարմունծաւ: ու մանամու աշուրու մեռլուած տալունու ցամասացանագ և վայու վայունու սիմթուլու ցանամլութեթ-լունու ումարցեթու, աելու սկզբ նորց ուրտու մուլուանագ անցնագ

<sup>73</sup> Ե. Թ Ս Ե Յ Լ Ո Յ Յ Ո Լ Ո, գունանու, հայտայլու յակովու մարտ. յալութու, 1938, 83. 359.

<sup>74</sup> А. Л. Якобсон, Раскопки из Городище Орен-Кала, МИА, 67, 1959, 83. 69.

<sup>75</sup> С. М. Ализаде, К изучению народного зодчества Азербайджана, ИАН Аз ССР, № 4, 1951, 83. 75.

<sup>76</sup> Д. Засыпкин, Архитектура Средней Азии, 1948, 83. 14.

<sup>77</sup> Архитектура Азербайджана Эпохи Низами, М., 1947, 83. 356.



აგურით და თან ძვირფასი სასახლეებისა თუ იმავე ეპლუშელი მომავალი ნასტრების მშენებლობაშიც იჩებს თავს საგანგებო კერამიკული მოსაპირკეთებელი მასალა — შორენკეცები. იმდროინდელი ქართული სათუნე წარმოების შესანიშნავ მიღწევად უნდა ჩაითვალოს სხვადასხვაფერად მოჭიქული, მოხდენილი და ტექნიკურად სრულყოფილი, ხშირად თეთრკეციანი შორენკეცების მრავლად დამზადება. იმის მიხედვით, თუ შენობის რა ნაწილისათვის იყო განკუთვნილი, მზადდებოდა სხვადასხვა ფორმისა და ზომის მოჭიქული შორენკეცები, რომლებიც თავიანთი საამური ფერითა და ბრწყინვალებით დიდად უწყობდნენ ხელს შენობათა საერთო მხატვრული იერის სრულყოფას.

ამას თან მოჰყვა აგრეთვე მოჭიქული კრამიტის გაჩენა. არსებული მასალებისა და ხელმისაწვდომი სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით შუაფეოდალურ ხანაში საქართველოს ფარგლებს გარეთ მოჭიქული კრამიტი არსად გვხვდება. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ XII საუკუნეში გაჩენილი მოჭიქული კრამიტი მარტოდენ საქართველოსათვის არის დამახასიათებელი. თუ ეს ვარაუდი დამტკიცდა, ერთი ყველაზე უფრო საინტერესო მოვლენა გვექნება შუაფეოდალური საქართველოს მშენებლობისა და კერამიკის წარმოებაში — ნოვატორობის, თავისთავადობის მომასწავებელი. მრავალფრად მოჭიქული შორენკეცები და კრამიტები ყურადღებას იქცევს მათი გამოსაწვავი თიხის გულდაგულ შერჩევითა და საყალიბებლად შემზადებით. გამოწვის მაღალი ხარისხი და ფერადი ჭიქურის ბრწყინვალება პირველი შეხვედრისთანავე ეცემა თვალში აღამიანს.

არქეოლოგიური თხრით დმანისში, თბილისში თუ კუხეთის რუსთავში აღმოჩენილი შორენკეცების უმეტესობას სამწახნაგოვან-პრიზმული განივევეთი აქვს, ხოლო მათი გვერდები დანით არის ჯერ კიდევ ნედლ თიხაზე ამოლრმავებული, დუღაბში უკეთ ჩამაგრებისათვის. მათი გამოსაჩენი ზედაპირი უმთავრესად ფირუზინფერ ან მწვანე ჭიქურითაა დაფარული, ჭიქურის ქვეშ კი თიხაზე თეთრი ანგობია გადავლებული. მათი საშუალო სიგრძე უდრის 10 სმ; სიგანე — 5 სმ; სიმაღლე — 6 სმ. ზოგი მათვანის მოჭიქული ზედაპირი გვამცნობს, რომ ისინი კედლების კუთხეების მოსაპირკეთებლად ყოფილან განკუთვნილი. ეს კი იმას მიუთითებს, რომ ხელოსნებს წინასწარ დაკვეთით უკეთებიათ შორენკეცები. სცოდნიათ, თუ რა მოყვანილობისა და ზომის დეტალები სჭირდებოდათ მშენებლებს (ტბ. III, IV, V).



შორენკეცები იხმარებოდა არა მატერიალური ნაგებობათა კედლებზე და შესამკობად, არამედ ჩშირად იატაქზე მოსაფენადაც. ამას ამტკიცებს 1948 წ. თბილისში გათხრილი კერამიკული სახელოსნო, საღაც აღმოჩნდა ექვსკუთხა, სწორკუთხა და კვადრატული ჯერ მოუკიდევი თუ უკვე მოჭიქული შორენკეცები. მათი გამოყენების ჯერჯერობით პირველ, შესანიშნავ მაგალითს გვაძლევს ოზაანის „ამაღლების“ ტაძარი (კახოვში), რომლის იატაკი XII საუკუნეში ხელახლა შეკეთების შემდეგ მოუფენიათ ტოლგვერდა, სამკუთხა, ექვსკუთხა და რომბისებური მოჭიქული ფილებით. ზოგ მათგანზე სერაფიტის ტექნიკით გამოხატულია მცენარეული ორნამენტი. ფილა — შორენკეცები დაფარულია ყავისფერი, ფირუზისფერი და მწვანე ჭიქურით.<sup>78</sup> მაისურაძის აზრით, „ოზაანის მხატვრული კერამიკა არ არის შემთხვევითი მოვლენა და ამიტომ გამონაკლისიც. ამგვარი კერამიკული შექმულობა საერთო ნაგებობებს, ციხე-დარბაზებსა და სასახლეებსაც ამშვენებდა, რომლებიც კიდევ ელიან გათხრა-შესწავლას და გამოვლინებას<sup>79</sup>.

როგორც ჩანს, ქართული არქიტექტურისათვის ეს ახალი მოსაპირკეთებელი მასალა რუსთაველის ხანაში ფართოდ ყოფილა გამოყენებული როგორც საერო, ისე საეკლესიო შექნებლობაში. ტიმოთესუბნის (XII ს.) გუმბათის ყელს დღესაც ამშვენებს ცისფრად მოჭიქული შორენკეცების ერთი ზოლი და გუმბათის თაღების არეში ასეთივე შორენკეცებისაგან შემდგარი ჯვრები. იმავდროულ კაბენის წმ. გორგას და ძევლი ბოგვის ნასოფლარის „ცხრაკარა ეკლესიაც“ ასეთივე ცისფრად მოჭიქული შორენკეცებით ყოფილა მორთული, ოღონდ შიგნით<sup>80</sup>.

ათონის ივერიის მონასტერში XII საუკუნეში დაწერილი, სვმეონ კუონდიდელის გაზრდილის ნიკოლოზისათვის „განკუთვნილი აღაპის შინაარსიღან ირკვევა, რომ ...ეკლესია მთავარანგელოზისა აღაშენა ყოვლითურთ: მოხატვით, გამოჭიქვით, დაჭრელებით“. „გამოჭიქვა“ კი კედლის შორენკეცებით მოპირკეთებას ნიშნავს<sup>80</sup>.

აღსანიშნავია ისიც; რომ ჩეენში ნაგებობათა კერამიკული შექმულობა ცალკეული აქცენტების სახით არის გამოყენებული და

<sup>78</sup> ზ. მაისურაძე, ოზაანის კერამიკა, 1959, გვ. 14.

<sup>79</sup> გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წ. ზამთარში, მასალები..., ტ. I, 1955, გვ. 158.

<sup>80</sup> გ. ლომთათიძე, დამოწ. ნაშრომი, გვ. 159.



მათი კედლების მთლიანი შემკობა მიღებული არ ყოფილი რედ ამას ვხედავთ ტიმოთესუბნის აგურის ტაძარში.

ჩვენში ნაგებობათა შორენეკეცებით შემკობა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან არის შემოსული. საქართველოს თავისი ვეოგრაფიული მდებარეობისა და ხანგრძლივი ისტორიული მეზობლობის გამო საშუალება ჰქონდა გასცნობოდა ირგვლივ მცხოვრებ ერთა კულტურას და, კერძოდ, სამშენებლო ხელოვნებას და ხელოსნურ ნაწარმს. როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, „მე-12 საუკუნის ქართული კულტურის თავისებურებას, დასავლეთის იმდროინდელ კულტურასთან შედარებით ის წარმოადგენს, რომ როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიჯნაზე მდებარე ქვეყანას, საქართველოს საშუალება ჰქონდა, დასავლური ქრისტიანული კულტურის გარდა, ისლამობის ნიადაგზე შექმნილს ახალს, მეტად თავისებურსა და მრავალფეროვანს, არაბულ-სპარსულ კულტურასაც გასცნობოდა. ქართველი ერი სარწმუნოებრივად მისთვის ამ დაშორებულსა და თითქოს უცხო კულტურას, როგორც ცხოველმყოფელ წყაროს დაეწაფა და შეითვისა იგი და ამით თავისი მწერლობა და ხელოვნება გამდიდრა“<sup>81</sup>.

შუაფეოდალური ხანის ნაქალაქართა თხრა (დმანისი, რუსთავი) გვიჩვენებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის ფართო ფენების სახლები ძირითადად ბანიანი ყოფილა და კრამიტით დახურული — იშვიათია. ჩანს, შეძლებულ პირებს ეკუთვნოდათ. ეს სამშენებლო მასალა (ბრტყელი და ღარისებრი კრამიტი) უმთავრესად განსაკუთრებული დანიშნულების ნაგებობათა (საყდრები, სასახლეები) მშენებლობაშია გამოყენებული. სახურავი დაფარული იყო მეტწილად ბრტყელი და ღარისებრი კრამიტის ურთიერთშერწყმით. ჩვენში ანტიკურ ხანაში შემუშავებული მოყვანილობა კრამიტისა შუაფეოდალურ ხანაშიც არ შეცვლილა, ოლონდ ზომა შემცირდა ერთიორად და, გარდა ამისა, ვიწრო აკეცილი გვერდებიც შესაბამისად უფრო დადაბლდა, ხოლო ფართო ბოლოში გარდიგარდმო დაბალი „ლობე“ გაუჩნდა, წვიმის წვეთების სახურავში გაერნების შესაფერხებლად. შუაფეოდალური დროის კრამიტს აღარა აქვს საწვიმარი ღარები. ისინი, როგორც ჩანს, მხოლოდ ანტიკური და ადრეფერდალური ხანის კრამიტებს ახასიათებს — არა მარტო ჩვენში, არამედ სომხეთშიც<sup>82</sup>.

<sup>81</sup> ი. გ. ჭავახიშვილი, საქართველოს სტორა, 1946, ვვ. 226.

<sup>82</sup> Н. Я. Марр, Описание дворцовой церкви в Ани, Петроград, 1916, გვ. 21, სურ. 8—11.

თუ განათხარი მასალების მიხედვით ვიმსჯელებთ, ბრტყელი კრამიტი აშკარად ჭარბობს ღარისებრს. ეს ერთი შეხედვით უცნაური გარემოება იმით უნდა აიხსნას, რომ ეტყობა ხშირად ნაგებობათა სახურავი მხოლოდ ბრტყელი კრამიტით იხურებოდა, წალმა-უკუღმა, ამას კარგად ადასტურებს დმანისის აბანოს გადახურვის მაგალითი<sup>83</sup>.

მარტო ერთი ტიპის კრამიტით შენობათა გადახურვის წესი ჩვენში, როგორც ჩანს, ანტიკურ ხანაშიც არ ყოფილა უჩვეულო. მაგ., ბ. კუჭტინს ეშერში ანტიკური ნამოსახლარის თხრისას არ შეხვედრია არც ერთი კალიპტერი, რის გამოც იგი დაასკვნის, რომ, შესაძლოა მათ მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში ხმარობდნენ მხოლოდ დეკორატიული მიზნით და მათ მაგივრობას წალმა-უკუღმა დადებული ბრტყელი კრამიტები ასრულებდნენ<sup>84</sup>.

მხოლოდ ერთი ტიპის კრამიტით შენობის დაბურვას მოასწავებს აგრეთვე 1962 წელს მცხეთის ოქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული ბრტყელი კრამიტის ნატეხი (მცხეთის მუზეუმის საინვ. № 9527), რომელიც საგანგებოდაა მოჭიქული მხოლოდ ზურგისა და აკეცილი გვერდების გარეთა მხარეს. ჩვეულებრივ დაგებული ბრტყელი კრამიტისათვის ამ არგამოსახენი ნაწილების მოჭიქვას არავთარი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა და თურმე არც სჭიქავდნენ! მაშასადამე, ისინი სახურავზე პირქვე დაიდებოდნენ პირამა მდებარე კრამიტებზე და ამგვარად, თავისი მოჭიქული ზურგითა და გვერდების ელვარებით აშკარად გამოაცოცხლებდნენ და გაალამაზებდნენ შენობის სახურავს. მართალია, მასალის სიმცირის გამო ძნელია თქმა, შუაფეოდალურ ხანაში თუ რამდენად ყოფილა გავრცელებული კრამიტებით შენობათა ამგვარი წესით დაბურვა, მაგრამ ის კი ნამდვილია, რომ XVIII საუკ. ბოლოს მარტო ღარისებრი კრამიტი იჭრებოდა და შესაბამისად ამისა, შენობათა სახურავები მხოლოდ ამ ტიპის კრამიტით იხურებოდა, რაც თვალნათლივ მოწმობს ერთი და იმავე ტიპის კრამიტის დამზადება-გამოყენების უპირატესობას.

შუაფეოდალური ხანის ბრტყელ კრამიტებს შორის ყურადღებას იპყრობს ერთი ჯგუფი, რომლებსაც ზედაპირზე რელიეფური ჯვარი აქვთ გამოყვანილი (ტაბ. VI, სურ. 1, 2). ასეთი ჯვრიანი კრამიტები გამოყენებულია XI—XII საუკუნეების ტა-

<sup>83</sup> ლ. მუსხელიშვილი, დანიში, საიუბილეო კრებული, 1938, გვ. 352.

<sup>84</sup> Б. А. Куптина, Материалы к археологии Колхиды, т. I, 1949, 28. 17.

մարտա սաხուրացեթևո (գոյթարետո, մանգլուսո, (բաժ. VII, 1) կոշ-  
մուրճո, տոլզա), հաց լքագոյոցն տցուտ չվարտան յրտագ, հռմ  
ասետո յրամիթեծո սաշանցեծող սնդա յըտեծինատ սայուլիո նաց-  
ծոծատա դասածուրացագ.

ցանսայուտրեծոտ օլսանո՛նացու ու ծրժպյուլո յրամիթեծո,  
հռմելու նեցածոհից պալունու սամուլյեծոտ ցարտո ծոլոնիո  
հրելուցուրո սամպուրա պազոլու գամոպանոլո. տօլունու 1948  
թվու ցատերու սաելուննու նամեթեծ մորունու մոյրունո որո նա-  
թենո միցանց մովոյիշուլո ամցարո յրամիթեծու (ևայ. սաելմի՛ո-  
ւու մոշեցունու սանց. № 157, 183), (բաժ. VII, 2).

ցամտերելուն անհուտ, մեսամլու ց պազոլո էյրալույուր  
նոման թարմուցցենց դա ասետո յրամիթեծո մեռլու սախուրա-  
ցու գամոսահեն նախուլյեծո սնդա դաշյունուլուոս, հաց լամահսա դա  
սոմեթրույլու գածմուլ որնամենտու նեյմենուց“<sup>85</sup>.

ամցարուց յրամիթեծո, որոնց մովոյիշու, մրավլու առմո-  
ննու 1949 թվու յըցմո յարտունու օւրուրու-արյեռունոցուրո  
յիշեցածունու մոյր „տամահու սասակունու նանցրացեծագ մոհենցուլ  
(յ. ո. նայուրութալուրու եանու) „նաժարծանցունու“ ցատերունուան.

օմացո յիշեցածունու մոյր սամպուրա պազոլու նեյմուլո յրամի-  
թեծո դագաստուրեցուլ ոյնա յըցմո յարտունու համարունու սեցա,  
օմացարունու մեցլու նանցրացեծո. սամպուրապազոլունու մովոյի-  
շու յրամիթո առմոննու օցրետու հուստացունու նացուեցարունու տերո-  
ւան. ամրոցագ, սամպուրապազոլունու յրամիթո ցամոցունուլո հանս  
հռոցորու սայրո, ույս սայուլիո նացեծոծատա սախուրացեթե.

Տեյցուալուր լութերաթուրանու սամպուրապազոլունունու որնամեն-  
թունու սաֆյունու այանտունու սրունութեցուլո ուրուլյեծունու նաեւ ոտալյ-  
եծո<sup>86</sup>. հայենու ց որնամենտո ցեցուցեծ ցունանտույուրու եանունուն:  
մացալուտագ, ամցարո պազոլո յըցմունու ելունու ցըրկելունու პոնայիշ  
ցամոսախուլ գուցեցուլու արմահունուսեցունու մեռլու սամահունունուն<sup>87</sup>; ասետո  
ցամոսախուլյեծոտ ծոլուցուցեծ ործունու յլանցույթու մովուցուլո ցըր-  
տենու ծոլուցու ցըրկելունու պոնայիշ ծըրսումա պուրակնունու սամահ-  
ունունուն<sup>88</sup>.

ոգուց որնամենտո սայմաու եմուրու մոմացունու ներուունու.

<sup>85</sup> Ց. Ը ո թ ա տ ո ւ ց, գաշուն. նամակու, ց. 152.

<sup>86</sup> A. Pope, A Survey of Persian Art, v. I, London-New-York, 1938, ց. 505-606.

<sup>87</sup> Ց պետա, I, ց. 45, սուր. 21.

<sup>88</sup> Ց պետա, I, ց. 59, սուր. 29.



სამყურას რელიეფური გამოსახულება გვხვდება ბრინჯაოს ჭავჭავაძის ძეგლზე (VI—VIII ს. 89, V—XI ს. არქიტექტურულ ძეგლებზე—ბოლნისის სიონის კაპიტელებზე<sup>90</sup>, ბრდაძორის სვეტზე, ზორგომის სვეტზე<sup>91</sup>, სადახლოს სვეტის ბაზაზე, სვეტიცხოვლისა და ვაკე გვრის კანკელებზე<sup>92</sup>, ოქრომჭედლობაში<sup>93</sup>, მინანქრებზე<sup>94</sup>, ხეზე კვეთილობაში<sup>95</sup>. და სხვ.

როგორც ვხედავთ, სამყურაყვავილიანი ორნამენტი გვიანანტიური ხანიდან მოყოლებული გვიანფეოდალური ხანის საქართველოში საკმაოდ გავრცელებული მხატვრული თუ სიმბოლური გლემენტი ყოფილა. ჩვენი თვალსაზრისით, არც ისაა შეუძლებელი, რომ სამყურა ყვავილის ორნამენტი მეტად სტილიზებული ჯვრის გამოსახულებას წარმოადგენდეს. ამ ვარაუდს უნდა უჭერდეს მხარს როგორმის დაკვირვება ირლანდიურ ჰერალდიკურ მცენარეებზე<sup>96</sup>.

ირ. ციციშვილს მიაჩნია, რომ შეიძლება ამგვარი ნიშნით აღმეცვილი კრამიტის გამოწვა სახელმწიფო მონოპოლიას წარმოადგენდა<sup>97</sup>.

მოჭიქული კრამიტებით ეკლესიების სახურავთა დაბურვა საკმაოდ გავრცელებული ყოფილა იმდროინდელ საქართველოში ტაო-კლარჯეთიდან მოკიდებული კახეთამდე ჩათვლით. მაგალითად, ე. თაყაიშვილის ცნობით, იშხანის ტაძრის გუმბათი დაფარული ყოფილა ცისფრად და წითლად მოჭიქული კრამიტებით<sup>98</sup>,

<sup>89</sup> 6. უ გ რ ე ლ ი ძ ე, ადრეფეოდალური ხანის მატერიალური კულტურა არმაზისხევისა და ნავთსადენის არქეოლოგიური მასალების მიხედვით (ხელნაშერი დაცულია სტ. ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილებაში), 1956.

<sup>90</sup> Г. Н. Чубинашвили, Болнищий Сион, ენიმქის მოამბე, ტ. № IX, 1940, ტაბ. II, სურ. 93.

<sup>91</sup> 6. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ბორჯომის ხეობა, საქ. ისტორიის საკითხები, ტ. I, 1960, გვ. 262.

<sup>92</sup> Р. О. Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тб., 1962, I 24, 25.

<sup>93</sup> Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1958.

<sup>94</sup> Ch. Amigashvili, Les émaux de Géorgie, Paris, 1962, სურ. 3.

<sup>95</sup> И. Г. Чубинашвили, Грузинская средневековая резьба по дереву, Тб., 1958, გვ. 50, 53, 117, 122, 124.

<sup>96</sup> Р. Делорм, Геральдические растения, 1968, გვ. 21.

<sup>97</sup> ი. რ. ციციშვილი, მონასტრის არქიტექტურული კომპლექსი, ისტორიის ინსტიტუტის მიმომზღვევი, II, 1951, გვ. 297.

<sup>98</sup> (ეტყობა აქ ავტორი „წითლად მოჭიქულს“ უჭოდებს ღვიძლისფერი ჭიქულით დაფარულ კრამიტს, თორემ ჭითელი ჭიქური ძალან ძნელი წარმოსადგენია—ჭ. გ.).



ხოლო ოშეის გუმბათის კრამიტები წითლად და მწვანედ ფერზე და მოჭიქული. ამგვარივე მოჭიქული კრამიტები ეხურა ხანულის, მთავარ გუმბათიან ეკლესიასაც<sup>99</sup>. როგორც ირკვევა, ამ ეკლესი-ების სახურავის მხოლოდ ნაწილი ყოფილა მოჭიქული კრა-მიტით დაფარული; ხოლო იქ, სადაც გადახურვა ქვემოდან არ ჩანდა, მოჭიქავი კრამიტი დაუწყვიათ. აქედან კარგად ჩანს, რომ მოჭიქულ და მაშასადამე, ბევრად უფრო ძვირ კრამიტს, უმთავრესად დეკორატიული მნიშვნელობა ენიჭებოდა, ისე, რომ სადაც ის არ გამოჩნდებოდა, მომჟირნეობას არ თავილობდნენ.

მოჭიქული კრამიტითვე ყოფილა დაბურული თბილისის „ლურჯი მონასტერი“<sup>100</sup>, ტიმოთესუბანი, ყინწვისი, წულრულაშე-ნი, გუდარეხი<sup>101</sup>, კვეტერის სასახლეცა და ეკლესიაც<sup>102</sup>.

შუაფეოდალურ ხანაში გვხვდება აგრეთვე წარწერიანი კრა-მიტები (მაგ., რუსთავში, არმაზისხევის მონასტერში, უჯარმაში, შიომღვიმეს და სხვ.). მაგრამ, სამწუხაროდ, წარწერათა ნაწყვეტ-ნაწყვეტობისა თუ ძლიერ დაქარავების გამო მათი ამოკითხვა ხშირად ძნელდება (ამის შესახებ იხ. V თავი).

თბილისში 1948 წელს არქეოლოგიური ექსპედიციის აღმოჩენილ ბრტყელ კრამიტებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ისინი ძირითადად ერთნაირი ყალიბით არიან ნაკეთები, მაგრამ იმის მი-ხედვით თუ სახურავის რა ნაწილზე უნდა ყოფილიყვნენ თავის დროზე დალაგებული, მათ უკეთდებოდათ დამატებითი დეტალებიც. მაგალითად, სახურავის განაპირა ბრტყელ კრამიტებს (საქ. სახელმწიფო მუზეუმის საინვ. № 3453) გარდა სალურსმე ხვრელისა, ფართო ბოლოში მათი გვერდების ორივე მხარეს ამოყვანილია ისეთივე სიმაღლის შეუკვრელი ღობე, რომლის დანიშნულება უნდა ყოფილიყო მასზე დაფარებული ღარისებრი კრამიტის დამაგრება, რათა უკანასკნელი არ დაცურებულიყო (ტაბ. VIII, 1).

საინტერესო მოყვანილობა აქვთ იმავე ექსპედიციის აღმოჩენილ ბრტყელ კრამიტებს (საქ. სახელმწიფო მუზეუმის საინვ.

<sup>99</sup> Е. С. Такаишвили, Экспедиция 1917-го года в южные провинции Грузии, 1962, гг. 23, 53, 69.

<sup>100</sup> Е. С. Такаишвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, изв. КОИМАО, III, гг. 145.

<sup>101</sup> 3. ზ ა რ ა ი ა, დამოწ. ნაშრომი, გგ. 96.

<sup>102</sup> Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გგ. 546.



№ 1086) (ტაბ. VIII, სურ. 2), რომელთაც განიერ ბოლოში, ერთ გვერდი მანეთისაგან 5 სმ-ის დაშორებით, ორი ნახევარწრიული ფრთი (სიმაღლე — 5 სმ; სიგანე — 10 სმ; სისქე — 2 სმ) აქვთ აღმართული. ორივე ფარის გამოსახენი ნაწილი ფირუზისფრადაა მოჭიქული და წარმოადგენს წინასწარ საგანგებოდ გამზადებულ ანტეფიქსებს მათზე დასადგმელი კრამიტებისათვის. როგორც ცნობილია, ანტეფიქსებიანი კრამიტები ყოველთვის სახურავის ქვედა რიგზე იყვნენ განლაგებულნი.

ამრიგად, შუაფეოდალური ხანის სამშენებლო კერამიკის საგანგებოდ შესწავლამ დაგვანახვა, რომ მისი მრავალფეროვნებაცადა ხარისხიც სავსებით შეესაბამება იმდროინდელი საქართველოს მაღალ ეკონომიკურ-კულტურულ დონეს.

### თავი III

#### სამშენებლო ტერამითა გვიანდებალურ ხანაში

როგორც აღინიშნა, XIII საუკ. საქართველო ჭერ მონლოლების, მოვაიანებით სპარსელებისა და ოსმალების განუწყვეტელი შემოსევის სარბიელი გახდა, რამაც მძიმე დალი დასვა ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას. ყოველი შემოსევის შემდეგ მეურნეობის მრავალი დარგის გაჩანაგება და ქალაქებისა და სოფლების დარბევა-აოხრება იყო, რასაც, ბუნებრივია, იქ არსებულ კერამიკულ საწარმოთა განადგურებაც მოსდევდა.

მაგრამ მიუხედავად ამისა, საქართველოში აღმშენებლობითი საქმიანობა არ წყდებოდა და აღდგენით სამუშაოებთან ერთად შენდებოდა მრავალი ახალი საკულტო თუ საერო ნაგებობა, რომლებშიაც ქვასთან ერთად ხშირად არის გამოყენებული კერამიკული სამშენებლო მასალაც.

არსებული მასალები იმას ადასტურებენ, რომ ამ პერიოდში შესამჩნევად გაზრდილი კერამიკული ნაწარმის მშენებლობაში დანერგვის სფერო, რაც წარმოების ამ დარგის გაფართოებას თავისთვად გულისხმობს.

თუ აქიმდე ეკლესია-მონასტრების მშენებლობაში ქვა განსაკუთრებული მნიშვნელობის საშენ მასალად იყო მიჩნეული, XVI საუკუნიდან აგურის ხმარების სფერო საეკლესიო არქიტექტურის ხაზითაც გაფართოებულა. თუ მანამდე აგური ძირითადად გამოიყენებოდა როგორც დამხმარე სამშენებლო მასალა, ამ დროიდან



აგური საკედლე მასალის გარდა ნაგებობათა დეკორატიული ფორმებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, რაც მიჩნეულია, ძლიმოსავლეთის, უმთავრესად, ირანული მხატვრული ელემენტების გავლენად ჩვენში<sup>103</sup>.

ამ პერიოდში აგურით ნაშენი მრავალი ძეგლი აიგო (აგურთა ზომები იხ. ცხრილში). მაგალითად, ახალი შუამთის ეკლესია (XVI ს.); ნინოწმინდის სამრეკლო (XVI ს.); საფარისის მონასტრის სამრეკლო წინანდალთან (XVI ს.); გრემის მთავარანგელოზის ეკლესია (1565 წ.); ანჩისხატის სამრეკლო (1675 წ.); მჭადიჯვრის გუმბათოვანი ეკლესია (1668 წ.); ვეჟინის ყველაწმინდის ეკლესია (XVII ს.); ნათლისმცემლის ეკლესია საბუესთან (XVI ს.); ქორეთის გუმბათოვანი ეკლესია (XV—XVI ს.); როსტომ მეფის აბან (XVII ს.); ძეელი ხიდი მღინარე ვერეზე (XVII ს.); სოფ. თხინვალში გაბაშვილების სასახლე და ეკლესია (XVII ს.); ურბნისის სამრეკლო (XVIII ს.) და სხვ.

აგური ფართოდ არის გამოყენებული ქვასთან ერთად ამ დროის ციხე-კოშკების მშენებლობაში და ზოგიერთ საკულტო ნაგებობათა რესტავრაციის დროს. მაგალითად, მჭადიჯვრის ციხე (1746 წ.); ფარცხისის ციხე შეკეთებული (XVIII ს.); გორის ციხე (XVII—XVIII სს. ფერა); ალავერდის გალივანი (XVII ს.); შილდის ღვთისმობლის ეკლესიის გალავანი (XVII ს.); მუხრანის ციხე (1756 წ.); ქსნის ციხე (1746 წ.); ქსნის ხეობაში ეკლესია „ხოფა“ (XVI—XVII სს.) და მისი სამრეკლო იმავდროული; ქვემო ჭალა-კოშკი (XVII ს.) — ზედა ორი სართული მთლიანად არის აგურით ნაგები; ქვეშო ჭალა — ამილახვერების ციხე (XVIII ს.); პატარძეული—კოშკი (XVIII ს.); მარტყოფი — თუშმალიშვილების კოშკი (XVIII ს.); კისისხევი — კოშკი (XVIII ს.); ტალის ციხე — ლალისყურთან (XVII ს.); ნორიო — კოშკი (XVIII ს.); ლალისყურის ციხე (XVIII ს.); ბოჭორმა — კოშკი (XVII—XVIII სს.); თიღვა — რესტავრირებული (XVIII ს.); სიონის ტაძრის ძველი სამრეკლო (1812 წ.); საქაშეთი (კოშკი (1792 წ.); ძაღინა — კოშკი და სასახლე (XVII ს.); წითელი ხიდი (XVII ს.); მეტეხის გუმბათის ყელი (ხელახლა აშენებული ერეკლე II-ის მიერ); ღუშეთი — ყარანგოზიშვილების კოშკი (XVIII ს.); აქვე — ამილახვრიანთ კარის ციხე (1800 წ.).

<sup>103</sup> Г. Н. Чубинашвили, Иранское влияние в памятниках архитектуры Грузии, Иранское искусство и археология, III между. конгресс, 1935, გვ. 254.



თელავი — ბატონის ციხე (XVII—XVIII სს.); ქოლაგორის ციხე (XVII—XVIII სს.) (ხრამის ხეობა) — 1788—98 წწ.

როგორც დავინახეთ, XVI—XVIII სს. მრავალი, მთლიანად აგურით ნაშენი ძეგლი აიგო. ნაგებობათა აგურის ზომები გვიჩვენებენ, რომ სწორედ ამ პერიოდში შეიმჩნევა აგურის განსაზღვრული „სტანდარტის“ შექმნის ტენდენცია, რაც საერთოდ ყოველთვის იჩენს თავს მასობრივად წარმოებული ნაწარმის კო-თებისას.

აგურის ერთიანი „სტანდარტის“ შემოლებისაკენ სწრაფვაში განმსაზღვრული როლი უნდა ეთამაშა ნაგებობათა მარტო აგურით შექმნებლობის დანერგვის. აღრე, როდესაც აგური გამოყენებული იყო როგორც დამხმარე სამშენებლო მასალა, მის სტანდარტულ ზომას მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან შექმნებლობაში იგი მონაწილეობდა სხვადასხვა ზომა-მოყვანილობის სამშენებლო მასალასთან (რიყისა თუ ნატეხ ქვასთან) ერთად.

შექმნებლობაში ერთი ზომის აგურის ხმარების მნიშვნელობას გვანიშვნებს ნინოწმინდის ცნობილი სამრეკლო (XVI ს.), რომელშიც აგურის ზომა გამოყენებულია, როგორც არქიტექტურული გამოანგარიშების საფუძველი<sup>104</sup>. ეს მაგალითი იმასაც ადასტურებს, რომ ყოველ მეტნაკლებად რთულ მშექმნებლობას უდავოდ ჰყავდა თავისი არქიტექტორი, რომელიც წინასწარ აღგენდა გეგმას ყოველი დეტალის ზუსტი განსაზღვრით.

აგურის გამოყენება განსაკუთრებით ძლიერდება კახეთსა და ქართლში, სადაც არქიტექტურული ფორმების გამოსაყვანად იხმარება მრუდთარგა აგურები, რაც სამშენებლო კერამიკის განვითარებას მოწმობს.

XVII—XVIII საუკუნეებში საქართველოში გზად გავლილი უცხოელი მოგზაურების (გულდენშტედტი, ტურნეფორი, კლაპროტი) ცნობებით აღმოსავლეთ საქართველოში XVIII საუკბოლოს 8 ქალაქი არსებობდა: თბილისი, გორი, სურამი, ახალგორი, წილვანი, ანანური, თელავი და სიღნაღი. ამ ქალაქების ნეხევარში 1000 კაცზე მეტი მცხოვრები არ ყოფილა თითოეულში<sup>105</sup>. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, მხოლოდ ქუთაისის შესახებ არსებობს შარდენის ცნობა, რომ იქ XVIII საუკუნის დასაწყისისათვის 200 კომლი ცხოვრობდა.

<sup>104</sup> Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, 1959, გვ. 588.

<sup>105</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქალაქები და საქალაქო ჟურნალები და ცხოვრების კოთარება საქ-შო XVII—XVIII სს., „პრომეთე“, 1918, № 1, გვ. 18—21.



ყველა ეს ქალაქი იმავე დროს ციხე-სიმაგრესაც წარმოდგენდა. მათ უმრავლესობას ქვითა და აგურით ნაშენი კედელი ჰქონდა გარშემორტყმული (თბილისი, სიღნაღი, თელავი, ანაური). ყველაზე უფრო თვალსაჩინო შენობებად მეფისა და მთავრობის სასახლეები, ეკლესია-მონასტრები და სავაჭრო თუ საზოგადო დანიშნულების (ქარვასლა, აბანო და სხვ.) ნაგებობანი ითვლებოდნენ.

საცხოვრებელი შენობების უდიდესი ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში წარმოადგენდა ერთსართულიან, მცირე ზომის ბანიან სახლებს, რომლებიც ქვით, აგურითა და ალიზით შენდებოდა. თბილისში, როგორც ჩანს, აგურის შენობები სკარბობდა<sup>106</sup>, ხოლო დანარჩენ ქალაქებში საკედლე მასალად უმეტესად ალიზი იყო გამოყენებული<sup>107</sup>.

აღსანიშნავია, რომ XVIII საუკ. II ნახევარში თბილისში ყოფილა მეფის კუთვნილი აგურის ქარხანა, რომელიც, ბუნებრივია, თავისი სიღიღით დანარჩენი წვრილი სახელოსნოებისაგან გამორჩეული უნდა ყოფილიყო<sup>108</sup>.

გვიანდეოდალური ხანის კრამიტი მოყვანილობით ძირითადად, მსგავსია ჩვენში არსებული, შუაფეოდალური ხანის კრამიტისა, ოლონდ უფრო პატარაა და თხელი, ხოლო დამზადების ხარისხი — ნაკლები.

როგორც ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, დაახლოებით XVIII საუკუნის ბოლოდან ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტის წარმოება თანდათანობით შეწყდა და საყოველთაოდ შეიცვალა მასზე უფრო მსუბუქი და მცირე ზომის ღარისებრი კრამიტით, რამაც უდავოდ შეამსუბუქა სახურავზე დაწოლის სიმძიმე, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან კონსტრუქციულ გაუმჯობესებას წარმოადგენდა იმდროინდელ შენობათა გადახურვის საქმეში.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ კრამიტები მზადდებოდნენ, როგორც მასობრივი წარმოებისათვის, ისე სპეციალური დაკვეთითაც. ამ უკანასკნელს მიეკუთვნებიან წარწერიანი და რელიე-

<sup>106</sup> П о ли е в к т о в и Н а т а д з е, Старий Тифлис, 1923, გვ. 24, 40, 68.

<sup>107</sup> А. Цагарели, Грамоты, ч. I, გვ. 188, 210.

<sup>108</sup> Д. Учанеишвили, К вопросу об экономическом развитии Грузии во второй половине XVIII века, Мат. по истории Грузии и Кавказа, вып. V, 1937, გვ. 398.



ფური გამოსახულების მქონე კრამიტები, რომელთა შესაძლებელია მომდევნო თავში გვექნება საუბარი. წარწერიანი კრამიტები გვიანთეოდალურ ხანაში ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვით გავრცელებული ჩანს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ისინი სპეციალური დაკვეთით არიან დამზადებული, ზოგჯერ თავისი დამზადების და გამოწვის ხარისხით ბევრად ჩამოუვარდებიან მასობრივი წარმოებისათვის დამზადებულ კრამიტებს. ეს ფაქტი ზოგიერთი მეკრამიტე ხელოსნის დაბალი კვალიფიკაციით უნდა აიხსნას, რაც სავსებით ბუნებრივი უნდა ყოფილიყო.

გვიანთეოდალური ხანის ღარისებრი კრამიტები ზომა-მოყვანილობის მხრივ ძირითადად არ განსხვავდებიან ერთმანეთისა-გან. განსხვავება ჩანს კრამიტის საბრჭენი „ქედის“ მოყვანილობასა და ზოგი მეკრამიტე ხელოსნის მიერ მათზე გაყეთებული რელიფური ორნამენტის არაერთგვაროვნებაში (ტაბ. IX, X).

მაგალითად, უალეთის გვიანთეოდალური ხანის ღარისებრ კრამიტებს ქედზე რელიფური მცენარეული ორნამენტი აქვთ გამოყვანილი, ზოგჯერ მათ შორის ჯვრებია დასმული.

რელიფური მცენარეული ორნამენტი (ტაბ. XI), შესაძლოა სიცოცხლის ხის ასახვის შორეული გამოძახილი იყოს, რომელსაც თავისი პირვანდელი შინაარსი დაკარგული აქვს და მხოლოდ დეკორატიული მნიშვნელობალა შერჩა.

ზოგ ღარისებრ კრამიტს კი საბჭენი ქედის ნაცვლად რელიფური ლილვი აქვს. ყოველივე ეს მეკრამიტე ხელოსნის ოსტატობასა და გემოვნებაზე იყო დამკიდებული.

ჩვენი აზრით, ღარისებრი კრამიტის საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფონდში დაცული ღარისებრი კრამიტი, რომელიც ვეუინის „ღვთაების საყდრიდან“ (XIV—XV სს.) არის წამოღებული (ტაბ. XII). მისი კეცი მშვენივრადაა გამომწვარი. იგი მიღებულია წყალსადენი მილის გაჭრის შედეგად, მას შიგაპირზე ეტყობა ჩარხის კვალი. ღარისებური კრამიტის „მოჭრის“ ეს წესი ჩვენში ანტიკური ხანის იბერიისათვის კარგად არის ღადასტურებული<sup>109</sup>. მართალია, ეს ერთი ნიმუში არ იძლევა კრამიტის ამგვარი წესით დამზადების განზოგადების საშუალებას გვიანთეოდალურ ხანაში,

<sup>109</sup> ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963, გვ. 65.



მაგრამ ფაქტია, ასეთი ტრადიცია არ დაკარგულა და იგი უნდა  
მიუთითობდეს მის გენეტიკურ კავშირზე.

გვიანდეოდალურ ხანაში ჩვენში გრძელდება ნაგებობათა  
შორენკეცებით შემკობის ტრადიცია. ამის შესანიშნავ მაგალითს  
წარმოადგენს სამწევრისის წმინდა გიორგის ტაძრის მახლობლად  
მდგარი პატარა ნაგებობის, როგორც შიგნიდან, ისე გარედან მო-  
უჭიქივი, /რელიეფური შორენკეცებით მორთულობა (იგი შეის-  
წავლა ზ. მაისურაძემ)<sup>110</sup>, მათი რიცხვი თავდაპირველად 38 ყო-  
ფილა.

„შორენკეცების ფრაგმენტებზე დაკვირვებამ, წერს ავტორი,  
დაგვარწმუნა, რომ ოსტატებს თითოეული შორენკეცი დამოუკი-  
დებლად გაუკეთებიათ. ზომა ყველასი ერთი და იგივეა და უდ-  
რის იქვე ნახმარ ქართული აგურის ზომებს. თიხა-მასალა ჩვეუ-  
ლებრივი სააგურე-საკრამიტე თიხაა“<sup>111</sup>, ...ყოველი ორნამენტი  
თუ სიუჟეტური კომპოზიცია ოსტატს ყოველ ფილაზე ცალ-ცალ-  
კე შეუქმნია, ყველგვარი ტვიფრის გარეშე. ეს იმის თვალსაჩი-  
ნო დადასტურებაა, რომ ეს შორენკეცები არ ატარებენ მასობ-  
რივი წარმოების ხასიათს და უშუალოდ დაკვეთით არიან დამზა-  
დებულნი. აღნიშნული შორენკეცები მხატვრულ-კომპოზიციური  
თვალსაზრისით ორი სახისაა: ორნამენტული, რომლებითაც შემ-  
კული ყოფილა ძეგლის გარეთა ფასადები და შიგნითა სადგომის  
დასავლეთის კედელი, და სიუჟეტური (წმინდა მამების გამოსა-  
ხულებით), რომლებიც განლაგებული ყოფილან საკურთხეველის  
კედლებზე (ტაბ. XIII, 1, 2). საერთოდ, ქართულ არქიტექტურა-  
ში კერამიკული შორენკეცებით შემკობის შემთხვევები ნაკლებად  
გვხვდება და ამიტომ ამ თვალსაზრისითაც მეტად მნიშვნელოვა-  
ნია ზემოაღნიშნულ შორენკეცთა გამოვლენა. ქართული არქიტექ-  
ტურული ძეგლების კერამიკული შემკულობა, შეიძლება ითქვას,  
შემთხვევითი ხასიათის ელფერს ატარებს. ასეთი ძეგლების უმ-  
რავლესობა ეკუთვნის XVI და მომდევნო საუკუნეებს.

მაგალითად რკონის მონასტრის სამრეკლოს (XVI ს.) გარე-  
თა კედლებში ჩასმულია ფარანსის თასები. ასევე შემკობილია  
მოჭიქული შორენკეცებით ამილახვრიანთ ციხე, ე. წ. „სხვილოს  
ციხე“ და ალავერდის გალავანი.

<sup>110</sup> ზ. მაისურაძე, XVI საუკ. შორენკეცის საკითხისათვის, ქართული  
ხელოვნება, 3, თბ., 1950, გვ. 202.

<sup>111</sup> ზ. მაისურაძე, დამოწ. ნაშრომი, გვ. 203.

სამშენებლო ტერამიკის ეპიზრაფიკა  
შუა საუკუნეების საქართველოში

შუა საუკუნეების საქართველოს სამშენებლო კერამიკა იმ ძეგლთა შორის, რომელიც ამ თემაზე მუშაობის ღროს ჩვენს ხელთ იყო, ერთი ნაწილი (20 ერთეული) წარწერიანი აღმოჩნდა. მაშასადამე, ისინი განსაკუთრებული ინტერესის აღმძვრელი არიან, როგორც ეპიგრაფიული ძეგლები. ქართულ-ლაპიდარულ პალეოგრაფიასთან დაკავშირებული საკითხების (ასოთა მოხაზულობა, დაქარაგმების წესი, შესრულების ტექნიკური მხარე და სხვ.) შესასწავლად, ისევე, როგორც კომპოზიციის საკითხებისა და შონსენებული ისტორიული პირობების გასათვალისწინებლად, მათი სამეცნიერო მნიშვნელობა უაღრესად დიდია. ყველა წარწერა, ერთადერთი გამონაკლისის გარდა, შესრულებულია ასომთავრული მრვვლოვანით — ის ერთი კი შესრულებულია ნუსტურით.

ყოველგვარი წარწერა კერამიკულ მასალაზე, ბუნებრივია, მის გამოწვამდე (ნედლ თიხაზე) უნდა ყოფილიყო შესრულებული, გამოწვის შემდეგ მასზე სალებავით თუ დაიწერება რამე, რაც ძველ საქართველოში საერთოდ მიღებული არ იყო. რაც შეეხება გამოწვარ თიხაზე ამოფხვნა-ამოკაჭვრით შესრულებულ წარწერას, იგი ძალზე იშვიათია.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია ამის მხოლოდ რამდენიმე ნიმუში ჭურჭელსა თუ მის ნატეხზე შემოჩენილი, რაც, ჩვენი აზრით, წესად არ უნდა ჩაითვალოს.

რაც შეეხება ლაპიდარული ხასიათის წარწერათა შესრულების ხერხებს, საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენ აქ ყველა შემთხვევაში, ორად ორი გამონაკლისის გარდა, საქმე გვაქვს რელიეფურ, ამობურცვით შესრულებულ წარწერებთან, ე. ი. წარწერა თიხის ბრტყელ ფონზე, ზედაპირზეა მოთავსებული მაშინ, როდესაც იმ ორ შემთხვევაში ის შესრულებულია ჩაზნექით ან ჩაჰედვით, ანუ წარწერა თიხის სიღრმეშია ამოკვეთილი.

დაცულობის თვალსაზრისით ჩვენ დრომდე მოღწეული წარწერიანი სამშენებლო მასალები არასახარბიერო მდგომარეობაშია და ეს არც გასაკვირია, რადგანაც ატმოსფერული თუ სხვა მექანიკური ზეგავლენებისაგან არასოდეს დაცული არ ყოფილა.



ამიტომ, ბუნებრივია, ისინი ზიანდებოდნენ სისტემატურად კუნეთა განმავლობაში, რის შედეგადაც ჩვენ შემორჩენილი გვაქვს უმეტეს შემთხვევაში ცალკეული სიტყვები თუ სიტყვათა ნაწილები (მარცვლები, ასოები). მხოლოდ, რამდენიმე შემთხვევაში ჩვენ მეტნაკლებად გაბმულ ტექსტთან გვაქვს საქმე. საერთოდ საჭიროა აღინიშნოს, რომ საწერი მასალის თავისებურების გამო ეპიგრაფიკული ძეგლები ვრცელი ტექსტის სახით იშვიათად სრულდებოდა და ამით უნდა აიხსნას ნებისმიერად შემოქცებული ფორმების გამოსახვაც.

ჩვენთვის ცნობილი წარწერიანი სამშენებლო კერამიკის ნიმუშებს შორის დღეისათვის მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა გვაქვს, როდესაც წარწერა ლავგარდნის აგურზეა შესრულებული, ყველა დანარჩენი კი, მხოლოდ კრამიტზეა წარმოდგენილი.

იგი მოპოვებულია ქ. თელავთან მდებარე ფოხორაულების სამეკლესიანი ბაზილიკის არქეოლოგიური შესწავლის შედეგად<sup>112</sup>.

გ. ჩუბინაშვილის მიერ აღნიშნული ბაზილიკა VI საუკ. არის დათარილებული.

წარწერა გამოყვანილია ტვიფრით, მაღალი რელიეფური ასოებით და ი. აბულაძის მიერ ასეა წაკითხული: „ქრისტე, შეიწყალე, ეკოლ“. წარწერის უკანასკნელი დაქარაგმებული სიტყვის გაშიფრვა არ ხერხდება, მაგრამ უძველია, იგი გამოხატავს იმ პირის სახელს, რომელიც დაკავშირებულია ამ ეკლესიის მშენებლობის თუ მისი რესტავრაციის საქმესთან.

ზოგჯერ ეპიგრაფიკული ძეგლი (წარწერა) შესრულებულია სიტყვების გადაადგილებით და ასოთა შებრუნებითაც, როგორც, მაგალითად საქ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ხუროთმოძღვრების განყოფილების ფონდში დაცულ კრამიტზე (საინვ. № 901) (ტაბ. XIV; ყ-7 ც052 ამ წარწერაში სიტყვა აღნა ჩვენთვის გასაგებია — ის ადამიანის სახელი ჩანს, რომლისგანაც შემდეგ ნაწარმოები უნდა იყოს საგვარეულო სახელი: აღნაა შვილი, მაგრამ მის ზემოთ გამოყვანილი პირველი ორი სიტყვის წაკითხვა აქ მხოლოდ გადმოადგილება-გადაბრუნებით თუ შეიძლება: +7 ყ-7 ც052 ე. ი. ქრისტე, შეიწყალე, აღნა. ეს წარწერა აღნიშნულ კრამიტზე ყალიბით არის გამოყვანილი და მიზეზი ზედა სტრიქონის ასოთა ასეთი „აღრეულობისა“, ძნელი გასაგებია.

<sup>112</sup> Ц. Чикондзе, Памятники раннего средневековья близ г. Телави, Труды Кахетинской археологической экспедиции, I, 1969, с. 131.



არის შემთხვევაც, როდესაც მეკრამიტე ოსტატის უყურებელი დღებისა თუ გაუთვალისწინებლობის შეღეგად კრამიტზე და-ტვიფრულმა წარწერამ სარკისებურად შეტრიალებული სახე მი-იღო (ტაბ. XV). ამის მიზეზი ადვილი გასაგებია. ხელოსანს ყა-ლიბზე უნდა ამოეჭრა შეტრიალებული ასოები, რომ კრამიტზე წარწერა სწორად აღბეჭდილიყო.

არის	უნდა იყოს
აქ-შ -შ-ძ-ე	მუ-ს -უ-ჩ-შ-

ეს წარწერა ასე იყითხება: „თაყას შეუნდვენ, ღმერთმან“ (საქ. ხელოვნ. სახელმწიფო მუზეუმის ფ. საინვ. № 1004).

ჩვენს ხელთ არსებულ წარწერიან მასალებში, შესაძლებე-ლია, ცალკე გამოიყოს ხუთი ანტეფიქსი, რომლებზედაც წარწერები წარმოდგენილნი არიან არა დამოუკიდებლივ (ცალ-კე), არამედ გარკვეულ კომპოზიციებთან ერთად, როგორც ამა თუ იმ კომპოზიციის შემაღენელი ელემენტი. აღნიშნული ანტე-ფიქსების ცალკე ჯგუფად გამოყოფა იმიტომაც შეიძლება მიზან-შეწონილად ჩათვალოს, რომ ისინი სხვებთან შედარებით უფრო ხანდაზმულნი ჩანან და ქრონოლოგიურად დაახლოებით X—XI საუკუნეებში თავსდებიან. ასომთავრულით შესრულებული წარ-წერები პალეოგრაფიულად სწორედ აღნიშნულ საუკუნეებში უცრო პოულობენ ანალოგებს.

ანტეფაქსებიდან უურადლებას ქქცევს, უპირველესად ყოვ-ლისა, ის, რომლის კომპოზიციას ქმნის წმ. გოორგი თავის რაშე ამხელრებული. მარჯვენა ხელში მას უჭირავს გრძელი შუბი ოხ-ქიმიანი ვარსკვლავით თავზე, რომლითაც ის გმირავს დიოკლე-ტიანეს (ტაბ. XVI).

საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს ანტეფიქსი კომპოზიციურად უალრესად საგულისხმოა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ასეთი კომპო-ზიცია ნამდვილად ქართულია<sup>113</sup>, ორიგინალური და ანალოგი მას სხვაგან არ ეძებნება. გარდა ამისა, ასეთი კომპო-ზიცია ქრონოლოგიურადაც ძველია, ის ჩვენში VII საუკუნიდან მაინც სისტემატურად შეინიშნება.

კომპოზიციის ქვემოთ მსხვილი ასომთავრულით გამოყვანილია:

<sup>113</sup> Г. И. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, გვ. 373.

†-7 ყ-7 აცქა, რაც ასე იკითხება: „ქრისტე, შეიწყალე  
ხორ...“ „ხცრ...“ სახელის ქართველი არ იხსნება, ამიტომ ჩვენიც მართვა  
ფერს ვამბობთ მის შესახებ. ამ ანტეფიქსთან დაკავშირებით ოსა-  
ნიშნავია ერთი გარემოება: წარწერის ქვერმოთ, ანტეფიქსის განიერი  
ბოლო ნაჭდევი წრეებით არის შევსებული (ასეთივე ნაჭდევი წრე-  
ებითაა შემკული ჯვრიანი წარწერიანი ანტეფიქსი) (ტაბ. XVIII,1).

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ეს მხატ-  
ვრული ელემენტი გავრცელებულია VII—XI ს. როგორც ქართულ  
ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე (ატენის სიონი, წებელდა, გველდე-  
სი)<sup>114</sup>, ისე ოქრომჭედლობის ნიმუშებში (ზარზმის ფერის ცვალების  
ხატი, სოლოლაშენის ფირფიტა, ობუჯის სამწირველი...)<sup>115</sup>. ოთხ და-  
ნარჩენ ანტეფიქსზე კი, კომპოზიციის მთავარი საგანი ჯვარია,  
ორ შემთხვევაში გრძელბუნიანი და მოკლემქლავებიანი ჯვარი.  
მკლავებს ზემოთ ორივეგან იკითხება „†-7“ — „ქრისტე“, ხოლო  
მკლავებს ქვემოთ ერთგან: ყ-7 ზ-7 — „შეიწყალე ზებედე“  
(საქ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფ. № 2455) (ტაბ.  
XVII,1). მეორეგან კი: ყ-7 გ-7 შ-7 ც-7 „შეიწყალე მამართი“  
(საქ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფ. № 2898) (ტაბ.  
XVIII,2).

ვინ არიან აქ მოხსენიებულნი ზებედე ან მამართი  
არაფერი ჩანს, მაგრამ აშეარაა, ისინი აღამიანის სახელებია. მა-  
მართისაგან, შესაძლებელია, შემდევ ხანებში, საგვარეულო სა-  
ხელი: მამართა — მამარდაშვილი იყოს ნაწარმოები, ხოლო ზე-  
ბედე საკმაოდ გავრცელებული სახელი იყო შეუა საუკუნეების  
საქართველოში. პალეოგრაფიულად ამ წარწერაში უთუოდ  
მნიშვნელოვანია რ-აე, რომლის ბუნზე მარჯვენა მკლავი (ფრთა)  
საკმაოდ მაღლა ჰქიდია, რაც უთუოდ სიძველის მანიშნებელია.

ორ შემთხვევაში კი. ჯვარი თანაბარმკლავებიანია (თითქმის),  
ორივეგან ჯვრის თავზე ჩანს: ქანწლი, რაც შესაძლებელია წაკით-  
ხულ იქნეს, როგორც „ქრისტე“, ხოლო მკლავებს ქვემოთ, ერთგან,  
ხ-7 კირილე, კვირიკე, კონსტანტინედ შესაძლებელია წაკითხულ  
იქნეს და 7-7 — იოანე უნდა იყოს (საქ. ხელოვნების სახელმწი-  
ფო მუზეუმის ფ. № 914) (ტაბ. XVIII,1). მეორეგან, თითქოს ირ-  
ჩევა ყჩ — შეიწყალებ.

<sup>114</sup> Р. О. Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тб., 1962, გვ. 84.

<sup>115</sup> Г. И. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, გვ. 3, 18, 19, 22.



Х — ეს უკანასკნელი შესაძლოა ლიგატურა იყოს და **მუშავებულობა** მნიშვნელობა გაურკვეველია (საქ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფ. № 158) (ტაბ. XVIII, 2).

შედარებით ვრცელობებსტანად შესაძლებელია მივიჩნიოთ ორი წარწერა. ერთი მათგანი მოთავსებულია სოფ. ახაშენის (თელავის მახლობლად) წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიიდან წამოღებულ ბრტყელ კრამიტზე (საქ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფ. № 16), (ტაბ. XIX).

ასომთავრული წარწერა ოთხსტრიქონიანია: **მუხა  
ცეკვაკასა ცცსიათი სცერი.**

ქარაგმების გახსნით ასე იკითხება: „**ძელო ცხოვრებისაო,  
აცხოვნე საგინა**“.

წარწერის მიხედვით, აშკარაა, საგინა მაშენებელი, თუ რაღაც განსაუთრებული ლვაწლის მქონე ყოფილა ხსენებული ეკლესიის მიმართ, რისთვისაც მისი ცხონებაა ამ წარწერაში საგანგებოდ გამოთხოვილი. ვინ არის აქ დასახელებული საგინა, უცნობია. საფიქრებელია, ის იყო ის დიდი საგინა, რომელიც კირილე ალავერდელთან და სხვა კახელ დიდებულებთან ერთად დასახელებული ყოფილა მოწმედ მცხეთის 1492—1499 წწ. ერთ გუჯარში, რომელშიც საუბარია აბალაკ კათალიკოსის მიერ კახეთში სამცხეთო მამულების საზღვრების დაღვენის შესები<sup>116</sup>.

პალეოგრაფიულადაც აღნიშნული წარწერა, ჩვენი აზრით, XV საუკუნეზე უფრო აღრინდელი არა ჩანს. ასოთა მოხაზულობის მხრივ აქ იმდენ სტილიზებულ მომენტებს აქვს აღგილი, რომელთა მიკუთვნება უფრო აღრინდელი საუკუნეებისათვის ნამდვილად ძნელი საქმეა. ასეა თუ ისე, აშკარაა, ამ წარწერაში მოხსენიებული საგინა ის პირია, რომლისგანაც შემდეგ წარმომდგარა საგვარეულო სახელი: საგინა შვილი.

საეკლესიო საქანიანობასთან დაკავშირებული ამ გვარის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი იანქო საგინაშვილი უკვე 1536 წელს იხსენიება საბუთებში, რომელსაც რაღაც საკანონო საქმის გამო ამავე წელს თბილისის სიონისათვის თავისი მკვიდრი ნაყიდი მამულები შეუწირავს<sup>117</sup>.

<sup>116</sup> ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონილოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ყორდანის მიერ II, თბ., 1897, გვ. 310.

<sup>117</sup> სარგის გაკაბაძე, ისტორიული საბუთები, III, თბილისი, 1913, გვ. 60.

უოველ შემთხვევაში ამ საგვარეულო სახელს არაერთჭრად გვხდას მოჩენილი მოღვაწე მიუცია ქვეყნისათვის, მათ შორის ელისე საგინაშვილი, ცნობილი თბილელი მთავარეპისკოპოსი XVII საუკუნის პირველ ნახევრისა და სხვ.<sup>118</sup>

უაღრესად საგულისხმოა, აგრეთვე ნუსხახუცური წარწერა სოფ. მატნიდან, რომელიც ბრტყელ კრამიტზეა შესრულებული. კრამიტი ყალიბშია მოჭრილი და ყალიბითვე გამოყვანილი რელიეფური, საკმაოდ სტილიზებული შვლის (?) გამოსახულებით არის დამშვენებული. მის ქვემოთ სამი რელიეფური ასომთავრული ასო შეიმჩნევა „ზმა“ (საქ. ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფ. საინვ. № 15), (ტაბ. XX).

ზმა ძველ ქართულში — მოქმედებას, ზმნას ნიშნავდა, მაგრამ რა საჭირო იყო იგი აქ, ორათერი ჩანს.

კრამიტზე ნუსხახუცური წარწერა მის გამოწვამდე (ე. ი. ნედლ თიხაზე) წვეტიანი საგნის საშუალებითაა შესრულებული.

იგი ორ ნაწილად იყოფა. პირველ (მარცხენა) გვერდზე სამსტრიქონიანი წარწერიდან შემორჩენილია: მხოლოდ: პირველ სტრიქონზე — „...ასოა“, მეორე სტრიქონზე „...უი“, ხოლო მესამეზე „...უნოა“.

მეორე გვერდზე ხუთსტრიქონიანი წარწერაა წარმოდგენილი. ეს უკანასკნელი აქ „ქანწილით“ იწყება, რომელიც თითქოს შვლის კუდსაც ემსგავსება. თვითონ წარწერა ასე იქითხება: „ესე კეცი რომელ სადა(ხ) აქ მიზის ამონა(ხ)ს ვანისა(ხ) ამის მატანისა(ხ)!“<sup>119</sup>.

შინაარსეულად მარჯვენა გვერდის ეს წარწერა დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ჩანს. ის არ არის გაგრძელება პირველი გვერდის წარწერისა. მასში საუბარია კეცის, ამ შემთხვევაში, კრამიტის კუთვნილების შესახებ და ნათქვამია, რომ ის (კრამიტი — ჭ. ჭ.) ამონაას ვანისა, ანუ სახლისა ყოფილა მატანში. ვისი შვილია ეს ამონაა, ან ვინ არის ამ წარწერის სუბიექტი, ჩვენ არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში, წარწერიდან ეს არ ჩანს. ერთადერთი, რის თქმაც ამ მხრივ შესაძლებელია ისაა, რომ ის

<sup>118</sup> გ. გრიგოლია, ჭ. ჭლამაია, პირლებულის მონასტრის ერთი ასომთავრული წარწერა, „ძეგლის მეგობარი“, თბ., 1970, გვ. 36—43.

<sup>119</sup> ამ წარწერის ტექსტის უაკითხვაში დახმარება გაგვიწია აკად. ა. შანძემ, რისთვისაც მაღლობას მოვასენებთ.



უბრალო პირი არ უნდა ყოფილიყო. ის უფრო შემქვეთი, მნიშვნელობის მფლობელი გამოდის კახეთში.

წარწერაში ძალზე საგულისხმოა სახელი კეცის ხმარება არა თავისი ზოგადი მნიშვნელობით, როგორც თიხისაგან დამზადებული ყველა საგნისა, არამედ კერძო გაგებით, ისეთი სახურავი მასალისა, როგორიც კრამიტი იყო. კეცი, კრამიტის სინონიმი, მისი ქართული შემცვლელია და უაღრესად მოხერხებულიც.

„კეცი“ კრამიტის მნიშვნელობით უნდა იყოს მოხსენიებული ანტონ მარტყოფელის ცხოვრებაში, სადაც აღნიშნულია შემდეგი: „წმინდამან ეპისკოპოსმან დადგა კანდელი აღნთებული, საფარულიად ტაძრისა მის, აღმართა კეცი წინა პირსა ხატისასა და ამოყორა კარი იგი კამარისა და შეაფარილა, რომელ ყოვლად არა ეტყობოდა, თუ ერთი რომელ უახლეს არს“<sup>120</sup>.

„კეცი“ კრამიტის მნიშვნელობით დადასტურებულია XI საუკ. ხელნაწერში, რომელიც მამათა ცხოვრებას წარმოადგენს: „პოვა კეცი დაწერილი... რომელსა ზედა ეწერა ესრეთ“ (იხ. ილ. აბულაძე, ძველი ქართ. ენის ლექსიკონი, გვ. 197).

ეპიგრაფიკულ ძეგლთა ერთ ნაწილზე აღბეჭდილია მხოლოდ თითო სახელი პირთა: ქვენიფნეველი (ტაბ. XXI, 1), ნიკოლოზ (ტაბ. XXI, 2), მიქელ (ტაბ. XXI, 3) და სხვ.

მაგრამ ვინ არიან ისინი, დანამდვილებით თქმა, რასაკვირველია, ძნელია. ერთადერთი, ცხადია, რომ ქვენიფნეველი არ შეიძლება ყოფილიყო უბრალო ვინმე. როგორც ცნობილია, ქვენიფნეველები XIV საუკუნიდან ჩნდებიან ჩვენში და ისინი გვევლინებიან, როგორც მხარის, კუთხის გამგებელნი, ერისთავნი, მფლობელნი, მათ მამამთავრად როსტომი ითვლება, რომელსაც თავის დროზე ცხრა ძმის ხევში (ქსნის ხეობა) საჭდომად ქვენიფნევი, ხოლო სასაფლაოდ ლარგვისი მიუღია. მათი გამოჩენა ისტორიის ასპარეზზე შესანიშნავად აქვს აღწერილი „ძეგლი ერისთავთას“ ავტორს<sup>121</sup>.

ერთ-ერთ ბრტყელ კრამიტზე (საქ. სახელმწ. მუზეუმის ფ. № 1005), (ტაბ. XXII, 1) სამი რელიეფური ასომთავრული ასოა:

ამ წარწერაში ძნელი გადასაწყვეტია, თუ როგორ უნდა იქნეს წაკითხული პირველი ასო, არის ის ბ-ანი თუ ო-ნი.

<sup>120</sup> საქართველოს სამოთხე, გ. საბინინის გამოცემა, 1882, გვ. 294.

<sup>121</sup> ქრონიკები, II, თბ., 1897, გვ. 3.



პალეოგრაფიის თვალსაზრისით უალრესად საგულისხმო წარწერებულია ნიშნული წარწერის უკანასკნელი ასო ბ-ანი, რომელიც აქ აღნიშნულია თავგახსნილია. თუ რას ნიშნავს პალეოგრაფიულად ბ-ანის თავ-შეკრულობა ან მისი ოდნავ თავგახსნილობა, დიდი ხანია გაშუქებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ<sup>122</sup>, ხოლო მის მნიშვნელობას ეპიგრაფიკულ ძეგლებში, ბუნებრივია, ხსენებული კრამიტის წარწერა და სხვა მის ანალოგიურ ძეგლთა შემდგომი შესწავლა გამოარყევს.

სოფ. ფშაველის ღმრთისმშობლის ეკლესიიდან (X ს.)<sup>123</sup> მომდინარეობს ორი კრამიტი: ერთი ბრტყელი, მეორე ღარისებრი. კრამიტზე (ტაბ. XXIII,1) გარკვევით იქითხება ასომთავრულით შესრულებული რელიეფური წარწერა: **შავდ**

ე. ი. მონად ან მამად დავით.

მეორე, ბრტყელ კრამიტზე (ტაბ. XXIII,2), რომლის მხოლოდ ნაწილია შემორჩენილი, შებრუნებულად, სარკისებურად იქითხება: **ცყლ** (შდრ. შებრუნებული წარწერიანი კრამიტები შიომღვიმიდან და ქვემოჭალიდან). წარწერა ასომთავრულადაა შესრულებული, აშეარაა, რომ შ და ი ასოები გადაბმულია. ძნელია იმის თქმა, რას უნდა ნიშნავდეს ეს ქარაგმიანი სამი ასო.

ასანიშნავია ბრტყელი კრამიტის ერთი ნატეხი (ტაბ. XXII,2). კრამიტის წარმომავლობა გაურკვეველია. მასზე ასომთავრული რელიეფური წარწერა სარკისებურადაა შეტრიალებული: **შზასც**

კრამიტზე გარკვევით იქითხება ასოები: მ ლ ხ ს ა. აშეარაა, აქ დაქარაგმებული სიტყვა უნდა იგულისხმებოდეს. თუმცა ქარაგმის ნიშანი არ ჩანს. ჩვენი ვარაუდით, ქარაგმა ასე უნდა გაისხსნას: „მულახისა“. ამ კრამიტის წარმომავლობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაურკვეველია. ამიტომ შესაძლებლობა არა გვაქვს ქარაგმაში (ჩვენი თვალსაზრისით) „მულახისა“ რაიმე კუთხით დაუკავშიროთ კრამიტის წარმომავლობას. მაგრამ ერთი კია ალსანიშნავი: კრამიტის რელიეფური ასოები, პალეოგრაფიულად ძალიან ემსგავსება 897 წელს გადაწერილ ადიშის ოთხთავის ასოთა მოხაზულობას. კრამიტზე რელიეფური წარწერის ადიშის ოთხთავთან პალეოგრაფიული მსგავსება საფუძველს გვაძლევს

<sup>122</sup> ი. ვ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართულ ხელნაშერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, I, 1923, გვ. 313.

<sup>123</sup> ეს ეჭლესია შესწავლა პროფ. ლ. რჩეულიშვილმა 1953 წელს.

ვივარაულოთ, რომ აღნიშნული კრამიტი დაახლოებით X საკუთრებულების ნისა უნდა იყოს.

1963 წ. არმაზისხევის მონასტრის გათხრების დროს აღმოჩნდა კრამიტი (საინკ. № 615), რომელზეც ასომთავრულით შესრულებული რელიეფური სამი ასო იყო გამოყვანილი: +၆၇ (ტაბ. XXII, 3).

ასეთივე კრამიტები, მსგავსი წარწერით, აღმოჩნდა სვეტიცხოვლის განათხარ მასალებშიც. ჩვენი ვარაუდით, +၆၇-ში უნდა იგულისხმებოდეს ქართლის კათალიკოსი ან კათალიკოსი (ქ. მაშინ ქანწილი უნდა იყოს). თუ ეს წაკითხვა სწორია, მაშინ კრამიტის გამოსაწვავი სახელოსნო კათალიკოსისადმი დაქვემდებარებულ წარმოებად შეგვიძლია მიეთხნიოთ. ამ ვარაუდს ისიც უჭერს მხარს, რომ ასეთი წარწერიანი კრამიტები სწორედ მცხოვარი და მის შემოგარენშია აღმოჩენილი.

1966 წელს იყალთოს მონასტრის ტერიტორიაზე აღმოჩნდა რამდენიმე წარწერიანი კრამიტი<sup>124</sup>.

ერთ-ერთ ბრტყელ კრამიტზე ასომთავრული რელიეფური წარწერა: +၆၇ ၄၇ ၄၇ მჩრდე ქრისტე, შეიწყალე თევდორე მნათე.

ღარისებურ კრამიტზე კი ასევე რელიეფური ასომთავრულით იკითხება: ၁၅၇, მეორე მწყრივში კი გარკვევით ჩანს სამი დაქარავებული ასო: ॥და პირველ მწყრივში ქარაგმა ასე იხსნება: ၇၅၇ იოანე, მეორე მწყრივის აჩა კი გაურკვეველია.

როგორც დავინახეთ, სამშენებლო კერამიკულ მასალაზე აღბეჭდილი წარწერის დიდი უმრავლესობა რელიეფურია და მიღებულია ყალიბის საშუალებით. ე. ი. წარწერა ჭერ ყალიბზე უნდა ამოქრილიყო. ეს კი გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული და ამით აიხსნება, რომ ერთი პერიოდის ეპიგრაფიკულ წარწერებსა და ხელნაწერებში ასოთა მოხაზულობა განსხვავებულია.

ივ. ჭავახიშვილი აღნიშნავს: „წარწერის მოხაზულობის ნიშანდობლივი თავისებურება წარწერებსა და ხელნაწერებში სახმარი იარალისა და საწერი მასალის სხვაობის შედეგია. წარწერები მკვეთრი იარალით არის ხოლმე ამოკვეთილი თუ ამოკვანილი, რადგან ამისთვის მასალად მაგარი საგანი — ქვა, ლითონი,

<sup>124</sup> რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, გ. ჭ ე ი შ ვ ი ლ ი, აღდგენითი მუშაობა და მასთან დაკავშირებული არქეოლოგიური კვლევა-ძეგბა იყალთოში 1966 წელს, XVI სამეცნ. სესია მიღწეული 1966 წლის საეკლესიურებელოგიური კვლევა-ძეგბის შედებისადმი (მოქლე ანგარიშები), 1967, გვ. 85.



ხე ან ძვალი იყო ჩვეულებრივ ნახმარი და მასალის სიმტკიცებულის სიმაგრის გამო მკვეთრელი იარაღის მოძრაობისათვის ორივე ხელის მოხმარება და ძალა იყო საჭირო, ამიტომ მარტო ასოთა მოხაზულობას თავისებურება ენიჭებოდა, ძეგლის ხასიათი ჰქონდა ხოლმე<sup>125</sup>.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მექრამიტე ხელოსანს წარწერა ყალიბზე სარკისებურად შეტრიალებული უნდა ამოეჭრა, რათა მისი სწორი ანაბეჭდი მიეღო, მაშინ სიძნელე უფრო თვალსაჩინო გახდება.

არსებობდა სხვა დაბრკოლებაც. წარწერისათვის განკუთენილი ადგილი ჩვეულებრივ შემოზღუდული იყო. ამის გამო, ბუნებრივია, წარწერის დატევის მიზნით, როგორც ჩანს, ხშირად სიტყვები ნებისმიერად არის დაქარაგმებული და ამიტომ მათი ამოკითხვა ზოგჯერ მხოლოდ ვარაუდს ემყარება.

როგორც ვხედავთ, სამშენებლო კერამიკაზე არსებული ის ფრაგმენტები წარწერები, რომელიც ჩვენს განკარგულებაში იყო, მრავალმხრივ საგულისხმონი არიან.

ამ წარწერებში ისტორიკოსი, ფილოლოგი თუ ენათმეცნიერი არა ერთ მისთვის ძვირფას მასალას იპოვის. ყოველ შემთხვევაში ეს ძეგლები ღირსნი არიან უფრო სპეციალური შესწავლისა მომავალში.

## თ ა ვ ი ۷

### პერამიკული ფუალსაჭერის მიღები ფეოდალური ხანის საჩართველოში

საქართველოში ფართოდ გაშელილი არქეოლოგიური კვლევაძიების შედეგად მიკვლეული წყალმომარაგების უძველესი ნაშთები ძირითადად უკავშირდება კულტურულ-ადმინისტრაციულ ცენტრებს, ციხე-სიმაგრეებს, ქალაქებისა და სასახლეებს.

არქეოლოგიური თხრით გამოვლენილი წყალსაღენების შესწავლისა და ზოგიერთი ისტორიული საბუთის მიხედვით დასტურდება, თუ რაოდენ დიდი უურადღება ენიჭებოდა ჩვენში წყლით უზრუნველყოფის საქმეს. აღნიშნული ძეგლები ძირითადად, გან-

<sup>125</sup> ი. ვ. ჭავახიშვილი, ქართული დამწერლობა-მცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 3.



ლაგებულნი არიან მდინარეების სანაპიროზე ან მის მახლობლების ხოლო მაღლობ აღგილებში ამისათვის საგანგებოდ გაჰყავდათ კერამიკული წყალსადენები და საიდუმლო გვირაბები.

ჩვენში კერამიკული წყალსადენების საშუალებით სასმელი წყლის მიწოდების კერარობით ყველაზე აღრეული ნიმუში გვაქვს დედაქალაქობის ხანის მცხოვაში<sup>126</sup> და ძვ. წ. აღ. II—I სს. ვანში<sup>127</sup>. ა. წ. აღ. II—III სს. წყალსადენი მიკვლეულია ბიჭვინთაში<sup>128</sup>.

ა. წ. V—VIII სს. ლაზიკაში ციხე-ქალაქ ვაშნარს წყლით აჩარაგებდა გულდაგულ ნაგები კერამიკული წყალსადენი, რომელიც შორი მანძილიდან ყოფილა გამოყვანილი<sup>129</sup>.

კერამიკული წყალსადენების მშენებლობას საქართველოში განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიუღია XII საუკუნეში. ამის დამადასტურებელია თამარ მეფის მწიგნობართუხუცესის ანტონ ჭყონდიდელის მიერ გაყვანილი სხალტბა-შიომღვიმის<sup>130</sup>, ვარძის კლდეში ნაკვეთი ქალაქის კომპლექსისა<sup>131</sup> და თამარ მეფის საზაფხულო რეზიდენციისათვის (ნაღარბაზევი)<sup>132</sup> გამართული კერამიკული წყალსადენები.

ამავე და მომდევნო ხანის კერამიკული წყალსადენების ნაშთები მიკვლეულია, იგრეთვე, თბილისში, ღმანისში, კასპში, გეგუთში, გონიოში, შენეფში, გრემში, თელავსა და სხვ.

XII საუკუნიდან წყალმომარაგების ნაგებობათა მშენებლო-

<sup>126</sup> ა. აფაქიძე, გ. გობეგიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა, I, თბ., 1955, გვ. 156, ტაბ. IX სურ. 2, 3; ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963, გვ. 41, ტაბ. XXIII, სურ. 2, 5.

<sup>127</sup> ო. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1968, გვ. 143.

<sup>128</sup> ა. აფაქიძე, რ. ფუთურიძე, ო. ლორთქიფანიძე, არქ. გათხრები ბიბიკინთაში 1963 წ., სამეცნ. სესია მიძღვნილი საველე არქეოლ. კალა-ვა-ძების შედეგებისადმი, თბ., 1964, გვ. 10—13.

<sup>129</sup> გ. გობეგიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1962, გვ. 155.

<sup>130</sup> ა. ლ. ლოსაბერიძე, ძველი წყალსადენებისა და არხების ნაშთები; შ. ხიდაშვილი, სხალტბა-შიომღვიმის 1202 წ. წყალსადენი, კრებულში „შ. რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938, გვ. 232—264.

<sup>131</sup> კ. მელითაშვილი, მეთორმეტე საუკუნის ვარძის წყალსადენი. უკრ. „მეცნ. და ტექნიკა“, № I, 1959, გვ. 36—38.

<sup>132</sup> ი. ციციშვილი, ნაღარბაზევის წყალსადენი, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XI, № 8, 1950, გვ. 527—534.

ბა და მათი მოვლა-პატრონობისადმი განსაკუთრებული ჟურნალი დაბის დადასტურებაა თამარ მეფის 1202 წ. სიგელი, გაცემული მწიგნობაროუნიცეს ანტონ ჭყონდიდელისადმი. მისი განკარგულებით ამ საქმისათვის გამოპყვეს საგანგებო პირები — ქუქანები, რომელთა შვილებიც კი „ქუქანკებად განისწავლებოდნენ და ჰქაზმავდნენ მას წყაროსა“<sup>133</sup>.

ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმდროინდელ საქართველოში წყალმომარაგების საკითხის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას, რადგანაც იგი ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქვეყნის თავდაცვითი, ეკონომიკური თუ კულტურული მშენებლობის სასიცოცხლო ინტერესებთან.

წყალმომარაგება ძირითადად ხორციელდებოდა ღია არხების, მიწისქვეშა საიდუმლო გვირაბების, კერამიკული წყალსადენებისა და სხვა საშუალებებით.

წყალმომარაგების საშუალებათა შერჩევა, მათი გამტარუნარიანობა და ინტენსივობა დამოკიდებული იყო წყლით მოსამარაგებელი ობიექტის მნიშვნელობაზე, მატერიალურ შესაძლებლობაზე და სანიტარულ-ტექნიკური კულტურის განვითარების დონეზე.

საქართველოში დღემდე აღმოჩენილი არც ერთი ძველი წყალსადენი მთლიანი სახით არ არის ჩენენამდე მოღწეული, ანდა ბოლომდე შესწავლილი, რაც, ბუნებრივია, ართულებს მასთან დაკავშირებული ჴაინუინრო-ტექნიკური მოწყობილობის, მათი ტერიტორიული და ქრონოლოგიური გავრცელების, ამ კულტურის მატარებელი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის საკითხების კვლევას, რაც მომავლის საქმეა და უშუალოდ დაკავშირებულია ახალ აღმოჩენებთან.

მოპოვებული მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ წყალმომარაგება ხდებოდა თვითდინებისა და ჭავლის პრინციპით აგებული კერამიკული მილსადენის საშუალებით.

ჭავლის პრინციპით წყალმომარაგების თვალსაჩინო სურათს იძლევა ნადარბაზევის წყალსადენი<sup>134</sup>. ეს მიღწეულია წყალსადენის სათავისა და სასახლის სიმაღლეთა სხვაობით (60—70 მ) და მილსადენის კვეთის თანდათანობით შემცირებით. კერამიკული

<sup>133</sup> თ. ფორდანია, ისტორიული საბუთები შომლების მონასტრისა,

1202 წ. სიგელი თამარ მეფისა, ტფ., 1896, გვ. 25—28.

<sup>134</sup> არ. ციციშვილი, დამოწ. ნაშრომი, გვ. 527—534.



შილები დამზადებულია კარგად გამომწვარი თიხისაგან. თითოეული მილის სიგრძე — 45 სმ-ია, რაც შეხება მათ კვეთს, აქ ზომების მხრივ თვალსაჩინო განსხვავებაა. სასახლის ტერიტორიის გარეთ, მთის ფერდობსა და დაბლობში მილის დიამეტრი გაცილებით დიდია. მაგალითად, მსხვილი თავის დიამეტრი 8 სმ-ია, წვრილისა კი — 3,5 სმ, კეცის სისქე — 1,5 სმ.

მილის კვეთი სასახლესთან მიახლოებულ მონაკვეთზე თანდათან მცირდება, მსხვილი თავის დიამეტრი 7 სმ ხდება, წვრილისა კი — 3 სმ, ხოლო უშუალო სიახლოვეს კი წვრილი თავის დიამეტრი 2 სმ-მდეც კი მცირდება, ამასთან იზრდება მილის კედლის სისქე 3 სმ-მდე, რადგანაც კვეთის შემცირებით მიღებული ჭავლის ზრდა მოითხოვდა მილის კედლის სისქის გადიდებასაც.

ნადარბაზევის წყალსადენის მილები ფორმით არ განირჩევიან თვითდინების პრინციპით აგებული წყალსადენის მილებისაგან. განსხვავება მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ ჩეეულებრივზე უფრო მეტი სხვაობაა წაგრძელებულ (6—8 სმ) ტუჩსა და მილის მსხვილ და წვრილ თავებს შორის.

იქ, სადაც წყალსადენის ტრასა მიმართულების შეცვლას მოითხოვდა, გამოყენებულია საგანგებოდ დამზადებული მოლუნული მილი, ანუ მუხლი. ბუნებრივია, მილს ღუნავენ ნედლ მდგომარეობაში წინასწარ ცნობილი საჭირო კუთხით, გამოწვამდე.

წყალსადენის გამართვის ტექნიკის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს სხალტბა-შიომღვიმეს წყალსადენი, რომელიც გაყვანილ იქნა სამი წლის განმავლობაში ანტონ კუონდიდელის მიერ და დასრულდა 1202 წ. „ვებნე და ვპოვე წყალი ადგილსა სხალტბისასა და კელ-ვყავ მოქმედებად და შეწევნითა მისითა (ე. ი. შიოს შეწევნით), მოვიყვანე წყარო კარსა წმიდისა ეკლესიისასა ეამსა წელიწადისა სამისასა დიდითა და გულსმოდგინებითა“<sup>135</sup>.

როგორც არქეოლოგიურმა თხრამ გამოარკვია<sup>136</sup>, წყალსადენის ტრასა, რომლის სიგრძე ორ კმ-მდეა, როთულ რელიეფურ პირობებში ყოფილა გაკვალული. რადგან წყალსადენის სათავე და მისი ბოლო მთის ორ სხვადასხვა ფერდობზე მდებარეობდა, საჭირო გახდა, რომ წყალსადენის ტრასისათვის გვირაბი გაეჭ-

<sup>135</sup> თ. ე თ რ დ ა ნ ი ა, დამოწ. ნაშრომი, გვ. 26.

<sup>136</sup> უ. ხ ი ლ ა შ ე ლ ი, დამოწ. ნაშრომი, გვ. 231—264.



რათ, რაც წარმატებით შეუსრულებიათ იმდროინდელ გეგმური მუნიციპალიტეტის ლებს.

წყალსადენის მილები კარგადაა გამომწვარი. მილები უდუღლაბოდ ყოფილა ჩაწყობილი, ხოლო მათი ურთიერთშეერთების ადგილები თიხით გადალესილი. წყალსადენის ტრასის დიდი ნაწილი გაჭრილია ქვიან ნიადაგში, ხოლო იქ, სადაც ნიადაგი რბილი იყო, მილები ხის ფიცრებზე დაუშევიათ.

მონასტრის წყალსადენის მილის სიგრძე 55 სმ-ია, მსხვილი თავის დიამეტრი — 19 სმ, წვრილისა კი — 16 სმ.

მილსადენის მიმართულების შეცვლის ადგილებში ჩადგმული ყოფილა მოღუნული მილი — მუხლი. ეს უკანასკნელი ნადარბაზევის წყალსადენში გამოყენებული მუხლისაგან იმით განსხვავდება, რომ იქ მილი წელშია მოხრილი, აქ კი მხოლოდ ტუჩი აქვს გადაზნექილი.

სხალტბა-შიომლვიმის წყალსადენში გამოყენებულია ე. წ. თანგირა, იგი წარმოადგენს ქილისმაგვარ ჭურჭელს, რომელსაც ორივე მხრიდან მკლავები აქვს. ერთი მკლავი მილის მსხვილ თავს შეესაბამება და მის წინ მდებარე მილია მასთან დაკავშირებული, ხოლო წვრილი თავით თვით თანგირაა ჩასმული მომდევნო მილში. მისი დანიშნულება იყო წყალსადენის მოვლა-პატრონიბის გაადვილება. მისი საშუალებით ადვილად შეიძლებოდა დაზიანებული ადგილის მიგნება და შეკეთება. თანგირა გილსადენში გარევეულ მონაკვეთებზე იყო ჩართული და თუ წყალსადენში წყალი შეწყდებოდა მთელი ტრასის გათხრის ნაცვლად, თანგირებს თავს მოხდიდნენ (თანგირები ბრტყელი სიპი ქვებით იყო დახურული) და დაზიანებულ ადგილს მიაკვლევდნენ. თანგირების მისაგნებად კი, ბუნებრივია, მიწის ზედაპირზე რაიმე ნიშანი ჰქონდათ დადებული.

ვარძიის წყალსადენის ნაგებობის შესწავლამ<sup>137</sup> კიდევ უფრო გაზიარდა ჩვენი წარმოდგენა XII საუკ. მეორე ნახევრისა და XIII საუკ. დასაწყისის ქართული ჰიდროტექნიკური კულტურის შესახებ.

ზედა ვარძიის ხევიდან გამოქვაბულის კომპლექსს წყლით ამარაგებდა 3,5 კმ სიგრძის კერამიკული მილებისაგან შემდგარი წყალსადენი, რომელიც გაყვანილია კლდოვან და ციცაბო მთის

<sup>137</sup> ქ. მ ე ლ ი თ ა უ რ ი, XII საუკ. ვარძიის წყალსადენი, ეურ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1953, № 1, გვ. 36—38.

კალთებში. ასეთ რთულ რელიეფზე პირობებში, ბენებრივი მუზეუმის წყალსადენის მშენებლებს და პირდებოდათ ტრასის წინასწლიანობა და ვატერპასირება. ძველ საქართველოში ჰქონიათ სა-ამისო ხელსაწყოც, რომელსაც „სანაკავში“<sup>138</sup> ეწოდებოდა.

წყალსადენისათვის კლდეში ამოკვეთილ ღარში ჩაუწყვიათ კარგად გამომწვარი მილები (სიგრძე — 45 სმ, მსხვილი თავის დიამეტრი — 13 სმ, წვრილისა — 11 სმ, კეცის სისქე — 1 სმ).

ღარი სხვადასხვა სილრმეზეა გაჭრილი, რაც ტრასის ხასიათით იყო გაპირობებული. მის იატაკზე ჯერ დაუსხამთ 8 სმ სისქის ღულაბის ფენა, შემდეგ კი მილები ჩაუწყვიათ. მილები დამზადებულია მოწითალოდ გამომწვარი მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან.

ვარძიაში ისე, როგორც სხვაგან, წყალსადენის მილები ზუსტად ერთი ზომისანი არ არიან. მეტნაკლებად დაცულია მათი დიამეტრი თავსა და ბოლოში, რაც აუცილებელია ურთიერთში ჩასაჭდომად.

კერძოიკულ მილებსა და თანგირებს, რადგანაც ისინი მიწაში ჩასაწყობად არიან გათვალისწინებული და ამრიგად, აღამიანის თვალისაგან დაფარული, არ უკეთდებათ რაიმე შემკულობა ორნამენტის სახით, მაგრამ გვაქვს რამდენიმე ნიმუში, როდესაც მილს და თანგირს ორნამენტი ამჟობს.

ეთნოგრაფიული მასალები გვიჩვენებენ, რომ კერძოიკული მილების (ასევე თანგირების) კეთება მეჭურჭლე ხელოსნის საქმე ყოფილა<sup>139</sup> და ამიტომ გასაგები უნდა იყოს, რომ მეჭურჭლე ხელოსნების (მილის მკეთებელს) ზოგჯერ მათზედაც გაეკეთებინა რაიმე ორნამენტი. ასეთი რამ დადასტურებულია ხარაჯშიც<sup>140</sup>.

ვარძიის წყალსადენის თანგირას შემოკრული ჰქონდა ღულაბის სქელი ფენა. მას ორი მკლავი აქვს: წყლის მისაღები და გასაშენები. ეს უკანასკნელი 3—4 სმ-ით ღაბლა მდებარეობს. მისი ძირი შევიწროებული და ბრტყელია. თანგირას მუცლის ქვემოთ მცირე მილშევრილი აქვს, რომლის საშუალებითაც, როგორც ჩანს, აღვილად შეიძლება ამოწმენდილიყო თანგირაში დალეჭვის შედეგად დაგროვილი, წყალს მოყოლილი ქვიშის ფენა.

ვარძიის წყალსადენის დროინდელი ჩანს ვანის ქვაბის მო-

<sup>138</sup> კ. მელითა ური, დამოწ. ნაშრომი, გვ. 36.

<sup>139</sup> ლ. ბოჭორიშვილი, ქართული კერძოება, I, თბ., 1949, გვ. 98.

<sup>140</sup> В. Д. Блаватский, Харакс, МИА ССР, № 19, М., 1956, გვ. 256.



ნასტრის მილსადენის ტრასა, რომელიც ჭავლის პრინციპზე არის განვითარებული. მისი სათავე ნაგებობა ჯავახეთის პლატოს ფერდობშია განვითავენი მიებელი. იგი კლდის დამრეც ფერდობში მოკლე ზიგზაგით ეშვერ ბა (გაითხარა 70 მ სიგრძეზე<sup>141</sup>). მილის სიგრძე 30 სმ, დიამეტრი მსხვილ თავში — 8,5 სმ, წვრილისა კი — 4,5 სმ.

განვითარებული შეა საუკუნეების ხანის წყალსადენის რამდენიმე ტრასა მიკვლეულ და შესწავლილ იქნა სვანეთში, კერძოდ, მესტიის მთებში. სოფ. ლეხთაგის, სეტისა და ლანჩხვალის ცალკეული უბნების წყლით მომარაგება ხდებოდა კერამიკული მილსადენების საშუალებით<sup>142</sup>. მილების მოყვანილობა ერთნაირია, მილის სიგრძე — 40—45 სმ-ია.

წყალსადენი მილები ჩამჭდარი იყო კირის დუღაბში, რომლისთვისაც ყველა მხრიდან ფიქალი ქვები შემოუწყვიათ. საყურადღებოა, კირის დუღაბითა და ქვის ნატეხებით მილსადენის გამაგრების ასეთივე წესი გამოყენებულია ვარძიის, სხალტბისა და ვაშნარის წყალსადენების მშენებლობაშიც. დუღაბი შედგება ქვიშანარევი კირისაგან, რომელსაც ზოგჯერ შერეული აქვს ჭვავის ქატო. ანალოგიური სურათი დამოწმებულია ვარძიაშიც<sup>143</sup>.

თბილისში მთაწმინდის ქვედა ნაწილში აღმოჩნდა წყალსადენის (XII ს.) ნაშთი<sup>144</sup>. იგი შედგებოდა ოთხი მილისაგან, რომლებიც კარგად იყო გამოწმვარი. მილები პირდაპირ მიწაში ყოფილა ჩაწყობილი დუღაბის გარეშე და როგორც ჩანს, შეერთების ადგილები თიხით ჰქონია ამოლესილი. თითოეული მილის სიგრძე 50—52 სმ-ია. მსხვილი თავის დიამეტრი 9 სმ-ია, ვიწროსი კი — 7,5 სმ, კეცის სისქე — 1,5 სმ. წყალსადენი ნაგები ყოფილა თვითდინების პრინციპით.

ამავე წესით ჩანს ნაგები სამას-არაგველთა ბალის გვერდით გათხრილი კერამიკულ სახელოსნოსთან (XII—XIII სს.) დაკავშირებული მილსადენის ნაშთი<sup>145</sup> და არმაზისხევის მონასტრის (XII ს.) წყალსადენი, რომლის ნაწილი გავთხარეთ 1963 წ.

<sup>141</sup> გ. გ. ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, არქიტექტურულ-არქეოლოგიური ძეგბანი ვანის ქვებში 1967 და 1968 წწ. საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიური ექსპ-დიცენტი, II, თბ., 1971, გვ. 112.

<sup>142</sup> გ. ჩ ა რ თ თ ლ ა ნ ი, წყალმომარაგების უძველესი ძეგლები სვანეთში, მაცნე, სტ. არქ. ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სტ. სერია, № 1, 1972, გვ. 83.

<sup>143</sup> კ. მ ე ლ ი თ ა უ რ ი, დამოწ. ნაშრომი, გვ. 37.

<sup>144</sup> დ. მ შ ვ ე ნ ი ე რ ა ძ ე, უძველესი წყალსადენი თბილისში, ეურ. „მეცნი-ერება და ტექნიკა“, 1951, № 10, გვ. 35—37.

<sup>145</sup> გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ძეგლი ქართული კერამიკული ჭარმოების სტრატიგიის, უცრ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1949, № 8, გვ. 6—14.



შეცვის ციხე-სიმაგრის უძველესი წყალსადენი (XV—XVI ს. წარმოადგენს წყლის წნევით აყვანის განხორციელების ერთნერთ საინტერესო მაგალითის<sup>146</sup>.

წყალსადენ მიღებს აქვთ კარგად გამომწვარი კეცი.

მიღის სიგრძე 45—50 სმ-ია, მსხვილი თავის დიამეტრი — 11,5 სმ, ვიწროსი — 9,5 სმ, კეცის სისქე — 1,5 სმ. ვიწრო თავთან 3 სმ სიგრძის ტუჩი აქვს რელიეფური ლილვით გამოყოფილი. ამ ტიპის მიღები ჩაწყობილი ყოფილა წყალსადენის თვითდინების ზონაში. წყალსადენის ტრასის იმ ნაწილში, სადაც წყალი წნევით უნდა ასულიყო, მიღები სულ სხვა ზომისაა და უტუჩი. მისი სიგრძე — 70 სმ, მსხვილი თავის დიამეტრი — 10 სმ, ვიწროსი — 5 სმ, კეცის სისქე — 2 სმ. ისინი ღრმად და მჭიდროდ არიან ერთმანეთში ჩამჯდარნი. სიმტკიცისათვის მიღები მთლიანად იყო დაფარული 5—6 სმ სისქის კირის დუღაბით.

შეცვის წყალსადენის დროინდელია გონიოს ციხე-სიმაგრის თვითდინების პრინციპით ნაგები მიღსადენი, რომელიც ორ პარალელურ მაგისტრალს წარმოადგენს<sup>147</sup>. პირველი მაგისტრალის მიღები შუაში შევიწროებულია. მიღის სიგრძე 43 სმ-ია, მიღის შუაში შიგა დიამეტრი — 14,3 სმ, ხოლო მიღის თავსა და ბოლოში 16,5 სმ უდრის, კეცის სისქე — 1,5 სმ-ია, ტუჩის სიგრძე — 5 სმ.

მიღები ურთიერთშეერთების ადგილას თიხით ყოფილა გადალებით.

მეორე მაგისტრალის მიღი შუაში თითისტარის მსგავსად არის გამობერილი. მისი სიგრძე — 50 სმ-ია, მიღის შიგა დიამეტრი გამობერილ ნაწილში 16 სმ-ია, მიღის თავსა და ბოლოში შიგა დიამეტრი თანაბარია და 12 სმ უდრის. მიღის თავი კონუსისებურად შევიწროებულია და ჭდება მეორე მიღის ბოლოში 5 სმ სიღრმეზე.

გვიან შეა საუკუნეების, კერძოდ, XVII—XVIII ს. წყალსადენის ნაშთები მიკვლეულია ქ. თბილისში სხვადასხვა ადგილას<sup>148</sup>.

<sup>146</sup> ი. ა დ ა მ ი ა, წყალმომარაგების უძველესი ნაგებობანი საქართველოში, თბ., 1958, გვ. 9—15.

<sup>147</sup> ი. ა დ ა მ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 26—32.

<sup>148</sup> ი. გ რ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ი. ტ ყ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ძველითბილისის წყალსადენების სტორიდინ, უკრ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1968, № 12, გვ. 28—30.



1957 წ. ზამთარში ენგელსის ქუჩის გასწვრივ ორმა ფუნდურია ში 0,7 მ სიღრმეზე თავი იჩინა კერამიკული წყალსადენის ნაშთმა, სადაც მიღებთან ერთად თანგირაც აღმოჩნდა. ეს ტრასა ზუსტად დაემთხვა ვახუშტი ბაგრატიონის მიერ ქალაქის გეგმაზე ძეველი ქუჩების გასწვრივ პატარა რგოლებით აღნიშნული ხაზების მიმართულებას, რაც მიჩნეულია წყალსადენის ძირითადი მაგისტრალების ტრასების აღმნიშვნელად.

თბილისის ქახემლწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის სადაზღვევო არქეოლოგიურმა ექსპედიციამ შეისწავლა წყალსადენის ტრასა, რომლის სათავე ოქროყანის მიღამოებში იწყებოდა და კომკავშირის ხეივნით წყალს აწვდიდა თბილისის დედაციხეს. მილსადენი ჩასმული იყო აგურის პერანგში და დუღაბით შემაგრებული. წყალსადენი მოპოვებული თანმხელები არქეოლოგთან მასალის საფუძველზე დათარიღებულია XVIII საუკ. I ნახევრით<sup>149</sup>.

წყალსადენი მილები და თანგირები აღმოჩნდა აგრეთვე 1967 წ. ერეკლე II-ის მოედნის ბაღში წარმოებული არქეოლოგიური თხრის შედეგად<sup>150</sup>. თანგირები მოთავსებული იყო ქვით ნაშენ საგანგებო აუზში. ერთში თიხის მილით წყალი შემოდიდა, ხოლო ორი დანარჩენით, ასევე მილების საშუალებით, წყლის ხან ერთი და ხან მეორე მიმართულებით შეიძლებოდა მიშვება, ე. ი. წყლის ნაყადის ნებისმიერად განაწილება. მიჩნეულია, რომ ამ წყალსადენით ხდებოდა სასახლის აბანოს მომარავება ცივი წყლით. იქვე აღმოჩნდა წყალსადენის სხვა ნაშებიც. ყოველივე ეს აშკარად მეტყველებს თბილისში წყალსადენების მშენებლობის მაღალ დონეზე.

შუა საუკუნეების საქართველოს აბანოების წყლით მომარავება ძირითადად კერამიკული მილგაყვანილობის საშუალებით ხდებოდა. კერამიკული მილების საშუალებით წყალი უშუალოდ წყაროდან მოედინებოდა (ქვემო ჭალა, თელავის აბანი)<sup>151</sup>, ხოლო ზოგჯერ ქალაქის ან ციხის წყალსაცავიდან იყო გამოყვანილი (გრემი, თბილისის დედაციხე)<sup>152</sup>.

<sup>149</sup> ი. გრეკლიშვილი, თ. ტყეშელაშვილი, დამოშ. ნაშრომი, გვ. 29.

<sup>150</sup> ი. გრეკლიშვილი, თ. ტყეშელაშვილი, თბილისის მარერალური კულტურის ხელობი, თბ., 1961, გვ. 18—19.

<sup>151</sup> Р. Гвердцители, Баня в Квемо-чала (ხელნაწერი); მ. მამუშვილი, კახეთის ძეველი აბანოები, საქ. მუს. მომზე, 1947, XIV—B, გვ. 172.

<sup>152</sup> მ. მამუშვილი, დამოშ. ნაშრომი, გვ. 180.



წყლის უკეთ მომარაგების მიზნით აბანოებში ცივი წყლი რეზერვუარები ეწყობოდა, საიდანაც თიხის, იშვიათად რკინის (გორი) მილების საშუალებით ოთახებში ნაწილდებოდა, ხოლო მერე განშტოების საქვაბებში ეწყოდა, როგორც ეს დამოწმებულია ქვემო-ჭალის, გრემის, რუსთავისა და როსტომ მეფის სასახლის აბანოებში<sup>153</sup>.

ცხელი წყლის მიწოდებაც აგრეთვე კერამიკული მილების საშუალებით ხდებოდა, ზოგ ადგილას იგი გამოყენებულია ნახმარი წყლის გადასაღრულადაც<sup>154</sup>.

კერამიკული წყალსადენის ნაშთები არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია სომხეთისა და აზერბაიჯანის ნაქალაქარებში: დვინში, კაბალაში, ორენციალსა და ძველ განვაში.

იქ აღმოჩენილი კერამიკული მილები, როგორც მოყვანილობით, ისე დამზადების ტექნიკით არ განიჩევიან შუა საუკუნეების საქართველოში დამზადებული წყალსადენის მილებისაგან.

დვინში აღმოჩენილი მილის ზომებია: სიგრძე — 42 სმ, მსხვილი თავის დიამეტრი — 10—15 სმ, წვრილი თავისა — 9—13 სმ, ტუჩის სიგრძე — 3,5 სმ. იქვე აღმოჩენილი თანგირაც<sup>155</sup>.

ალბანეთის ძველი დედაქალაქის კაბალის გათხრება გამოაშელაგნეს წყალსადენის ფართოდ გაშლილი ქსელის ნაშთები, რომელიც თავის ღროზე სასმელი წყლით ამარაგებდა დედაქალაქის ცალკეულ უბნებს.

ძირითადი მაგისტრალის მილის ზომებია: სიგრძე — 48 სმ, მსხვილი თავის დიამეტრი — 23 სმ, წვრილისა კი — 17 სმ, კეცის სისქე — 1,5 სმ, ტუჩის სიგრძე — 5,5 სმ. ისინი ერთმანეთან შეერთების ადგილას კირის დუღაბით ყოფილან დაფარულნი.

წყალსადენის განშტოების ტრასის მილები შედარებით მოკლეა. სიგრძე — 31 სმ, მსხვილი თავის დიამეტრი — 11 სმ, ვიწროსი — 7,8 სმ, ტუჩის სიგრძე — 5 სმ<sup>156</sup>.

<sup>153</sup> რ. გ ვ ე რ დ წ ი თ ე ლ ი. როსტომ მეფის სასახლის აბანო, „ქეგლის მეგობარი“, 1964, II, გვ. 13.

<sup>154</sup> ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ღმანისი, კრებულში შოთა რესთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა; თბ., 1938, გვ. 429.

<sup>155</sup> Կ. Գ. Կաֆադարյան, Город Двин и его раскопки, Ереван, 1952, 83. 47.

А. А. Կալантарյան, Материальная культура Двина IV—VIII вв. Ереван, 1970, таб. V.

<sup>156</sup> О. Ш. И с м и - з а д е, О раскопках в Қабале на территории южной части города в 1960 г., Материальная культура Азерб-на, Баку, V, გვ. 45.

5. ք ա մ լ ե տ ք լ ա մ ա ս ա



ქალაქის ციტადელში აღმოჩენილ ერთ მილზე გამოსახული იყო კუფილი ცხენი<sup>157</sup>.

გამართვის ტექნიკითა და მილების დამზადების მიხედვით მსგავსი წყალსადენები აღმოჩენილია ორენჟალის საცხოვრებელ კვარტალში<sup>158</sup> და ძველ განვაში<sup>159</sup>.

ამრიგად, საქართველოში კერამიკული წყალსადენების მშენებლობა ამ საქმის ადგილობრივი განვითარების უძველეს ფესვებთან ერთად მის საზოგადოებრივ ხასიათზეც მეტყველებს. დღეისათვის ჩვენ ხელთ არსებული ყველა სახის მასალა საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა პიღროტექნიკური კულტურა.

ძველ საქართველოში ტექნიკურად გამართული წყალმომარაგების ნაგებობათა შექმნა აშკარად მეტყველებს ჩვენში სამშენებლო და სამეურნეო საქმის დიდ ცოდნა-გამოცდილებას და ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენი ქვეყნის კულტურის მაღალ დონეს.

## თავი VI

### სამშენებლო ძერამიკის ჯაროვება ფეოდალური ხანის საქართველოში

ფეოდალური ხანის საქართველოს სამშენებლო კერამიკის მეტნაცლებად სრული სურათის შესაქმნელად საჭიროდ მიგვაჩნია სამშენებლო კერამიკული მასალის წარმოების დახასიათება. სამშენებლო კერამიკის წარმოებასთან დაკავშირებული ზოგი საკითხის განხილვა რთულდება და ფერხდება იმის გამო, რომ ჯერჯერობით განათხარ მასალებში არსად არ გამოვლენილა აგურისა და კრამიტის გამოსაწვავი ქურები და არც ისტორიულ წყაროებშია დაცული ცნობები მათ შესახებ<sup>160</sup>. ამდენად, ნაშრომის ეს

<sup>157</sup> С. М. Казиев, Историко-археологическое обследование городища Кабалы. Мат. культура Азерб.-на, V, Баку, 1961, გვ. 48, таб. III, ტაბ. I.

<sup>158</sup> А. Л. Якобсон, Раскопки городища Оренкала в 1953-55 гг. (раскоп I), МИА СССР, № 67, Труды Азербайджанской (Оренкалинской) экспедиции. Т. I, М., 1959, გვ. 131, სურ. 97.

<sup>159</sup> И. М. Джадарзаде, Историко-археол. очерк Старой Ганджи (родина Низами), изд. АН АЗ. ССР, Баку, 1949, გვ. 53.

<sup>160</sup> აღმოჩენილია მხოლოდ გამოსაწვავი ქურის ნაშთები არმაზისხევისა და რუსთავის ნაციხევარზე. რუსთავის ნაციხევარზე ერთ-ერთი კონტრფორტის კორპუსში გამოჩენდა უზუნდებული კრამიტის ნატეხები, ნაბშრი და სხვა, რაც აქ კრამიტის გამოსაწვავი ღუმელის არსებობას გვავარაუდებინებს.



თავი ძირითადად საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დაცული ცილინდრის მასალებს ეყრდნობა<sup>161</sup>.

ჩვენში საგურე-საკრამიტე თიხის საბაღოების ფართოდ გავრცელება<sup>162</sup> იმთავითვე ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სამშენებლო კერამიკის აღგილობრივი წარმოებასათვის. ეთნოგრაფიული მასალები ნათელს ხდიან ზემოთქმულს და ადასტურებენ აღმოსავლეთ თუ დასავლეთ საქართველოში კერამიკის სხვადასხვა დარგის (მეჭურჭლეობა, მექვევრეობა, მეთონეობა, მეკრამიტეობა, მეაგურეობა, კერამიკული მილების კეთება, და ა. შ.) არსებობას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძველ ქართულ წერილობით წყაროებში ძალზე ძუნწი ცნობები შემოგრჩა ხამშენებლო კერამიკის თაობაზე. აქა-იქ გაბნეულია ცნობები ტერმინ „აგურისა“ და მისი სინონიმის ხმარების შესახებ.

თუ სამშენებლო კერამიკის შესახებ ძველ ქართულ წერილობით წყაროებში რამდენიმე ცნობა მაინცაა დაცული, სამშენებლო კერამიკის წარმოების შესახებ მხოლოდ ერთადერთი ცნობაა ჩვენამდე შემონახული. არსებობს 1774—1777 წწ. დათარილებული საბუთი ნინოწმინდის მიტროპოლიტიკის საბა ტურსისშვილისა (ნინოწმინდელისა), რომელშიც გადმოცემულია ნინოწმინდის სამღვდელოთმთავროში ეკლესიის განახლებითი მშენებლობის შესახებ<sup>163</sup>. ამასთან დაკავშირებით გუჯარში აგურის გამოწვის თაობაზე ნათქვამია: „და შეცხობილისა ალიზისა მეცელოვნებან ესე მოგვითხრა: ალიზი არ შეიცხობა თუ არა რიყის ხითა და ესე გვშორვიდა დიდად, რომელიობისა მდინარიდან უნდა გევზიდა. და ამად უამად მრავლად სხვაგან და სხვაგან დიდ-დიდი ჯარნი მდგომარეობდეს ლეკთანი და ჩუენ, თავისა პელთა მტერთასა მისაცემელად დამრიდებელთა, მრავლითა ასითა ურმითა ვიწყეთ მოტანად იორით ნარიყისა მის შეშისა და ალიზ-აგური ესრეთ შევმზადეთ“<sup>164</sup>.

<sup>161</sup> გამოყენებულია: а) საქართველოს შინამრეწველობისა და წერილი ხელოსნობის ისტორიისათვის 1935 წ. შეგროვებული მასალები (ხელნაწერი, ინახება ი. ჯვანიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში). ქვემოთ—ყველგან „მასალები“; ბ) ს. ბერე კიდე, ქართლის III 1949 წ. კომპლექსურ-არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელოსნობა)—ხელნაწერი.

<sup>162</sup> Природные ресурсы Грузинской ССР, т. П., М., გვ. 101.

<sup>163</sup> გუჯარი გმილუმულია, იხ. ს. ბარნაველი, საბა ტურსიშვილის „მდერმებრი ღუშანი“, ქართული ხელოვნება, 3, თბ., 1950.

<sup>164</sup> ს. ბარნაველი, დამოშ. ნაშრომი, გვ. 211.

ამ უნიკალურ ცნობაში კარგადაა გადმოცემული აგურის შემთხვევა „ცხობის“ სპეციფიკა: შეცხობილი ალიზის, ანუ აგურის შემთხვევა „ლოვნე“ გამომწვარი აგურის მისაღებად უპირატესობას მდინარის მიერ გამორიყულ ხეს ანიჭებს, რომელიც „მრავლითა ასითა ურ-მითა“ უნდა მოეზიდა ივრის ნაპირებიდან.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წარმოდგენილმა მეკრა-მიტეობა-მეაგურეობამ საუკუნეთა მანძილზე ქვეყნის ეკონომი-კურ-კულტურული დონის შესაბამისად სხვადასხვა კუთხით გარ-კვეული ცელილებები, რა თქმა უნდა, განიცადა, მაგრამ, რო-გორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული სავსებით სა-მართლიანად, „ქართველ ტომთა შორის არსებული ცხოველი ურთიერთობისა თუ წინაპართაგან მიღებული მემკვიდრეობის და-ცვის უნარის გამო ძველ საქართველოს მეაგურეობა-მეკრამიტე-ობაში შემუშავებული წესების გარკვეული ნაწილი ბევრმა მათ-განმა უკანასკნელ დრომდე მოიტანა“<sup>165</sup>. ეთნოგრაფიული მასა-ლების მიხედვით ჩანს, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს შორის ურთიერთყავშირი ბუნებრივად აირეკლა სამშენებლო კე-რამიკის წარმოებაშიც. ეს კი, თავის მხრივ, შესაძლებლობას გვა-ძლევს სამშენებლო კერამიკის დარგთა (მეაგურეობა, მეკრამიტე-ობა, წყალსაღენი მიღების კეთება) წარმოების განვითარების მეტნაკლებად მიახლოებით სურათის წარმოდგენისა.

XIX საუკუნიდან საქართველოში „რუსული“ აგურის შემო-სვლასთან დაკავშირებით აგურის მოჭრის ტექნიკაც იცვლება, მა-გრამ, როგორც ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, „მიწის მო-თხრა-დაზელვისა და აგურის გამოშრობა-გამოწვის მრავალსაუ-კუნოვანი ტრადიცია მაინც ძველებურად გაგრძელებულა“<sup>166</sup>.

„ქართული“ აგურის დამზადების პროცესი მიწის მოთხრით იწყება. მეაგურე ოსტატს, უპირველეს ყოვლისა, შესაფერისი მიწა უნდა მოეთხორა, სუფთა და კენჭებისაგან დაწმენდილი. წი-ნააღმდეგ შემთხვევაში თიხა არ მოიზილებოდა და „როგორც კენჭი, ეგრე რჩება“. ასეთი მიწისაგან დამზადებული აგური უვარგისია. სწორედ ამიტომ მეაგურე ოსტატი მიწის შეჩერების განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. ზემო იმერეთში აგურის მოსაჭრელიდ შავსა და „სილა“ მიწას იყენებდნენ, კახეთში კი

<sup>165</sup> ლ. ბოჭორიშვილი, შემომურავებული კერამიკა, მასალები საქ. ეთ-ნოგრაფიისათვის, VIII, თბ., 1956, გვ. 71.

<sup>166</sup> ლ. ბოჭორიშვილი, ქართული კერამიკა, I, კახური, თბ., 1949, გვ. 160.



ძირითადად შეგსა და თეთრ მიწას არჩევდნენ („ნახევარი შევიცვალა თუ კონკრეტული მიწა... მასალები..., 449 გვ.). მჩქნეა ფერზე იყო დამოკიდებული აგურის ფერიც. კახელი მთქმელის მიხედვით, „ჩვენი მიწა წითელია და წითელი აგური გამოდის, კისისხევის მიწა თეთრია და ქალალდის ფერი გამოდის. ყველაზე კარგი იყალთოს აგურის მიწაა“<sup>167</sup>.

აგურისათვის შერჩეულ მიწას კალოზე, ანუ ფასტაოზე დაყრიან დასალბობად. იმერეთში კი მიწას ორმოში აღბობენ. სააგურე მიწას წყალს დასხამენ, რომელიც ერთი-ორი საათის განმავლობაში ლბება; ლამე დამბალი მიწა ყოველთვის მეორე დღეს იზილება. დალბობილ მიწას ჯერ ნიჩით აურევენ (იმერეთში — თოხით), შემდეგ კი ფეხით დაუწყებენ დაზელვას. დაზელვის პროცესში ლამს, ქვიშას ამატებენ. თუ ფეხი ზელვისას სუფთად ამოვა, თიხა უკვე მზადაა ყალიბში ჩასაღებად და გასახმობად.

ქართული აგურის ყალიბი ერთაგურიანია. იგი ხისაგან მზადდებოდა და უძირო იყო. ყალიბის ჩარჩოებისათვის მაგარი ჯიშის ხეს არჩევდნენ, მაგალითად, კაკლის ხეს. 1804 წლის საბუთში, რომელიც ეკლესიის შენობის ერთიანი ხარჯის ნუსხას წარმოადგენს, ნათვამია: „აგურის ყალიბისათვის ნიგვზის დარაბა (ფიცარი) მიმიცია“<sup>168</sup>.

აგურის მოჭრა ისევ კალოზე ხდებოდა. ყალიბი გადაგვილ და სწორ მიწაზე იდო. მეაგურე მოზელილ თიხას სველი ხელით ჩამოსჭრიდა, დააგუნდავებდა და დასველებულ ყალიბში მოათავსებდა. სველი ხელით ყალიბში მოქცეულ გუნდას გააბრტყელებდა და ყალიბის ფორმას მისცემდა. შემდეგ ყალიბს ამოსწევდა და მოჭრილი აგური მიწაზე რჩებოდა. ცოტა უკან ჩამოიწევდა და იგივე პროცესს გაიმეორებდა. ამგვარად, რიგით ეწყობოდა ნედლი აგური კალოზე. ორ-სამ დღეში იგი გაშრებოდა და შემშრალ აგურს კუთხეებს მოუსწორებდნენ პატარა დანით, რომელსაც კახეთში „საფ ხეკი, ხოლო ქართლში თარაჟა ერქვა.

როგორც ზემოთ აღწერილი სურათიდან ჩანს, ყალიბიდან ამოლების შემდეგ აგური ისევ კალოზე შრება, ლია ცის ქვეშ. სწორედ ამიტომაა, რომ აგურებზე (აგრეთვე კრამიტებზე) ხშირად გადარბენილი ცხოველების ნაკვალევია აღბეჭდილი.

აგურის გამოშრობის შემდეგ იწყება აგურის გამოწვის პროცესი. გამოწვა მეტად რთულ და საპასუხისმგებლო საქმედ ითვ-

<sup>167</sup> მასალები..., გვ. 1163.

<sup>168</sup> მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, 1938, I, გვ. 206.

ლებოდა<sup>169</sup>. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო შეშად განსაკუთ  
რებული ჭიშის ხის შერჩევა, რადგან, როგორც ეთნოგრაფიული  
მასალებიდან ჩანს, „ყველა ხეს ვერ გამოჰყავს კარგი იგური. ყვე-  
ლას სჯობია ნეკერჩხალი, კარგია რცხილა, ითნას არა უშავს, ხმე-  
ლი წიფელიც გამოდგება“<sup>170</sup>.

აგურის გამოწვა ქურაში, ანუ სააგურეში<sup>171</sup> ჭარბობდა. ქურა სხვადასხვა ზომისაა. მაგრამ ყველა ზომის ქურაში აგურის ჩაღავება-ჩაწყობა ერთნაირი წესით ხდებოდა. როგორც ეთნოგრაფიული მასალები გვიჩვენებს, ქურათა მოყვანილობაც სხვადასხვაა: მრგვალი და კუთხოვანი. კუთხოვანი ქურა „რუსული აგურის“ შემოსვლასთან ერთად ვრცელდება.

სააგურე ქურა უქვო ადგილის უნდა ჩაედგათ. თუ „მიწას კარგი კედელი აქვს, აგურის კედელი მიწის ზევიდან უნდა, თუ არ ვარგა, მაშინ ძირიდანვე კედელი უნდა“<sup>172</sup>. ქურის კედლები უნდილი აგურითა და ტალახით ამოცყავთ. „ქურის საძირკველი უძრავი მიწა უნდა იყოს. მაგარ ნიადაგზე უნდა დავიყვანოთ. ქურა მიწაში რომ დგას, მის კედლებს მეტი სიმაგრე აქვს“<sup>173</sup>. ქურა ორ თანაბარ ნაწილად იყოფა. ქვედა უფრო დაბალ ნაწილში — საცეცხლეა, რომელსაც კახეთში დაბლა ქურას, ანუ საკეთებელს, ხოლო ქართლში სამორეს ეძახიან. ზემოთ კი აგურის დასაწყობად განკუთვნილია მაღლა ქურა. ქურის იატაკიდან ამოცყანილია რამდენიმე პატარა თაღი. თაღის ზედაპირი, რომელზეც გამოსაწვავ აგურებს აწყობენ, ბრტყელია. თაღებს შორის ცეცხლის აღის ამოსასელელად დატოვებულ ადგილებს ქართლში მერცხლის ამოსასელელს ეძახიან. დაბლა ქურას შეშის შესაკეთებელ გვირაბისებურ ქურის ყელს უკეთებენ, რომელიც კარით იხურება. ქურაში აგურის ჩაწყობა-ამოლაგება ქურაში ჩასვლით ხდება ქურის თავიდან. რაღვან „ქართული აგურის“ გამოსაწვავი ქურა მრგვალი მოყვანილობისა იყო, შესაბამისად, აგურებს თაღებზე

<sup>170</sup> მასალები ..., გვ. 312.

<sup>171</sup> სააგურებ ზოგადი სახელია იმ ადგილისა, სადაც აგური კეთდება. მაგრამ ქვეით, ეთნოგრატიკული მასალების მიხედვით, კურის მნიშვნელობითაც იხსარება.

172 გასალები ..., 23, 312.

<sup>173</sup> ඩීග්‍රී 108 අංතිරු, නාලන්දා, 23, 28.



ჭრიულად ალაგებდნენ. ხან „ფეხზე ამდგარი“ და ხან გარდებულების დრო. თაღებზე აგურებს 3—5 პირამდე „ფეხზე ამდგარს“ აწყობენ, რათა აგურებმა ცეცხლის ამოსასვლელი არ დაფარონ. შემდეგ კი გარდიგარდმო, რის შედეგადაც თაღი გადაიბმება. „შევკრავთ ნაწილობრივ ჰაერის ამოსასვლელ ადგილებს, რომ ცეცხლი ძალიან მაღლა არ წამოვიდეს“. როდესაც ქურა შეივსება, მას ზემოდან ფარჩიმს (აგურ-კრამიტის ნამტვრევები — ჭ. ჭ.) შემოუწყობენ, რითაც ქურას წვიმისაგან და საცეცხლეში დანთებული ცეცხლის ერთბაშად ამოვარდნისაგან იცავენ. აგურის გამოწვა ბოლის „დადებით“ იწყება, რისთვისაც ფუტურო შეშას და კუნძებს იყენებენ, ცეცხლის გაძლიერების დროს კი ხმელ შეშას. დაბოლებისას ქურის კარს „დაგოლავენ“, დახურავენ, რომ გარედან შესულმა ჰაერის ნაკადმა ცეცხლი არ დაანთოს და აგური არ „გააფუჭოს“. ბოლი ხელს უწყობს აგურის თანდათანობით გამოშრობას. „ ბოლი რომ მოხვდება, აგური ოფლს მოიდენს, ახალ ამოჭრილს დაემსგავსება<sup>174</sup>.

აგურის „ბოლში ყოფნა“ ქურის სიღიდეზეა დამოკიდებული. თუ ქურა დიდია, „დაბოლება“ ორი-სამი დღე გრძელდება, თუ პატარაა — ერთი დღეც საკმარისია. „დაბოლების“ შემდეგ შეშის კეთებას მიუმატებენ და ცეცხლს თანდათანობით გააძლიერებენ. ერთჯერად შეკეთებულ შეშას აღმოსავლეთ საქართველოში ოგს ეძახიან<sup>175</sup>. ოგს სამ-ოთხჯერ შეუკეთებენ და ყოველი შეკეთების შემდეგ ქურას რამდენიმე ხნით შეასვენებენ, რასაც კახეთში „გრილობას“ უწოდებენ. გამოწვის პროცესის თვალყურის დევნება გამოცდილ მეაგურეს ევალება. გამოწვის დასაწყისიდანვე რომ ძლიერი ცეცხლი გააჩალონ, დიდი სისწრაფით ამოვარდნილი ცეცხლის მჭვარტლი აგურებს შორის დარჩენილ ლია ადგილებს „შეკრავს და ცეცხლს მაღლა ალარ ამოუშვებს“, რის გამოც მჭვარტლით შეკრული ფერის ქვეშ მოქციული აგურები გაიმჭვარტლება, ხოლო ზემოთ მოთავსებული აგურები იმის გამო, რომ მათ ცეცხლის ალი ვეღარ მოხვდება, გამოუწვავი დარჩება.

გამოწვის პროცესის დამთავრებას მეაგურენი ალის ფერის მიხედვით ატყობენ. „ცეცხლი ყვითელ ფერს მიიღებს, ოქროსფრად

<sup>174</sup> მასალები ..., გვ. 280.

<sup>175</sup> ს. ბ ე დ უ კ ა ძ ე, დამოჭ., ნაშრომი, გვ. 38.



ამოდის ქურის თავზე“, ხოლო გამოწვის დასასრულს „ცეცხლის შემდეგ ბრონის ფერი მიეცემა“<sup>176</sup>.

ამის შემდეგ ცეცხლის შეკეთებას შეწყვეტენ. სამი დღის შემდეგ ქურის კარებს გაუხსნიან, რათა გარედან შემოსული ცივი ჰაერის საშუალებით მალე გაცივდეს. სამ-ოთხ დღეში ქურა გაცივდება (რაც დამოკიდებული იყო ქურის სიღიღეზე) და გამომწვარ აგურებს ამოალაგებენ. ქურის გაცივება კარის გაუხსნელადაც შეიძლებოდა, მაგრამ მას უფრო დიდი დრო დასჭირდებოდა.

როგორც ზემოთ დავინახეთ, აგურის გამოწვა მეტად ხანგრძლივი და რთული პროცესია. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით აგურის (და აგრეთვე კრამიტის) მოჭრა ძნელ ხელობად არ ითვლებოდა.

„გულისყურიანი ადამიანი აგურის კეთებას რამდენიმე დღეში შეისწავლის, კრამიტის ჭრის შესწავლისათვის კი ორი თვე საკმარისია“<sup>177</sup>, თუმცა აგურისა და კრამიტის გამოწვა საკმაოდ დიდ ცოდნასა და დაკვირვებას მოითხოვდა. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, შეგირდი გამოწვის ტექნიკის აუთვისებლად, ოსტატი ვერ გახდებოდა.

— . —

როგორც ბრტყელი, ისე ღარისებრი კრამიტის ფორმები ჩვენში ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ყალიბდება. როდესაც არქეოლოგიური თხრით მოპოვებულ კრამიტს ვიხილავთ და მისი დამზადების ტექნიკას დაახლოებით აღვადგენთ, ხშირად ქართულ ეთნოგრაფიულ კრამიტს მივმართავთ და შესაძლო შემთხვევაში, მოვიშველიებთ კიდეც<sup>178</sup>.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ქართული სამშენებლო კერამიკა აგრძელებს ძველი საქართველოს კერამიკული წარმოების მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს. ეთნოგრაფიული მასალების გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს მეტნაკლებად თვალი გავადევნოთ ფეოდალური საქართველოს სამშენებლო ქერამიკის, აგურთან ერთად, კრამიტის წარმოების თანმიმდევრულ პროცესაც.

<sup>176</sup> მასალები ...., გვ. 281.

<sup>177</sup> მასალები .... გვ. 301.

<sup>178</sup> ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963, გვ. 54.



ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, კრამიტის წარმოქმნის პროცესი დაახლოებით იგივეა, რაც აგურისა.

საკრამიტე მიწაც, აგურის მსგავსად, განსაკუთრებით უნდა შერჩეულიყო. აგურისა და კრამიტის მიწა ხშირად ერთსა და იმავე ადგილას ჩნდებოდა. „კრამიტის მიწა და აგურის მიწა ერთ ალაგის არის. ზევიდან აგურის მიწაა, ფხვიერია, ქვეშ კრამიტისა, გოხია“ — (ბელტი — ჭ. ჭ.)<sup>179</sup>.

საკრამიტე მიწას, აგურისაგან განსხვავებით, რამდენიმე საათით კალოზე ჰყრიან გასახმობად და მხოლოდ შემდეგ ასხამენ წყალს, ალბობენ და იწყებენ, აგურის თიხის მსგავსად, ფეხით დაზელვას. დაზელილ თიხას განსაკუთრებით ასუფთავებენ კენჭებისაგან და გუნდებად დაჭრიან ფეხის ქუსლის საშუალებით, რის შემდეგ გადააქვთ შლამმოყრილ დაზგაზე და იწყებენ კრამიტის მოჭრას.

როგორც ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს<sup>180</sup>, ღარისებრი კრამიტის მოსაჭრელად ხის ჩარჩოსაგან გაკეთებულ ყალიბს და ქობუნას იყენებენ. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ჩვენამდე მოლწეული ღარისებრი კრამიტი ბოლნისიდან, რომლის ზედა-პირზე კარგად ჩანს ქსოვილის ანაბეჭდი (ტაბ. XXIV, 2). კრამიტი ნაპოვნია სამარჩში 1936 წლის ბოლნისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ. სამარხები და მათში ნახული ინვენტარი XV—XVI საუკუნეებითაა დათარიღებული<sup>181</sup>.

კრამიტზე ქსოვილის ფუნქციის განსაზღვრა ძნელია, თუნდაც იმიტომ, რომ ჯერჯერობით ასეთი ერთადერთი ნიმუში გვაქვს. სავარაუდოა, რომ ქსოვილი საფანელის დანიშნულებით იყო გამოყენებული და ამდენად, კრამიტის ყალიბიც სპეციფიკური ფორმისა უნდა ყოფილიყო.

კრამიტისა და აგურის გამოწვისათვის ერთი და იგივე ქურა გამოიყენებოდა, მაგრამ მათი გამოწვა ერთდროულად არ ხდებოდა. აგურისა და კრამიტის გამოწვის პროცესიც თითქმის ერთნაირი წესით მიმდინარეობდა, მაგრამ ჩნდებოდა განსხვავებები ზოგიერთ მომენტებში. მაგ., ქურის თაღებზე ჯერ სამოთხ პირს გამოუწვავ აგურს შეაწყობდნენ, რადგან აგურის გარეშე კრამიტი მაღალი ტემპერატურისაგან „დაღნებოდა“ და წაიქცეოდა. აგუ-

<sup>179</sup> ს. ბელტ კიძე, ღამოშ. ნაშრომი, გვ. 40.

<sup>180</sup> ლ. ბოჭორიშვილი, ქართული კერამიკა, I, კახური, თბ., 1949, გვ. 152.

<sup>181</sup> ლ. მუსეელიშვილი, ბოლნისი, ენიმე, III, 1938, გვ. 374.



რისგან განსხვავებით, კრამიტის ყოველთვის „ყირაზე“ აშენებდა  
ნენ პირშექცეულად, ვიწრო ზოლოთი ქვემოთ. ასე ჩამოყალბა  
5—7 პირი კრამიტი, შემდეგ ისევ. სამი-ოთხი პირი აგური და  
ა. შ. ქურის ამოვსებამდე.

კრამიტის „დაბოლების“ პროცესი უფრო ხანგრძლივია,  
თუ აგურს ნახევარი დღე სჭირდება, კრამიტის „ბოლოში გამო-  
ჟვანას“ დღენახევარი უნდა, შემდეგ ქურას სამი დღის განმავ-  
ლობაში თანდათანობით ახურებენ. როცა ქურა გაეარვარდება,  
„ცოტა შვება უნდა მისცენ“, რომ კრამიტი არ გადნეს და არ და-  
დულდეს. ასე მეორდება რამდენჯერმე და კრამიტის გამოწვაც და-  
მთავრდება. ქურას უცეცხლოდ ცხრა დღეს აჩერებენ, შემდეგ  
კი კარს გახსნიან და ქურაც ერთ დღელამეში „ამოპრეკამს სი-  
ცხოველეს“.

როგორც ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, კახურ ქობუ-  
ნას იმერეთში შეესაბამება იმავე დანიშნულების ხელსაწყო, რო-  
მელსაც ბოყვი ეწოდება; კრამიტის ყალიბის ხის ჩარჩოს —  
იმერული კალაპოტი; კახურ გადასასმელ ფიცარს — იმერული  
ლალა, ქართლური შიმშათი. კრამიტის მოჭრისათვის საჭირო ხელ-  
საწყოების ერთგვარობა ცხადყოფს კრამიტის მოჭრის (და არა  
მარტო კრამიტის) პროცესის მსგავსებას მთელს საქართველოში.

ბრტყელი კრამიტების წარმოების<sup>182</sup> შესწავლისათვის ძირი-  
თად მასალას იძლევა კრამიტზე აღბეჭდილი დაყალიბების კვა-  
ლის ხასიათი.

როგორც ფეოდალური ხანის ბრტყელ კრამიტებზე დაკვირ-  
ვებამ ვვიჩვენა (მათი მოყვანილობის სწორი ფორმები), ისინი ძი-  
რითადად ყალიბში არიან ნაკეთები. ყალიბი ხისა უნდა ყოფი-  
ლიყო (კრამიტზე შეიმჩნევა ხის ზოლების ანაბეჭდები) და რო-  
გორც კრამიტის ზომები ვვიჩვენებს, სხვადასხვა სტანდარტისა.

არქეოლოგიური მასალების მიხედვით, შუა საუკუნეების  
ქერსონესში ბრტყელი კრამიტები, აგრეთვე, ხის ყალიბებში იჭ-  
რებოდა<sup>183</sup>.

<sup>182</sup> ეთნოგრაფ ლ. ბოჭორიშვილის მიერ ჩაწერილი ცნობებით, ბრტყელი კრა-  
მიტი დაახლოებით 100 წლის წინათ იქრებოდა (ქართული კერამიკა, გვ. 241). ამი-  
ტომ, ბუნებრივია, ბრტყელი კრამიტის წარმოების შესის შესახებ ქართულ ეთნოგ-  
რაფიულ ყოფაში მასალები აღარ შემორჩა.

<sup>183</sup> А. Л. Якобсон, Средневековый Херсонес (XII—XIV вв.),  
М.-Л., 1950, გვ. 119.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ბრტყელ კრამიტებზე ხშირად რელიეფური დამღები გვხვდება. შუალედური კუნების ქერსონესში დამღები ბრტყელი კრამიტების აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა<sup>184</sup>.

ჩვენ დრომდე მოლწეული ფეოდალური ხანის ქართული ღარისებრი კრამიტებიდან არც ერთი არ გვხვდება ხელოსნის ნიშნით შემკული, ხოლო ჩვენს მასალებში ჯერჯერობით ბრტყელი კრამიტის ერთადერთი ნიმუშია, რომელსაც რელიეფური ნიშანი აზის. ეს არის ბრტყელი კრამიტი შუამთის ეკლესიიდან (XVI საუკ.) (ტაბ. XXIV, 1).

ბრტყელ კრამიტზე ისრისმაგვარი ეს რელიეფური ნიშანი აშეარად ხელოსნის დამღას წარმოადგენს. ასეთივე ისრისმაგვარი დამღა ხელოსნისა აღმოჩენილია მცხეთისა<sup>185</sup> და ვანის<sup>186</sup> კრამიტებზე, მაგრამ განსხვავებით, ხელოსნის დამღა მცხეთურ ღარისებრ კრამიტზეა ამოკვეთილი.

ჩვენს ხელთ არსებული ერთადერთი ნიმუშის მიხედვით (რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი), ძნელია რაიმე დასკვნის გამოტანა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს თიხის საბადოების ფართოდ გავრცელება საშუალებას იძლეოდა სხვადასხვა კუთხეში აღგილზევე ემზადებინათ კერამიკული ნაწარმი, კერძოდ, წყალსაღენი მილები.

როგორც ეთნოგრაფიული მასალები მოწმობენ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კერამიკული მილისათვის საჭირო თიხის მომზადება-დამუშავება, თვით მილის მოჭრისა და გამოწვის პროცესი ყველგან ერთი წესით მიმდინარეობდა. ეთნოგრაფიული მასალებით დადასტურებულია, რომ კერამიკულ მილს ცალკე ხელოსანი არა ჰყოლია და მას მეტურჭლე ოსტატი ამზადებდა შურჭლისათვის განკუთვნილი მასალით.

ბუნებრივია, მილების დასამზადებლად სხვადასხვა საბადოებზე მოპოვებული თიხის დამუშავებაში, მილის გამოწვის ხარისხში იქნებოდა განსხვავება. ზოგი უფრო კარგად იყო მოზელი-

<sup>184</sup> А. Л. Якобсон, დასახ. ნაშრ., გვ. 122.

<sup>185</sup> ა. ა ფ ა ჭ ი ძ ე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, 1963, გვ. 61.

<sup>186</sup> Г. А. Лордкипаниძე, К истории древней Колхиды, 1970, გვ. 83



ლი, ზოგი უფრო მაღალ ტემპერატურაზე და უფრო სწრაფადად გამომწვარი.

სხვადასხვა ქურაში სხვადასხვა ტემპერატურაზე გამოწვის გამო მიღებს განსხვავებული (წითელი, მოყვავისფრო, რუხი და სხვ.) ფერი ეძლეოდათ. ეს კი ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ წყალსაღენის მიღები მზადდებოდა ადგილობრივ სხვადასხვა კერამიკულ სახელოსნოებში.

